

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“



№25
2015

ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

ნუგზარ წერეთელი (მთავარი რედაქტორი),

ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),

გურამ გეგეშიძე, ემზარ კვიციანი, ნიკო ლეონიძე, თეა მამარდაშვილი,

ტარიელ სტურუა, ალექსი ჭეღია, ნინო წერეთელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.

საკონტაქტო ტელეფონები:

299-00-35, 299-94-46, 293-43-10

577-52-31-31, 555-39-28-83

ISSN 1987-77-49

Ÿ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

1. შესავალი	4
-------------------	---

მეცნიერება

2. მერაბ ჯიბლაძე - „ლაზერი მედიცინაში“	7
3. ზინაიდა ჭანტურია - „ფარმაცევტის პროფესიული თვითშეგნება“ ...	25
4. ჯემალ გაშარული - „კარალეთის დღეები“	31

მხატვრული ლიტერატურა

პროზა

5. ნუზარ წერეთელი - „გზები წყვლიაღში“ (VII თავი)	38
--	----

პოეზია

ქურნალის მკითხველის ლექსი

6. ბობი ჩიჩუა - „გულით ნათქვამი“	65
--	----

ლექტორ-მასწავლებელთა შემოქმედება

7. ლალი ხარღიაშვილი - ლექსი „გურამ რჩეულიშვილს“	67
8. მერაბ თხელიძე - ლექსები	68

სტუდენტი ახალგაზრდობის შემოქმედება

9. მარიკა ყაზიშვილი - ლექსი „სხვაგვარი სიცოცხლე“	73
10. თამარ თოდუა – ლექსი „გალი, სამურზაყანო“	74

ლექსების ციკლი

11. ნუზარ წერეთელი – გამოუქვეყნებელი ლექსების რეეულებიდან	75
--	----

მხატვრული ლიტერატურა

მოგონება

12. ნუზარ წერეთელი – სამი დაუვიწყარი დღე	87
--	----

საქართველოს სამართავრობისო „საზოგადოება ცოდნაში“



„საზოგადოება ცოდნა“ 1947 წლის მაისიდან ფუნქციონირებს. ორ წელიწადში დაარსებიდან სამოცდაათი წლისთავის საიუბილეო თარიღიც აღინიშნება. განვლილი წლების მანძილზე საზოგადოება „ცოდნა“ ხელმძღვანელობდა ქვეყანაში ლექციური განათლებისა და სახალხო უნივერსიტეტების ფართო ქსელს, ქალაქებისა და რაიონების გარდა ყველა სოფელში ათასობით მაღალკვალიფიციური ლექტორთა ძალებით შედიოდა, ხელს უწყობდა ხალხის თვითგანვითარებას, პოპულარულად უხსნიდა ყველა სიახ-

ლეს, აცნობდა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სიახლეებს, პასუხობდა ყველა სახის მწვავე შეკითხვას. საინფორმაციო ურთიერთობების ასეთი ფორმა ხალხს მოსწონდა, მოთხოვნილებაც საკმაოდ დიდი იყო, წლის მანძილზე „საზოგადოება ცოდნის“ ათასობით რეგისტრირებული ლექტორი რესპუბლიკაში ორასი ათასამდე ლექციას კითხულობდა, ან საფუძვლიან ახსნა – განმარტებით საუბარს ატარებდა. ამავე დროს „ცოდნის“ ხაზით გამოდიოდა 120-ზე მეტი დასახელების ბროშურა ეროვნული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროდან, საიდანაც ხალხს პოპულარულად განემარტებოდა უამრავი პრობლემა, ასევე გამოდიოდა ჟურნალების სერია საერთო სათაურით „კითხვა. პასუხი. პრობლემა“, რაც საზოგადოებრიობაში პოპულარობით სარგებლობდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და „საზოგადოება ცოდნის“ ეგიდით გამოდიოდა მრავალტირაჟიანი ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“.

1991-1995 წლების მძიმე არეულობის წლებში „საზოგადოება ცოდნის“ საქმიანობა საგრძნობლად გართულდა, მაგრამ მაინც მთელი მონღომებით მიმდინარეობდა. იმ პერიოდში უკვე საკმაოდ დაუძღვრებული სახელმწიფო გვიწვედა ყველა სახის შესაძლო დახმარებას. 1985 წლიდან ქ.თბილისის ღრმა ცენტრში არსებუ-

ლი და „ცოდნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ დაფინანსებული ჩვენი შენობა გადმოგვეცა ფლობისა და განკარგვის უფლებით, 1998 წლიდან კი უკვე სრულ საკუთრებაში, პირად ბალანსზე აყვანით. 1994 წლიდანვე სახელმწიფომ „ცოდნა“ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ორგანიზაციათა სიაში შეიყვანა, რაც დიდად უწყობდა ხელს „ცოდნის“ ყოველდღიურ მუშაობასა და საქმიანობის აღმავლობას. 2001 წლიდან, მაშინ ჯერ კიდევ ახლადდანიშნულმა ფინანსთა მინისტრმა „საზოგადოება ცოდნა“ ერთ-ერთი პირველი ამოიღო აღნიშნული დაფინანსების სიიდან და ორგანიზაცია უსახსროდ დატოვა. ამას ზედ დაერთო მომდევნო წლებში ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი ზემდგომი ორგანოების ყურადღების შესუსტება, რამაც ბუნებრივია, მძიმედ იმოქმედა „ცოდნის“ სალექციო-საინფორმაციო მოღვაწეობაზეც და ეს დიდი, წლობით აპრობირებული საქმე ჩაშლის პირამდის მიიყვანა. უკვე აღარ იყო სახსრები, რომ საზოგადოების გამოჩენილი ლექტორები, რომელთა რიგებშიც იყვნენ აკადემიკოსები, პროფესორები, დოქტორები, მწერლები, ყველა დარგის თვალსაჩინო სპეციალისტები, მივლინებით გაგვეზავნა ქვეყნის რაიონებსა და სოფლებში ხალხთან შესახვედრად და ხალხთან გულახდილი საუბრებისათვის. ამიტომაც იყო, რომ „საზოგადოება ცოდნა“ დაადგა საკუთარი წესდებით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის

ხელის შეწყობის მომიჯნავე და ასევე აპრობირებულ გზას.

ჯერ კიდევ 1950 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირებდა სამედიცინო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი. როგორც აღვნიშნეთ, მაშინ და შემდგომ წლებში ქვეყნის ოლქებისა და რაიონების მასშტაბით 150-ზე მეტი სახალხო უნივერსიტეტი მოქმედებდა, რომელთა შექმნაც და ხელმძღვანელობაც ქვეყნის მთავრობის დადგენილებით მთლიანად „საზოგადოება ცოდნას“ ევალებოდა. ორი და სამი წლის სწავლების შემდეგ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე სახალხო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს ოფიციალური უწყებრივი და არა სახელმწიფო დიპლომებიც ეძლეოდათ, რაც მათ ხელს უწყობდათ ზოგადი განათლების მიღებაში და სამსახურებრივ წინსვლაშიც გარკვეულწილად ეხმარებოდათ, რადგან მაშინ ამ სახის საზოგადოებრივი პროექტების განხორციელება სავალდებულო და საპატიო სფეროს წარმოადგენდა,

1993 წლიდან „საზოგადოება ცოდნაში“ წარმატებული ფუნქციონირება დაიწყო ატესტირებულმა სამედიცინო კოლეჯმა, რომელიც 2000 წლიდან უმკაცრესი ატესტაციის გავლის შემდეგ უნივერსიტეტიც იყო და სასწავლო უნივერსიტეტიც.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესმა აკადემიურმა სასწავლებელმა უკვე ნაყოფიერი გზა განვლო. მან წარმატებით გაიარა ყველა საფეხური და ბარიერი, მიიღო ატესტაცია, ავტორიზაცია, მიმდინარე წელს

კი განმეორებითი აკრედიტაცია მოიპოვა ხუთი წლის ვადით. ამავე დროს მივიღეთ ავტორიზაცია პროფესიული მიმართულებითაც. აქ მედიცინის პირველი საფეხურის მაღალკვალიფიციური მუშაკებიც მომზადდებიან, რაზედაც ქვეყანაში დიდი მოთხოვნილებაა.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლეს აკადემიურ სასწავლებელში ასწავლიან ჩვენი ქვეყნის ფარმაციის ხაზით მომუშავე საუკეთესო, ძლიერი, მაღალკვალიფიცირებული კადრები, სრული და ასოცირებული პროფესორები, რომელთაც ცნობილი პრაქტიკული ფარმაცევტების თაობები ჰყავთ აღზრდილი. მაღალი დონის განათლების მიღებასთან ერთად ისინი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხარდამხარ სითბოსა და ყურადღებას არ აკლებენ მომავალ ფარმაცევტებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „საზოგადოება ცოდნის“ უმაღლესი აკადემიური სასწავლებლის კურსდამთავრებულები დასაქმების ანუ სამსახურში მოწყობის ძალიან მაღალი კოეფიციენტით გამოირჩევიან. ჩვენთან ბაკალავრის სახელმწიფო დიპლომმიღებულები მუშაობენ საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, საქართველოში კი პსპ-ს სისტემის ავთიაქებში, წამლის სააგენტოში თუ ეროვნული ფარმაციის სხვა ცენტრებში.

ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ის გარემოება, რომ გასულ 2013 წელს, ძალიან დიდი და რთული მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, ჩვენ მოვიპოვეთ აკრედიტაცია და ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტიც გაიხსნა, სადაც მოღვაწეობენ ძალიან მაღალი დონის კადრები და სწავლების საქმეც სასურველი წარმატების გზით მიმდინარეობს.

საქართველოს საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნაში“ ფუნქციონირებს გამომცემლობა, სადაც იბეჭდება ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების სახელმძღვანელოები, შრომები, სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „ცოდნაშივე“ გამოდის სქელტანიანი (150-200გვ.) ჟურნალი „სიტყვა“, სადაც ხშირად იბეჭდება პროფესორებისა და სტუდენტების შრომები, მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, ლექსები და მოთხრობები, ნარკვევები და ჩანახატები.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“ დგას ახალი პრობლემების, ახალი გამოწვევების წინაშე და მონდომებით ცდილობს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმართოს ყოველდღიური საქმიანობა.


*საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო
კავშირი „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობა*

ფიზიკა და მედიცინა

„მეცნიერება და ხელოვნება იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის. ივინი წინ მიდიან ცხოვრებისა გამო და მერე თავის რიგ ზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება“.

ილია ჭავჭავაძე

ფიზიკა არის მეცნიერება ბუნების ყველაზე ფუნდამენტური (ძირეული) კანონების შესახებ და დიდ როლს ასრულებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლების ჩამოყალიბებაში. ამიტომ სრულიად წარმოუდგენელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება ფიზიკის გარეშე. თვით მათემატიკის მრავალი დარგის განვითარება ფიზიკის პრობლემების გადა-



წყვეტის საჭიროებებმა განაპირობა (გავიხსენოთ, თუნდაც, რომ დიფერენციალური აღრიცხვა მექანიკის პრობლემებთან დაკავშირებით გენიალურმა ისააკ ნიუტონმა შემოიტანა).

უდიდესია ფიზიკის გავლენა მედიცინის, და საერთოდ, მეცნიერებათა განვითარებაზე. მართლაც, სწორედ ფიზიკის დახმარებით წარმოიქმნა თანამედროვე მეცნიერებების უმრავლესობა. ამიტომაც, ფიზიკა მრავალი მოვლენის გაგებაში მთავარ როლს ასრულებს.

დღეს, მედიცინის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვნად იზრდება ფიზიკის და, განსაკუთრებით, ბიოფიზიკის როლი არა მარტო უნიკალური სამკურნალო და დიაგნოსტიკური ხელსაწყოების შექმნაში, არამედ იმ პროცესების შესწავლაში, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში მიმდინარეობს.

* * *

თანამედროვე მედიცინა. ქიურგიულმა მეთოდებმა გააერთიანა ახალი ტიპის სამედიცინო კვლევები და პრაქტიკული გამოცდილება, გარდაქმ-

ნა მედიცინის სტრუქტურა და სპეციალობებს შორის ტრადიციული საზღვრები მოსპო. ექიმები მუშაობენ არა მარტო კლინიციისტებთან, არამედ ფიზიკოსებთან, ინჟინრებთან და კომპიუტერის სპეციალისტებთან ერთად. XXI საუკუნეში ჭეშმარიტი კვლევების ჩატარება და მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა მხოლოდ სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობითაა შესაძლებელი.

თანამედროვე ქირურგიაში იდეის მთავარი არსი მინიმალურად აგრესიული ქირურგიის გამოყენებაა, რაც ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან დაიწყო. 1987 წელს ფრანგმა ქირურგებმა ნადვლის ბუშტი ოთხი მცირე ზომის ხვრელიდან ამოიღეს და ამ მეთოდს „კარის ჭუჭრუტანის ქირურგია“ უწოდეს. აღნიშნულმა მეთოდმა მკურნალობის პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქარა, თანაც ოპერაციის დროს ის ნაკლებ ზიანს აყენებს ორგანიზმს. „მინიმალური აგრესია“ დღეს ქირურგიების დევიზი გახდა.

წარმოიდგინეთ საოპერაციო ოთახი, რომელიც არავითარ სტერილიზაციას არ საჭიროებს, ექიმი, რომელსაც არ აცვია სისხლით დასვრილი ხალათი. პაციენტი საოპერაციო მაგიდაზე კი არა, დიდი მაგნიტის შიგნით მშვიდად წევს და ისვენებს, ხოლო ბირთვული მაგნიტური რეზონანსის კომპიუტერული სისტემა ეკრანზე პაციენტის შინაგანი ორგანოების მკაფიო გამოსახულებას გვიჩვენებს. ქირურგი არ კვეთს სხეულს, მას არა აქვს სკალპელი, მაგრამ „ჭკვიანი“ რობოტი

სპეციალური მოწყობილობით ორგანიზმს კიბოს უჯრედებისაგან ათავისუფლებს. კლასიკური ქირურგია სივრცეში შემოზღუდული გახურებისა და ღრმა გაცივების მეთოდებმა შეცვალა.

ამ „საოპერაციო ოთახში“ მთავარი ხელსაწყო ბირთვული მაგნიტური რეზონანსის დანადგარია, რომელსაც ჩვენი ექიმები და პაციენტები რუსულიდან შემოსული აბრევიატურით – „-ით იცნობენ.

ბმრ-ის მოვლენა ამერიკელმა ფიზიკოსებმა 1946 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აღმოაჩინეს და ნობელის პრემია დაიმსახურეს. ამ მოვლენამ ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) მოვლენასთან ერთად ნივთიერების შესწავლის ახალი სპექტროსკოპიული მეთოდი მოგვცა და დღესაც დიდ როლს ასრულებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებაში.

ბირთვული მაგნიტური რეზონანსი მაგნიტურ ველში ატომის ბირთვების მიერ გარკვეული სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღის შთანთქმისა და შემდგომი გამოსხივების მოვლენაზეა დამყარებული. გამოსხივებული სიხშირე რადიოდაპაზონში მდებარეობს და ელექტრომაგნიტური ტალღის ინტენსივობა მოცულობის ერთეულში ბირთვების კონცენტრაციაზეა დამოკიდებული. ამიტომ, როდესაც სხეული მაგნიტურ ველშია მოთავსებული და მასზე რადიოსიხშირული დიაპაზონის ელექტრომაგნიტური ტალღის იმპულსით ვმოქმედებთ, სხეულში არსებული პროტონები (ანუ

წყალბადის ატომის ბირთვები) ელექტრომაგნიტურ ტალღას გადმოსხივებს, რომლის ინტენსივობის სივრცულ განაწილებას კომპიუტერი მოცულობით გამოსახულებად გარდაქმნის და მონიტორზე სხეულის ზუსტ მოცულობით სურათს გვაძლევს. რადგან სიმსივნურ ქსოვილში პროტონების სიმკვრივე მეტია ჩვეულებრივი ქსოვილის სიმკვრივესთან შედარებით, ისინი ნორმალური ქსოვილებისაგან ადვილად გამოსარჩევი ხდება.

ფაქტობრივად, მომავლის საოპერაციო ზონა მთლიანად ავტომატიზებული ბირთვული მაგნიტური რეზონანსის დანადგარია, რომელიც მონიტორის ეკრანზე შინაგანი ორანოების ზუსტ მოცულობით გამოსახულებას ქმნის და საშუალებას გვაძლევს ლაზერის სხივის ენერგია ისე მივმართოთ, რომ დაავადებული ქსოვილი ორგანიზმს მოვაცილოთ.

აღსანიშნავია, რომ რადიოლოგიაში წარმატებით მიმდინარეობს ატრავმული დიაგნოსტიკის მეთოდების კვლევა. რენტგენის სხივების აღმოჩენიდან დაწყებული, რადიოლოგები წარმატებით იკვლევენ ახალ ტექნიკურ საშუალებებს შინაგანი ორგანოების ვიზუალიზაციისათვის. ჯანმრთელი უჯრედების დაზიანების რისკის შემცირების მიზნით რადიოლოგებმა ენერგიის ახალი წყაროები გამოიყენეს, რომელთა შორის განსაკუთრებული წარმატება ულტრაბგერამ და ბირთვულმა მაგნიტურმა რეზონანსმა პოვა.

* * *

რადიონუკლიდური თერაპია. რადიოაქტიური ნივთიერებების გამოყენება მედიცინაში თითქმის ასი წლის წინათ დაიწყო, როცა **პიერ კიურიმ** და სხვა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ რადიუმთან ხანგრძლივმა კონტაქტმა კანის დამწვრობა გამოიწვია. თავდაპირველად ექიმები ამ შედეგს სხეულის დაზიანებული ზედაპირის სამკურნალოდ იყენებდნენ, მაგრამ როდესაც ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ ადამიანთა სხივური დასხივების რისკი აშკარა გახდა, რადიოაქტიური ნუკლიდებისადმი ინტერესი შემცირდა.

ექიმთა შეშფოთება რადიონუკლიდების მიმართ ორმა მნიშვნელოვანმა სიახლემ შეასუსტა. ჯერ ერთი, ფიზიკოსებმა ბირთვულ რეაქტორებში მიიღეს ახალი, უკეთესი რადიოაქტიური მახასიათებლების მქონე რადიოაქტიური ელემენტები, და, ამასთან, ფართოდ დაინერგა რობოტოტექნიკა რადიოაქტიური წყაროს დისტანციური მუშაობისათვის. მაგალითად, კობალტი-60-ის (^{60}Co) წყარო (რომელიც მაღალი კუთრი აქტივობით გამოირჩევა და 1,25 მეგ ენერგიის გ-სხივებს ასხივებს) 40 წლის წინათ ექიმებისთვის საკვებით ხელმისაწვდომი გახდა. ამდენად, თერაპიამ ^{60}Co იზოტოპით (რომლის ნახევარდაშლის პერიოდი 5,27 წელია) დასხივებით, სწაფად განდევნა 250 კგ რენტგენის მილაკები. დღესაც კი განვითარებად ქვეყნებში კობალტის წყაროები ძირითადად სხივურ თერაპიაში. ამ დროის მანძილზე ცეზიუმი-137 (^{137}Cs), რომელ-

იც ბირთვულ რეაქტორებში მიიღეს, სხვიურ თერაპიაში რადიუმის იზოტოპის (^{226}Ra) ალტერნატივა გახდა და ისიც ძირითადად გინეკოლოგიური სიმსივნური წარმონაქმნების სამკურნალოდ გამოიყენება.

სამწუხაროდ, განვითარებად ქვეყნებში ავთვისებიანი სიმსივნის თერაპიაში ამჟამადაც გამოიყენება (^{60}Co) კობალტი-60 წყარო. რასაკვირველია, კობალტის გამოსხივება ანადგურებს კიბოს უჯრედებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გამოსხივება ჯანმრთელ უჯრედებსაც სასიკვდილოდ აზიანებს და არაა გამორიცხული, რომ ასეთი „თერაპიის“ შედეგად კიბოთი დაავადებული ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდეს.

გამოსხივების ზემოქმედებით ჯანმრთელი უჯრედების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ბოლო წლებში განვითარდა ბრაჩითერაპია („ბრაჩი“ ბერძნული სიტყვაა და „ახლოს“ ნიშნავს), რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია სამედიცინო წრეებში და ააღორძინა სხვიური თერაპია. ეს სხვიური თერაპია იმით გამოირჩევა, რომ მარტივი პროცედურით შესაძლებელია სიმსივნის დასხივება რადიაციის საკმაოდ დიდი დოზით მაშინ, როცა სიმსივნის გარშემო მყოფი ჯანმრთელი უჯრედები უმნიშვნელო დასხივებას იღებს. მართლაც, წყაროდან მანძილის გაზრდით ზოგიერთი რადიონუკლიდის მიერ გამოსხივებული ინტენსივობა უკვე რამდენიმე სანტიმეტრზე მკვეთრად მცირდება.

დღეს რადიონუკლიდური თერაპია

ძალიან მნიშვნელოვანი გახდა კიბოს მკურნალობისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რადიოაქტიურ გამოსხივებას შეუძლია კიბოს უჯრედების კვლამა გამოიწვიოს. არსებობს სხვა ციტოტოქსიკური პრეპარატებიც, მაგრამ გამოსხივება გაცილებით ეფექტურია და მარტივია მისი გამოყენება. თანაც, ისიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოსხივების წყარო სიმსივნესთან უშუალო მახლობლობაშია და ამდენად, მისი ზემოქმედება კიბოს უჯრედებზე მაქსიმალურია. ამ დროს მოშორებით მყოფი ჯანსაღი უჯრედები დასხივებას პრაქტიკულად არ იღებს. სწორედ ესაა ბრაჩითერაპიის უპირატესობა ჩვეულებრივ რადიოთერაპიასთან შედარებით.

რადიოაქტიური გამოსხივება აზიანებს დნმ-ის მოლეკულის ბირთვს და ამრიგად მისი გამრავლების უნარს სპობს. იმისათვის, რომ დნმ-ი დაზიანდეს, გამოსხივებული ნაწილაკების ენერგია (იქნება ეს ფოტონების, ელექტრონებისა თუ სხვა უფრო მძიმე ნაწილაკების სახით), უნდა აჭარბებდეს რამდენიმე ათეულ ელექტრონვოლტს. თუმცა, როდესაც რადიაციის წყარო სხეულის გარეთ იმყოფება (როგორც ეს ჩვეულებრივი კობალტის სხვიური თერაპიის დროსაა), აუცილებელი ხდება რამდენიმე მილიონი ელექტრონვოლტი ენერგიის ფოტონები (ან ნაწილაკები), რათა მათ შეძლონ სხეულის ჯანმრთელ ქსოვილებში გავლა და კიბოს უჯრედებამდე მიღწევა. ბრაჩითერაპიაში კი გამოიყენება მცირე ზომის წყაროები, რომელთა მიერ

გამოსხივებული ნაწილაკების ენერგია დაახლოებით 20 კეე-ია, მაგალითად პალადიუმ-103 (^{103}Pd) იზოტოპი. ეს წყარო უშუალოდ კიბოს უჯრედებამდე მიჰყავთ და სიმსივნის შიგნითაც კი ათავსებენ. ამ შემთხვევაში სიმსივნის გარეთ არსებული ჯანსაღი უჯრედები არ ზიანდება.

ბრაჩითერაპია ხორციელდება სხვადასხვა პროფილის ექიმების მიერ ფიზიკოსებთან ერთად. რადიოიზოტოპის შერჩევის მიზნით ჯერ უნდა დადგინდეს სიმსივნის ზომა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ზომის სიმსივნეების მკურნალობა რთულია, თუმცა არის სრული განკურნების შემთხვევებიც მაშინ, როცა ზოგიერთი მცირე ზომის კიბოს უჯრედებისაგან განკურნება ვერ ხერხდება. ბირთვული მაგნიტური რეზონანსის კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ და აგრეთვე პოზიტრონულმა ემისიურმა და ულტრაბგერითმა ტომოგრაფიებმა რადიოლოგებს დაავადების ადრეულ სტადიაში, სიმსივნის ზომებისა და ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენის საშუალება მისცა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

ბრაჩითერაპიის უპირატესობაც სწორედ ისაა, რომ რადიაციული გამოსხივების წყარო თვით სიმსივნეში თავსდება დას რადიონუკლიდების მიერ გამოსხივებული ენერგია არაა დიდი, თუმცა ის სასიკვდილოა მის უახლოეს გარემოცვაში მყოფი სიმსივნის უჯრედებისთვის. ამ დროს 3-5 სანტიმეტრით დაცილებულ ჯანმრთელ უჯრედებზე ის გავლენას არ ახდენს, რადგან გამოსხივების ინტენსივობა

მკვეთრად მცირდება წყაროდან მანძილის გაზრდით. ამ შემთხვევაში ცეზიუმის ნაცვლად გამოიყენება იოდი-125 ან პალადიუმ-103 იზოტოპები.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი რადიკალები, რომლებიც სიმსივნეში არსებული წყლის დასხივების შედეგად წარმოიქმნენ, ღნმ-ის დაზიანებას იწვევს.

რადიონუკლიდური თერაპიის წარმატებები მჭიდროდაა დაკავშირებული ბირთვული ფიზიკის მიღწევებთან. რადგან ^{60}Co , ^{137}Cs , და ^{226}Ra იზოტოპების გამოსხივება მეტისმეტად დიდია (და ამიტომ მაღალი შეღწევის უნარი აქვს), ფიზიკოსები განაგრძობენ ისეთი ნუკლიდების ძიებას, რომელთა გამოყენება ბრაჩითერაპიაში ეფექტურად შეიძლება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ირიდიუმ-192 (^{192}Ir) იზოტოპის (რომლის ნახევარდაშლის პერიოდი 73 დღეა) გამოყენება სხვადასხვა ტიპის სიმსივნეების საწინააღმდეგოდ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ^{192}Ir იზოტოპი ძირითადად 380 კეე ენერგიის ფოტონებს ასხივებს, რაც კიბოს უჯრედებისათვის სასიკვდილოა, მაგრამ მისი შეღწევის სიღრმე არაა დიდი. ირიდიუმის რადიოაქტიური წყარო მცირე ზომის კაფსულებში და მისი სიმსივნეში ნემსით შეყვანა ადვილია. გრძელდება კვლევები რადიაციული თერაპიის ორივე ფორმის ოპტიმიზაციისათვის, რადგან რადიობიოლოგიური ზემოქმედების შედეგები დიდად არის დამოკიდებული რადიაციის დოზაზე.

ბოლო ათი წლის განმავლობაში

საკმაოდ დიდი წარმატებებია მიღწეული 125I-ით პროსტატის კიბოს მკურნალობისას. ბრაჩითერაპიით მკურნალობა ისევე ეფექტური აღმოჩნდა, როგორც ქირურგიული მკურნალობა, თუმცა ნაკლებია გართულებები. აშშ-ში ყოველწლიურად 120 000 პაციენტიდან, რომლებსაც სხვადასხვა მეთოდით პროსტატის კიბოს მკურნალობის კურსი უტარდებათ, დაახლოებით 10 000 ავადმყოფის ბრაჩითერაპიით მკურნალობენ და მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

პროსტატის რადიოიზოტოპით მკურნალობისას 50–100 რადიონუკლიდის კაფსულა სპეციალური ნემსით პროსტატის ჯირკვალში განთავსდება. ულტრაბგერითი ტომოგრაფია საშუალებას იძლევა განისაზღვროს კაფსულების რაოდენობა და მათი მდებარეობა ისე, რომ შემცირდეს დასხივების დოზები შარდსადენსა და სწორ ნაწლავზე. პროსტატის მკურნალობისას იყენებენ 125I იზოტოპს (60-დღიანი დაშლის ნახევარპერიოდით) და 103 დ-ს (17 დღიანი დაშლის ნახევარპერიოდით).

როგორც მედიცინაში მოღვაწე ფიზიკოსებისათვის, ისე ბირთვული ფიზიკის სპეციალისტებისათვის, რადიოიზოტოპური თერაპია მრავალ შესაძლებლობას გვთავაზობს სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისათვის მით უმეტეს, რომ, როგორც აღმოჩნდა, საწყისი სტადიის პროსტატის კიბოს მკურნალობა რადიონუკლიდებით ქირურგიულ მკურნალობასთან შედარებით უფრო იაფ-

იც კი აღმოჩნდა. თუმცა, ამ მეთოდის ფართოდ გამოყენება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებული იქნება ეს მეთოდი სხვა ალტერნატიულ თერაპიასთან შედარებით.

უნდა ველოდოთ, რომ XXI საუკუნეში ქიმიური მედიკამენტებით მკურნალობა თანდათან ფიზიკური ზემოქმედებით (ელექტრომაგნიტური ტალღებით) მკურნალობამ შეცვალოს და ამ მხრივ კიდევ ბევრია გამოსაკვლევი. ამდენად, სამედიცინო ფიზიკის განვითარება ძალზე მნიშვნელოვანი ხდება.

ამრიგად, მედიცინის წარმატებები მჭიდროდაა დაკავშირებული ფიზიკის განვითარებასთან, რამაც ახალი სამკურნალო მეთოდების შექმნის საშუალება მოგვცა. მართლაც, მედიცინა თავისი განვითარებით დიდად არის დავალებული ფიზიკისაგან, რომელმაც მრავალი უნიკალური ხელსაწყო შექმნა ზუსტი ანალიზისა და დიაგნოსტიკისთვის. კარგად ვიცით, რომ ვირუსებს მიკროსკოპით ვაკვირდებით, გულის მუშაობას კარდიოგრაფის დახმარებით ვიკვლევთ და, საერთოდ, ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში მრავალი ხელსაწყოა, რომელთა შექმნა ფიზიკოსთა დამსახურებაა (ლაზერები, რენტგენის დანადგარები, ექოსკოპიის ხელსაწყოები და სხვა მრავალი) და მათ ფართოდ ვიყენებთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. ამასთან, შეიქმნა ახალი ხელსაწყოები, რომლებმაც მედიცინაში მთელი გადატრიალება მოახდინა.

აღსანიშნავია, რომ თუ ბმრ-ის გამოყენება ორგანიზმისთვის სრული-

ად უსაფრთხოა, დღეს ადამიანების (განსაკუთრებით ბავშვების) მობილური ტელეფონებით გატაცებამ და დიდი ხნით საუბარმა შეიძლება ტვინის ქსოვილს და ნერვის უჯრედებს გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს.

რა შეიძლება გამოიწვიოს მობილური ტელეფონების მიერ გამოსხივებული ტალღა?

ნებისმიერი ელექტრომაგნიტური ტალღა, რომელიც ქსოვილში გადის, ელექტროსტრუქციის ცნობილი ეფექტის შედეგად ქსოვილში იმავე სიხშირის ულტრაბგერას აღძრავს. როცა ულტრაბგერის სიხშირე რამდენიმე გიგაჰერცია, მისი ტალღის სიგრძე მიკრონების რიგისაა. ეს კი უჯრედის მემბრანების ზომაა და რეზონანსის ცნობილი ეფექტის გამო მემბრანა ანომალურად დიდი ამპლიტუდით იწყებს რხევას, რაც ზოგჯერ მთელი უჯრედის დაღუპვის მიზეზიც ხდება. რადგან მობილური ტელეფონის ანტენის მიერ გამოსხივებული ტალღის სიმძლავრე თითქმის ვატს აღწევს, მისი ზემოქმედების შედეგად დაზიანებული უჯრედების რაოდენობა შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ ტვინის ქსოვილს საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენოს. ამდენად, მობილური ტელეფონით სარგებლობისას ანტენასა და ყურს შორის მანძილი მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს და ამასთანავე მკვეთრად შემცირდეს ტელეფონით საუბრის დრო.

* * *

ლაზერები ქირურგიაში. თანდათან ფართოვდება ლაზერების გამოყ-

ენების სფერო ბიოლოგიასა და მედიცინაში. სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში მოწმე გავხდებით ახალი საოცრებებისა, რომლებსაც ლაზერის სხივი მედიცინის ურთულესი პრობლემების გადაწყვეტისას მოახდენს.

ლაზერის სხივის ძალიან მაღალი მონოქრომატულობის გამო, მისი დაფოკუსება ძალიან მცირე მოცულობაში შეიძლება და ამდენად ლაზერის სხივი ძალიან „ბასრი სკალპელია“. ამ სკალპელის უპირატესობა ისაა, რომ ოპერაციის დროს არ ხდება ქსოვილთან მექანიკური შეხება, რაც ორგანიზმში მეორადი ინფექციის შეტანას გამორიცხავს. ლაზერის სხივს შეუძლია არა მარტო ადვილად გაკვეთოს ქსოვილი, არამედ „შეაღულოს“ კიდეც გადაჭრილი სისხლძარღვები და ამდენად „უსისხლო“ ოპერაციები წარმართოს. ლაზერის სხივს ასევე ადვილად შეუძლია ამოწვას ორგანიზმიდან ჩირქოვანი და მკვდარი ქსოვილები. ნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ოპერაციები უაღრესად სტერილურია. ამასთან, ბოჭკოვანი ოპტიკის გამოყენებით სხივის მიმართვა შესაძლებელია ნებისმიერი მიმართულებით.

ცხადია, ქირურგიაში მხოლოდ ის ლაზერები გამოიყენება, რომელთა ტალღის სიგრძე კარგად შთანთქმება სხეულის ქსოვილში. ამ მხრივ ყველაზე ეფექტურია ლაზერები, რომელთა გამოსხივება ულტრაიისფერიდან მწვანე ტალღებამდე დიაპაზონში და საშუალო ინფრაწითელ უბანშია.

ლაზერის სხივი განსაკუთრებული წარმატებებით თვალის ისეთ დაავადე-

ბათა სამკურნალოდ გამოიყენება, რომლებიც ადრე განუკურნებლად ითვლებოდა. მაგალითად, თვალის ფსკერიდან ბადურის ატკრეცა. ამ დროს ავადმყოფი ყველაფერს ბუნდოვნად ხედავს. ლაზერის სხივის ხანმოკლე იმპულსის დანათებით ადვილად ხორციელდება ატკრეცილი ბადურას თვალის ფსკერზე მიღუღება. ამ დროს სხივი ბადურას ხვდება თვალის ბროლის გავლით ისე, რომ სრულებით არ აზიანებს თვალის ქსოვილს. ლაზერის სხივის იმპულსის მეტად მცირე ხანგრძლივობა გამოირიცხავს თვალის გადახურებას და მის დაზიანებას უნებლიე მოძრაობის გამო.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ლაზერის სხივის საშუალებით თვალის სისხლძარღვებზე წარმოქმნილ სიმსივნეთა ამოსაკვეთად. თვალის გლაუკომით დაავადების დროს, როდესაც ხდება თვალშიგა წნევის მომატება (რაც თვალის ძლიერ ტკივილს იწვევს და შეიძლება სიბრმავე გამოიწვიოს), ლაზერის სხივის ხანმოკლე იმპულსის საშუალებით თვალის ზედაპირზე ქმნიან მცირე ხერეღს ზედმეტი სითხის გამოსადენად. არსებობს მონაცემები, რომლებიც ადასტურებს, რომ ლაზერის სხივი ასევე დიდი წარმატებით გამოიყენება თვალის კატარაქტის სამკურნალოდ.

* * *

ქვანტური თერაპია. ქვანტური (სინათლის) თერაპია შეიძლება განისაზღვროს როგორც მედიცინის ახალი მიმართულება, რომელიც ეფუძნება

ქვანტური ფიზიკისა და თანამედროვე ოპტიკის ბოლო დროის მიღწევების სინთეზს და ცოცხალი ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებში მიღებულ უახლოეს შედეგებს ითვალისწინებს. ქვანტური თერაპიის მეთოდები მსოფლიოს 10 000-მდე სამედიცინო დაწესებულებაშია დანერგილი 200-მდე სხვადასხვა დაავადების ეფექტური მკურნალობის მიზნით.

არ არსებობს მედიცინის უბანი, სადაც არ გამოიყენება უსაფრთხო და ეფექტური ქვანტური თერაპია, რომელიც საგრძნობლად ამცირებს ავადმყოფების მიერ მედიკამენტების მოხმარებას, კლინიკური და ამბოლათორული სამედიცინო მომსახურების ხანგრძლივობას და ხშირად ავადმყოფს ქიმიური პრეპარატების გამოყენებისაგანაც კი ანთავისუფლებს. მნიშვნელოვანია, რომ სინათლის თერაპია თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ ოჯახის პირობებშიც.

როგორც ცნობილია, ქვანტური მედიცინა დაფუძნებულია სინათლის ქვანტის ენერჯის, ანუ ელექტრომაგნიტური გამოსხივების მცირე დოზით სხვადასხვა დაავადებების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის გამოყენებაზე. ელექტრომაგნიტური გამოსხივება უახლოვდება ბუნებრივს და დადებით გავლენას ახდენს უჯრედის, ორგანოების, სისტემებისა და მთელი ორგანიზმის ფუნქციებზე.

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკული ზემოქმედება, რომელიც სინათლის თერაპიაში გამოიყენება, აბსოლუტურ-

ად უზიფათოა. ქვანტური თერაპიის მეთოდი მდგომარეობს ფუნქციონალური ანომალიის (პათოლოგიის) წინააღმდეგ ენერგეტიკული წონასწორობის მდგომარეობის აღდგენაში, რასაც გამოჯანმრთებამდე მივყავართ. ეს იმით აიხსნება, რომ ქვანტური ზემოქმედება ორგანიზმში იწვევს ადაპტაციური შესაძლებლობების რეალიზაციას როგორც უჯრედის დონეზე, ისე მთელ ცოცხალ სისტემაზე, სწრაფად ასტიმულირებს იმუნიტეტს, ახდენს ორგანიზმის დამცველი მექანიზმების მობილიზაციას და აქტიურად ეწინააღმდეგება ორგანოების ფუნქციონირების ნორმალური მდგომარეობიდან გადახრებს (ან ცვლილებებს).

ქვანტური მედიცინა მოიცავს ჯანმრთელობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების ყველა სტადიას: დიაგნოსტიკას, თერაპიას, რეაბილიტაციას და პროფილაქტიკას.

ქვანტურ თერაპიას, რომელიც მის უნივერსალობასთაა დაკავშირებული, ისევე, როგორც მის ეკოლოგიურ ასპექტებს, არააგრესიულს და უმტკივნეულოს, რომელსაც არ ახასიათებს მედიკამენტოზური დამოკიდებულება, უახლოეს მომავალში ექნება უპირობო უპირატესობა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სიმპტომატიკის მქონე ავადმყოფობების მკურნალობის დაბალი თვითღირებულება და ზოგ შემთხვევებში (მაგალითად წყლულოვანი დაავადებების, ვარიკოზის, პროსტატის ადენომის, ფიბრომის და ა.შ.) ქირურგიული ჩარევის თავიდან

აცილების შესაძლებლობას გვაძლევს.

გამოკვლევების თანახმად, ქვანტური ტექნოლოგიები ახლო მომავალში გამოყენებული იქნება ისეთი დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის, როგორცაა აუტოიმუნური პათოლოგიები, დიაბეტი, ავთვისებიანი სიმსივნეები, ათეროსკლეროზი, ეპილეფსია, შიზოფრენია და ა.შ.

ქვანტური თერაპია ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას. მას აქვს ტკოვილგამაყუჩებელი ეფექტი, ალერგიის საწინააღმდეგო თვისებები, ზრდის იმუნიტეტს, ხსნის ინტოქსიკაციას, არითმიას, აფართოებს სისხლძარღვებს და მასტიმულირებელ გავლენას ახდენს სისხლწარმოქმნაზე ჰემოგლობინის, ერითროციტებისა და ლეიკოციტების გაზრდით. უზრუნველყოფს არასპეციფიური დაცვის სტიმულირებას და 5-10-ჯერ ზრდის ლიმფოციტებისა და მაკროფაგების ფუნქციონალურ და ფოტოციტარულ აქტიურობას. სინათლის თერაპიის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შევამციროთ ან ზოგ შემთხვევაში სავსებით უარყოთ სხვადასხვა წამლების გამოყენება.

მთელი რიგი დაავადებების მკურნალობისას სინათლის თერაპია გაცილებით ეფექტურია, ვიდრე მედიკამენტოზური მკურნალობა. ბავშვებისთვის ეს დაავადებებია: ღამის ენურეზი, შაქრიანის დიაბეტი, გამელოტება, ზედა სასუნთქი გზების ორგანოებისა და კანის დაავადებები და სხვ. მოზრდილებში – გულის იშემიური დაავადებები, ინფარქტის შემდგომი მდგომარეობები,

აუტოიმუნური დაავადებები (რევმატოიდული ართრიტი და სხვა), იშემიური ინსულტი, სახსრების დაავადებები, ჰემოროი, იმპოტენცია და ა.შ.

პათოლოგიურ პროცესზე სინათლის თერაპიის გავლენის ნათელი მაგალითია მისი ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. სინათლისა ზემოქმედებით ხდება არა მარტო წვრილი კაპილარებისა და ლიმფური ძარღვების გაფართოება, არამედ ხელს უწყობს ახალი კაპილარების შექმნასაც, რაც მკვეთრად აუმჯობესებს უჯრედების კვებას. შედეგად მცირდება დაწოლა ნერვულ დაბოლოებებზე და, ამდენად, მცირდება ან მთლიანად ქრება ტკივილის შეგრძნება. მნიშვნელოვანია ქვანტური თერაპიის დადებითი გავლენა წყლულების მკურნალობისას, ტრავმისა და დამწვრობის შედეგად გამოწვეული კანის დაზიანებებისას – აჩქარებს შეხორცების პროცესს. ქვანტური თერაპია ეწინააღმდეგება მიკროორგანიზმების გამრავლებას ჭრილობებში, რაც ამცირებს ანტიბაქტერიული მკურნალობის პერიოდს.

ქვანტური თერაპია ნერვულ დაბოლოებებზე რეფლექტორული ზემოქმედებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების სინთეზის შედეგად წონასწორობას აღადგენს ნერვულ და ენდოკრინულ სისტემებს შორის და ხელს უწყობს მათი ფუნქციების აღდგენას, რაც დადებითად აისახება ისეთი ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ, როგორცაა: ბრონქულური ასთმა, ფსორიაზი, ნეიროდერმიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწ-

ლავის წყლულები, ვეგეტოდარღვევის დისტონია. ქვანტური თერაპია თავიდან გვაცილებს სხეულში სტრუქტურული ცვლილებების პროგრესირებას და პირიქით, ხელს უწყობს აღდგენის პროცესს ქრონიკული ანთებითი პროცესების ფონზე, რაც წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ქალის სასქესო სფეროს დაავადებების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და ოტოლარინგოლოგიური კიბოსწინა დაავადებების სამკურნალოდ.

ქვანტური თერაპიის ახალ პერსპექტიულ მიმართულებად მიჩნეულია ოსტეოქონდროზი, ჰიპერტონია, რადიკულიტი, ჰერპესი, ტონილიტი, ბავშვთა ცერებრალური დამბლა და მრავალი სხვა დაავადება უოლოგიასა და პედიატრიაში.

მნიშვნელოვანია, რომ სინათლის თერაპიის სამკურნალო ზემოქმედების მექანიზმი საერთოა სხვადასხვა პათოლოგიის დროს. ასეთი თერაპია შეიძლება განვიხილოთ როგორც უხიფათო მასტიმულირებელი და გამააქტიურებელი თერაპია, რომელიც იყენებს ფიზიოლოგიური რეაქციების კასკადს და ბიოლოგიურად მარეგულირებელ მექანიზმებს ჰომეოსტაზის დაბრუნების მიზნით.

ქვანტური მედიცინაში გაერთიანებულია ექიმთა მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევების ექსპერიმენტული შედეგები და ფიზიკოსთა მიღწევები.

სამედიცინო ლიტერატურაში ხშირად განიხილება ბიოქიმიური რეაქციების არჩევითობა დანათებული ქვანტების სიხშირის მიხედვით. ეს სრული გაუგებრობაა, რადგან სინათლეს ნები-

სმიერი ატომის აგზნება შეუძლია, თუ ატომის ენერგეტიკულ დონეებს შორის სხვაობა ქვანტის ენერგიის ტოლია. არჩევითობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ატომთა სისტემა აიროვან მდგომარეობაშია (მცირე წნევების დროს). ამ შემთხვევაში ატომების ენერგეტიკული დონეები ვიწროა და სხვადასხვა ატომს სხვადასხვა შთანთქმის ხაზოვანი სპექტრი აქვს.

როდესაც ატომები კონდენსირებულ გარემოშია (სითხეები, მყარი სხეულები) და მოლეკულებში სხვა ატომებთანაა გაერთიანებული, მისი შთანთქმის სპექტრული ხაზები მნიშვნელოვნად ფართოვდება, რის შედეგადაც სხვადასხვა ატომის ხაზები ერთმანეთს გადაფარავს და დისკრეტული, ვიწრო ხაზების ნაცვლად ფართოზოლიან შთანთქმის სპექტრს ვიღებთ. ერთი და იმავე ატომების სპექტრიც კი განსხვავებულია სხვადასხვა მოლეკულებში, თანაც ძალიან განიერია და მათი გამორჩევა კონდენსირებულ გარემოში შეუძლებელია. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც გამჭვირვალე კრისტალში ძალზე მცირე რაოდენობით შეჰყავთ ატომები (მაგალითად ნეოდიუმი, ქრომი და ა.შ.), რომელთა ზოგიერთი ენერგეტიკული დონე საკმაოდ ვიწროა. სწორედ ასეთი კრისტალები წარმოადგენს ლაზერულ კრისტალებს.

როგორც ვხედავთ, გარკვეული სიხშირის მქონე ქვანტებს ორგანიზმში არსებულ პრაქტიკულად ყველა ატომთან შეუძლია ურთიერთქმედება და კონდენსირებულ მკვრივ გარემოში რომელიმე ატომის სხვებისაგან

გამორჩევაზე საუბარი აზრს კარგავს.

ამდენად, ქიმიური რეაქციების არჩევითობა როგორც ტემპერატურული, ისე ქვანტური ზემოქმედებით, შეუძლებელია, თუმცა, ამა თუ იმ დაავადების შესაბამისი ქიმიური რეაქციების შერჩევა მაინც ხდება. შერჩევის ეს პროცესი ძალზე რთულია და მას ორგანიზმის იმუნური სისტემა ახორციელებს სათანადო ფერმენტების გამოყოფის გზით. სითბო და ფოტონები მხოლოდ აჩქარებს რეაქციებს და ამით აძლიერებს იმუნიტეტს პათოლოგიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთან, **ქვანტების ზემოქმედება გაცილებით ეფექტურია ტემპერატურულ ზემოქმედებასთან შედარებით.**

აღსანიშნავია, რომ ფოტონის სიხშირე ძალზე მნიშვნელოვანია ორგანიზმის ნივთიერებასთან ურთიერთქმედების დროს. ეს დაკავშირებულია სისხლის შთანთქმის სპექტრთან, რომელიც შთანთქმის ფართო ზოლებისაგან შედგება.

მე-2 ნახ-ზე ნაჩვენებია არტერიული (HbO₂) და ვენური (Hb) სისხლის შთანთქმის სპექტრები. როგორც ვხედავთ, ვენური სისხლის მიერ წითელი სხივების შთანთქმის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად ნაკლებია არტერიული სისხლის შთანთქმის კოეფიციენტზე. ამიტომ, ვენური სისხლი მუქი წითელი ფერისაა, არტერიული კი – ღია წითელი. როგორც ვხედავთ, შთანთქმის კოეფიციენტი ძლიერაა დამოკიდებული სიხშირეზე. მართლაც, 0,6–0,7 მკმ ტალღის სიგრძის უბანში შთანთქმის კოეფიციენტი რამდენ-

იმე ასეულჯერ ნაკლებია, ვიდრე იისფერ-მწვანე უბანშია (0,3-0,5 მკმ). ასევე მცირეა შთანთქმის კოეფიციენტი ახლო ინფრაწითელ უბანში (0,8-1 მკმ). სწორე ეს განაპირობებს მოყვითალო-წითელი და ინფრაწითელი სხივების ღრმად შესვლას ორგანიზმის ქსოვილში.

სისხლის შთანთქმის სპექტრის თანახმად, არტერიული სისხლის შთანთქმის კოეფიციენტი თითქმის ათჯერ მცირეა ვენური სისხლის შთანთქმის კოეფიციენტთან შედარებით. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია და გვიჩვენებს, რომ არტერიაში შესული ფოტონები ღრმად შედის სისხლში და დიდ მოცულობასთან ურთიერთქმედებს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ვენებისაგან განსხვავებით, არტერიის სისხლძარღვის კედლები ღია მოვარდისფროა და მასში სინათლის სხივი ადვილად გადის. თუ გავითვალისწინებთ, რომ არტერიული სისხლი მდიდარია ჟანგბადით და ბიოქიმიური რეაქციების აქტიურობაც დიდია, ცხადია, ვენური სისხლის დანათებას ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ტალღის სიგრძის გაზრდასთან ერთად მცირდება სინათლის გაბნევა. ამდენად, ინფრაწითელი სხივები უფრო ღრმად შედის ქსოვილში. თუმცა, 2 მკმ-მდე ტალღის სიგრძის გაზრდას ქსოვილის შთანთქმის კოეფიციენტი მკვეთრად იზრდება და ამიტომ საშუალო დიაპაზონის ინფრაწითელი ლაზერები წარმატებით გამოიყენება ქირურგიაში.

ქვანტური თერაპიის მეთოდებით მკურნალობისას (მედიკამენტოზური მკურნალობის დროსაც კი) ზემოთ მოყვანილი უარყოფითი სიმპტომები არ არის გასაკვირი. მართლაც, პაციენტისთვის არასასიამოვნოა ნემსით ჩხვლეტა ან მწარე წამლის მიღება. ზოგჯერ ქიმიურ წამლებს გვერდითი მოვლენებიც ახასიათებს და, ამდენად, თვით მკურნალობის პროცესი სულაც არ არის სასიამოვნო და არც გუნებაგანწყობაა კარგი, თუმცა, ამის გამო მკურნალობის შეწყვეტა სწორი არ იქნება.

ქვანტური თერაპიის ჩატარებისას დასხივების დოზა უნდა განისაზღვროს მკურნალობის სეანსის განმავლობაში ორგანიზმის ენერგეტიკული დანაკარგების სიდიდის მიხედვით და მკურნალობის შედეგებით.

მართლაც, ორგანიზმზე სინათლის ზემოქმედების შედეგად ბიოქიმიური რეაქციების სიჩქარე მკვეთრად იზრდება (პათოლოგიის შემთხვევაში გარკვეული ფერმენტების მონაწილეობით) და ორგანიზმი, რომელიც ამ რეაქციებს ენერგიით უზრუნველყოფს, სუსტდება. ფაქტობრივად ფერმენტები პათოლოგიის დროს ინიცირებს ბიოქიმიურ რეაქციებს, ხოლო სინათლე (ისევე, როგორც ტემპერატურა) ზრდის ამ რეაქციების სიჩქარეს, რაც ორგანიზმის მიერ მეტი ენერგიის დახარჯვას მოითხოვს. სწორედ ამიტომ პაციენტი სისუსტეს გრძნობს, თუმცა, საკვების მიღებით ამ ენერგიის აღდგენა ადვილად ხდება.

აღსანიშნავია, რომ პათოლოგიის

გარეშე არც შესაბამისი ფერემენტები გამოიყოფა და არც სამკურნალო ბიოქიმიური რეაქციები მიმდინარეობს. ამდენად, ჯანმრთელ ორგანიზმზე სინათლე გავლენას არ ახდენს.

ვირუსული გრიპის მწვავე ფორმის მკურნალობისას ორგანიზმმა შესაძლოა ძალზე დიდი რაოდენობის ენერგია დაკარგოს და ამ დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო.

როგორ შეიძლება ქვანტური თერაპიის დროს დოზირების კონტროლის განხორციელება?

სისხლის შთანთქმის მრუდები გვიჩვენებს (ნახ. 2), რომ შთანთქმის კოეფიციენტი სისხლში ჟანგბადის შემცველობაზეა დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატული სპექტრის 600–700 ნმ დიაპაზონში. სისხლში ჟანგბადის რაოდენობის შემცირებით შთანთქმის კოეფიციენტი იზრდება. ამდენად, აღნიშნულ დიაპაზონში ორ სხვადასხვა ტალღის სიგრძეზე შთანთქმის კოეფიციენტების გაზომვით შეიძლება განისაზღვროს ჟანგბადის რაოდენობა სისხლში.

ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან სისხლში ჟანგბადის რაოდენობა ორგანიზმის ენერგეტიკულ დანაკარგებს ასახავს. სისხლში ჟანგბადის შემცველობის განსაზღვრულ დონემდე შემცირების შემთხვევაში ქვანტური თერაპია უნდა შეწყდეს და ორგანიზმს უნდა მიეცეს დრო, საკვები და ჟანგბადი ენერჯის აღსადგენად.

რაც შეეხება ქვანტური თერაპიის გამოყენების დროს ტკივილის შეგ-

რძნებას, ეს ბიოქიმიური რეაქციების ინტენსიურობის გაზრდასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რაც პათოლოგიის გარკვეულ უბანში წნევის მომატებას იწვევს. ეს ეფექტი ნათლად გამოვლინდება კბილის მკურნალობის დროს, თუმცა ქვანტური თერაპიის გამოყენებით გამოჯანმრთელება საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს.

* * *

სინათლის სხივის სამკურნალო თვისებები. ქვანტური თერაპია წარმატებით გამოიყენება 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის დაავადების სამკურნალოდ. ასეთი უნივერსალიზმი, მართლაც, გასაკვირია, თუმცა მისი ახსნა სავსებით შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა დაავადების განკურნება ერთი, საერთო მექანიზმით ხდება: ეს მექანიზმია ატომისა თუ მოლეკულის აგზნება ერთეულოვანი ქვანტით მასზე ზემოქმედების შედეგად.

ატომების მიერ ოპტიკური დიაპაზონის ფოტონის შთანთქმისას მისი ელექტრონი ძირითადი ენერგეტიკული დონიდან აღგზნებულ დონეზე გადადის, რაც აადვილებს ამ ელექტრონის შემდგომ აგზნებას და ატომის დატოვებასაც კი. ამ შემთხვევაში ატომი ხდება იონი, რომელიც ქიმიურ რეაქციებს აჩქარებს. თვით რეაქციები კი ფერმენტების მიერაა ინიცირებული, რომლებიც ენდოკრინული სისტემის მიერ მხოლოდ პათოლოგიის დროს გამოიყოფა. ამრიგად, პათოლოგიის შემთხვევაში ორგანიზმში გამოიყოფა ის

ფერმენტები და აღივრება ის ბიოქიმიური რეაქციები, რომლებიც კონკრეტულ დაავადებას კურნავს.

ამდენად, ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის იმუნური სისტემის გაძლიერებაა, რაც ფოტონების დასხივებით ან ტემპერატურის გაზრდით მიიღწევა.

ამრიგად, ბიოლოგიური სისტემა საოცრად ჭკვიანურად არის მოწყობილი, თუმცა ზოგჯერ ადამიანის ჩარევა ამ სისტემას დიდ ზიანს აყენებს. ეს პირველყოვლისა ავადმყოფობის დროს, როცა ტემპერატურა 39–40 ოჩზე ნაკლებია, ტემპერატურის შემცირებისკენ სურვილს ენება. მეორეს მხრივ, ეს ქირურგების მისწრაფებებია, რათა ამოკვეთონ დაავადებული ორგანოები, რომელთა თერაპია ჯერ კიდევ შესაძლებელია. ეს პირველყოვლისა გლანდებს ენება, რომლებიც ორგანიზმისთვის მეტად საჭირო ორგანოა და თუ ანთებითი, ჩირქოვანი პროცესი დაიწყო, მკურნალობისთვის თერაპევტიული მეთოდები, მათ შორის, ქვანტური თერაპიის მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული.

ცნობილია, რომ ვირუსული დაავადებების დროს ხშირად სხეულის ტემპერატურა მატულობს. ეს ორგანიზმის მისწრაფებაა უფრო აქტიურად ებრძოლოს ვირუსებს და გამოიმუშავეს ფერმენტების ჯგუფს აუცილებელი ბიოქიმიური რეაქციების ინიცირებისათვის. ამ რეაქციებისთვის საჭიროა საკმარისი დიდი ენერჯია. ამიტომ აუცილებელი ხდება ავადმყოფის

ფის ენერგეტიკული მდგომარეობის კონტროლი და დამატებითი ენერჯის გამოიმუშავება საკვებისა და ჟანგბადის მიღების გზით.

ამდენად, ქვანტური თერაპიით მკურნალობის დროს არაფერი გასაოცარი არ ხდება; იზრდება ბიოქიმიური რეაქციების სიჩქარე და შედეგად მცირდება მკურნალობის დრო, ხოლო საჭირო ბიოქიმიური რეაქციების შერჩევას თვით ორგანიზმი ახორციელებს კონკრეტული პათოლოგიის შესაბამისი ფერმენტების გამოყოფის გზით.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ სინათლის ფოტონების ზემოქმედება ორგანიზმზე ექვემდებარება **ვილდერის კანონს: ორგანიზმის მდგომარეობის საწყისი მაჩვენებლის გაზრდა ან შემცირება ნორმის მიმართ, ორგანიზმის რეაქცია ფიზიოლოგიური ზემოქმედებისა მიმართულია ამ მაჩვენებლის ნორმალურ (საშუალო) მნიშვნელობისკენ. თუ საწყისი მაჩვენებლის სიდიდე ნორმალურია, ორგანიზმის რეაქცია თითქმის არ არსებობს.**

ამრიგად, პათოლოგიის არარსებობის შემთხვევაში, მოყვითალო-წითელი და ინფრაწითელი სხივებით დასხივება ორგანიზმზე საერთოდ არ მოქმედებს. გავიხსენოთ, რომ მზისგან ყოველი წამის განმავლობაში კვადრატულ სანტიმეტრ ფართობზე თითქმის ჯოულ ენერჯიას ვიღებთ. თუ ზედაპირის ფართობს გავითვალისწინებთ, ზღვაზე მზის აბაზანების მიღებისას ჩვენი ორგანიზმი წამში დაახლოებით 100 ჯ ენერჯიას იღებს. ულტრაიისფერი სხივების გარდა, მზის სხივი

ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს. ეს ძალზე მნიშვნელოვანია აფრიკის, სამხრეთ ამერიკისა და ავსტრალიის აბორიგენებისათვის, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს წამალი არ მიუღიათ, ბევრი მათგანი სიბერემდე აღწევს.

საინტერესოა, რომ, თუ ორგანიზმში არსებობს რაიმე პათოლოგიის გამოძვვევი რეაქცია (მაგალითად ათეროსკლეროზული წარმონაქმნები, კენჭები და სხვა), აუცილებლად ორგანიზმში იარსებებს ამ რეაქციების საწინააღმდეგო რეაქციებიც. ნორმალურ პირობებში ეს რეაქციები ერთმანეთს აწონასწორებს, მაგრამ როდესაც მეორე, ანუ მაკომპენსირებელი რეაქციები სუსტდება, ხდება პათოლოგიის ჩამოყალიბება. კინეტიკური პროცესების თეორიული გათვლები გვიჩვენებს, რომ ორივე ჯგუფის რეაქციების სიჩქარის გაზრდა პათოლოგიის შემცირებას იწვევს [1-5]. ეს ფაქტი ექსპერიმენტულად დადასტურებულია ცხოველებზე ჩატარებული კლინიკური გამოკვლევებით.

ქვანტურ მედიცინაში მიღწეული შედეგები იმედს გვაძლევს, რომ მრავალი დავადების მკურნალობა დაჩქარდება, ხოლო მედიკამენტოზური მკურნალობა შემცირდება. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ქვანტური თერაპია მდიკამენტოზურ მკურნალობასთან ერთად აძლიერებს მედიკამენტების ეფექტურობას, ზრდის ორგანიზმის გამძლეობას ფიზიკური და ფსიქოემოციური დატვირთვების მიმართ.

მეცნიერთა მონაცემები დანამდ-

ვილებით ადასტურებს ქვანტური თერაპიის ეფექტურობას ნარკომანიის ნებისმიერ ეტაპზე მკურნალობისას. ამ თერაპიის სამკურნალო ეფექტები უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ნარკოლოგიური პრაქტიკისათვის ინტოქსიკაციური და პოსტინტოქსიკაციური წარმოშობის გადაუდებელი მდგომარეობების კუპირებისას. ყველა მეთოდისათვის საერთოა არამედიკამენტოზური ზემოქმედება ძირითად პათოგენეტიკურ უბნებზე, ჰემოდინამიკურ, მეტაბოლიზურ, ჰიპოქსიურ, სისხლძარღვოვან, ნეირომედიატორულ და მიკროცირკულარულ პათოლოგიებზე.

საინტერესოა ქვანტური მედიცინის ტექნოლოგიების გამოყენების დიდი ეფექტურობა სპორტულ მედიცინაში. ეკოლოგიური და აბსოლუტურად უსაფრთხო ქვანტური მედიცინის ტექნოლოგია საკმაოდ დიდი ხანია, რაც წარმატებით გამოიყენება სპორტსმენტა ტრავმებისაგან სწრაფი განკურნების მიზნით. გარდა ამისა, რადგან სინათლის ფოტონები ასტიმულირებს ორგანიზმის საკუთარ ძალებს ადამიანის ბიოლოგიურად აქტიურ უბნებზე, იწვევს სისხლის მოძრაობის გააქტიურებას და კუნთების ქსოვილების ჟანგბადით ეფექტურ მომარაგებას, იგი მკვეთრად ზრდის ადამიანის შესაძლებლობებს მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად. მართალია, ქვანტური თერაპიის თანამედროვე მეთოდები ძირითადად ტრავმების სწრაფი მკურნალობით შემოიფარგლება, მაგრამ იმედია, რომ მომავალში მისი გამოყენების არეალი სპორტსმენტების მომზადების

თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაფართოვდება.

ასევე მეტად ეფექტურია სინათლის თერაპიის გამოყენება საჯარისო ნაწილებში ჭრილობის, დამწვრობისა და სხვა ტიპის ტრავმების სამკურნალოდ.

* * *

თერმოთერაპია და კრიოთერაპია.

როგორც ცნობილია, ლაზერის სხივით შესაძლებელია სიმსივნის ქსოვილის იმდენად გათბობა, რომ კიბოს უჯრედებისა და მათი მკვებავი სისხლძარღვების დაზიანება გამოიწვიოს, რაც მიკრისკოპიული გამოკვლევებით დასტურდება. კლინიკური ექსპერიმენტების შედეგები ცხადყოფს, რომ სიმსივნის უჯრედების დაზიანებისათვის სავსებით საკმარისია ქსოვილის ტემპერატურის 43–44 ოჩ-მდე გაზრდა. ამ ტემპერატურას კი ნორმალური უჯრედები იტანენ.

ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ციტოტოქსიკური ეფექტი, რომელიც პროტეინების თერმული ინაქტივაციითა და ციტოპლაზმური მემბრანების დაზიანებითაა გამოწვეული, 42,5–43 ოჩ-ზე ვითარდება. მოზრდილ სიმსივნეებში სისხლის მოძრაობის დარღვევა და ქრონიკული ჰიპოქსია უკვე 43 °C-ზე სიმსივნის უჯრედების თერმომგრძობიარობას მნიშვნელოვნად ზრდის და სიმსივნის უჯრედები მთლიანად აზიანებს. ამ ტემპერატურის მიმართ კი ნორმალური ქსოვილი ტოლერანტულია.

ჰიპერთერმია კიბოსა და მისი

რეციდივების საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალება აღმოჩნდა. მაგალითად, ექიმებმა როგორ უნდა მოიცილონ დიაგნოსტიკისთვის უხილავი კიბოს უჯრედების კოლონიები? ქირურგია ამ შემთხვევაში არ გამოდგება, რადგან უცნობია, თუ კონკრეტულად რა უნდა ამოიკვეთოს. ასევე არ ვარგა დასხივებაც, რადგან სამწუხაროდ, ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციაც კი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მომავალში მეტასტაზები არ გაჩნდება.

საბედნიეროდ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია არ დაველოდოთ ახალი სიმსივნის განვითარებას და მისი პრევენცია ზემალაღი გაზურებით მოვახდინოთ. ჰიპერთერმიის შემდგომ ონკომაკერები ნულამდე მცირდება. ამ შემთხვევაში მთელი სხეულის გათბობა ხდება და ამიტომ ჰიპერთერმიის პროცედურა ნარკოზის ქვეშ ტარდება, რა დროსაც ფილტვების ხელოვნური ვენტილაცია ხდება და ხელსაწყოები ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ორგანოს აკონტროლებს. ცხელი აბაზანის მიღებამდე კი პაციენტი ერთი დღის განმავლობაში სტაციონარში მომზადებას გადის – საგანგებო პრეპარატებს იღებს, რომლებიც ორგანიზმს სითბური შოკისაგან იცავს.

ლოკალურ ჰიპერთერმიაში შესაძლებელია ლაზერის სხივის გამოყენება, თუმცა ამისათვის საჭიროა სიმსივნის ქსოვილში წინასწარ შთაშენებული ნაწილაკების შეყვანა. სიმსივნის ტემპერატურის კონტროლი და მისი ზომების დიდი სიზუსტით დადგენა ბირთვული მაგნიტორეზონანსული

დანადგარის საშუალებით ხდება.

აღსანიშნავია, რომ შემოსაზღვრულ უბანში ტემპერატურის გაზრდას ქსოვილების თბოგამტარობა ეწინააღმდეგება. შესაბამისად, აუცილებელი ხდება გათბობის პერიოდის მაქსიმალურად შემცირება. ამ მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ იმპულსურ-პერიოდული ლაზერები.

ცხადია, სითბური ეფექტი აკუსტიკური ტალღების გამოყენებითაც მიიღწევა. ამ შემთხვევაში იყენებენ ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღებით დასხივებას. მართალია, ორი ელექტრომაგნიტური ტალღით სხვადასხვა დაცემის კუთხით სიმსივნის უბნის დასხივება ლოკალურ არეში (ტალღების ზედდების უბანში) შეიძლება მოხდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღა ქსოვილში აღძრავს იმავე სიხშირის აკუსტიკურ ტალღას და სწორედ აკუსტიკური ტალღის ქსოვილზე ზემოქმედება იწვევს ქსოვილის გათბობას. როგორც ვხედავთ, ამ ლოკალურ არეში წარმოქმნილი აკუსტიკური ტალღა მთელ ქსოვილში ვრცელდება და მისი ლოკალიზაცია არ ხდება. ამრიგად, რამდენადაც არ უნდა იყოს ლოკალიზებული ელექტრომაგნიტური ტალღა, მის მიერ წარმოქმნილი ზემაღალი სიხშირის აკუსტიკური ტალღა ლოკალიზებული არ იქნება.

ქსოვილის ლოკალური უბნის გათბობის მიზნით მიზანშეწონილია ლოკალური ელექტროსტატიკური ველით მიღებული ელექტრული დე-

ნის გამოყენება. ეს საკმაოდ მარტივი მეთოდია, რომელიც სპეციალური ელექტროდებით დაავადებული ორგანოს შიგნით ელექტრულ ველს ქმნის. 10–20 ვ/სმ-ზე ელექტრული ველის დაძაბულობა სავსებით საკმარისია, რათა დაავადებულ უბანში 1 წთ-ში ტემპერატურამ საჭირო სიდიდეს მიაღწიოს [6]. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ველი მხოლოდ დაზიანებული უბნის შიგნითაა და ელექტრული დენის გატარებით მხოლოდ ეს უბანი თბება. ცხადია, ერთგვაროვანი ელექტრული ველის შექმნა ძნელია, მაგრამ ქსოვილის თბოგამტარობა გარკვეულად უზრუნველყოფს მთელი ორგანოს შედარებით თანაბრად გაცხელებას.

არის მოსაზრება, რომ ჰიპერთერმია მთელ ორგანიზმს აჯანსაღებს. ამ პროცედურების შემდეგ უმჯობესდება რეპროდუქციული ფუნქციები, ძლიერდება ლიბიდო. გარდა ამისა, იკვეთება ისეთ რთულ სნეულებათა პროფილაქტიკის პერსპექტივა, როგორიცაა ჰერპესი, ქლამიდიოზი, და ჩ ჰეპატიტები, შიდსი, სიფილისი, რადგან 42 °C-ზე ამ დაავადებათა გამომწვევი ვირუსები და მიკრობები იღუპება.

ავთვისებიან სიმსივნეებთან ბრძოლის მეორე მეთოდი (რომელიც თერმოთერაპიის საპირისპიროა) ემჯარება დაავადებულ ქსოვილთა მოკვეთას გაყინვის შემდეგ. ეს ერთ-ერთი ქმედითი ხერხია, რომლის არსი სიცივის ზემოქმედების შედეგად უჯრედული მემბრანების დაშლა. გაყინვის ზონაში სისხლის მიმოქცევა წყდება, რაც ზედაპირზეც და ორგანიზმშიც სიმსივნის

სრულად დაშლას უზრუნველყოფს.

ვარაუდობენ, რომ ტრადიციულ ქირურგიულ მეთოდთან შედარებით კრიომეთოდის უპირატესობა ისაა, რომ მისი მეშვეობით სავსებით შესაძლებელია მეტასტაზების პრობლემის გადაჭრა – ორგანიზმში არც ერთი გადავარებული უჯრედი არ რჩება, რომელსაც ავადმყოფობის რეციდივის გამოწვევა შეუძლია. ამ მეთოდს ფართოდ იყენებენ კრიოქირურგიასა და ოტოლარინგოლოგიაში. კრიოზონდებს იყენებენ აღენოიდების, ხორხში, ტრაქეასა და შუა ყურში ახალ წარმონაქმნთა მოკვეთისას. ამასთან, მედიკოსები ასევე მიმართავენ ორგანიზმის არა მარტო ნაწილობრივ, არამედ მთლიანი გაყინვის მეთოდს, როდესაც მრავალი სერიოზული ავადმყოფობის – ბრონქიალური ასთმის, ინსულტები-

სა და სხვათა მკურნალობის დროს იყენებენ. კერძოდ, ბრონქიალური ასთმის მკურნალობის დროს ცივი წყლის გადასხმის მეთოდს მიმართავენ, რომლის ღირსება ისაა, რომ მედიკამენტოზური მკურნალობისგან განსხვავებით, მას თანმდევი ეფექტი არ ახლავს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აუცილებელია სრულფასოვანი გამოკვლევის ჩატარება, რათა გაყინვით მკურნალობის შესაძლო უარყოფითი შედეგები გამოირიცხოს და თავიდან ავიცილოთ ნერვიული, გულის სისხლძარღვთა და საშარდე სისტემების დაავადებები.

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი ჰიპერთერმია ქიმიოთერაპიასთან ერთად სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედების გასაძლიერებლად, კიბოს ბოლო სტადიების მკურნალობის დროსაც გამოიყენება.

პროფესორი მ. ჯიბლაძე

**ფარმაცევტის პროფესიული თვითშეზღვევა, მისი იდეური
როლის გაახრება ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში
და სათანადო (კარგი) სააწვინაშო პრაქტიკის (GPP)
ეპოლუცია**

XX საუკუნის მსოფლიო ფარ-
მაცევტული ბაზარი წარმოადგენს
პრეპარატების წარმოებისა და რეა-
ლაციის მძლავრ და მზარდ კონგლომ-
ერატს.

საერთაშორისო ანალიტიკური
კომპანიის IMS Health Consulting 2012
წ. მონაცემების მიხედვით მსოფლიო
ფარმაცევტული ბაზრის მოცულობამ
შეადგინა \$940 მლრდ. წინა წლებთან
შედარებით შეინიშნებოდა ზრდა 6%.
ექსპერტები უახლოეს მომავალშიც
პროგნოზირებენ მზარდ ტენდენციას 3-
4%-ით. სავარაუდოდ, მსოფლიო ფარ-
მაცევტული ბაზრის მოცულობა 2016
წ. მიაღწევს \$1,2 ტრილიონს. ასეთი
ზრდის მიზეზებად სახელდება:

* დემოგრაფიული სიტუაცია, კერ-
ძოდ მოსახლეობის სტრუქტურაში
ბავშვებისა და მოხუცების რაოდენო-

ბის ხვედრითი წილის ზრდა;

* არახელსაყრელი ეკოლოგიური
მდგომარეობა, რომელიც იწვევს არა
მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარე-
ობის გაუარესებას, არამედ ახალი პათო-
გენური მიკროფლორის განვითარებას,
რაც ახალი დაავადებების გამოწვე-
ვია;

* საომარი კონფლიქტური სიტუ-
აციები;

* მიგრაციული პროცესები;

* ტექნოგენური კატასტროფების
შედეგად გამოწვეული ეპიდემიები;

* ბუნებრივი კატაკლიზმები და
სხვა.

ბოლო ათწლეულში მედიკამენტე-
ბის მზარდმა მოთხოვნამ გამოიწვია
ფარმაცევტული ბაზრის სტრუქტურ-
ის კარდინალური ცვლილება, რამაც
გაზარდა მოთხოვნა ფარმაცევტზე და
მის მომსახურებაზე.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცი-
ის (ჯანმო) ექსპერტებმა ფარმაცევ-
ტის როლზე აქტიური ინტერესი გა-
მოავლინეს გასული საუკუნის 80-იან
წლებში, რაც გამოწვეული იყო ჯანმ-
რთელობის დაცვის სფეროში ფარ-
მაცევტის ფუნქციური მნიშვნელობის
დაქვეითებამ.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყ-
ნებში გამოიკვეთა ტენდენცია - ფარ-
მაცევტი მოიაზრებოდა მხოლოდ
სამკურნალო საშუალებების გამყიდვე-



ლად. ვინაიდან ის ფუნქცია, რომელიც დაკავშირებული იყო სამკურნალო საშუალებების წარმოებასა და ექიმების ინფორმირებულებასთან, თავის თავზე აიღეს ფარმაცევტული პროდუქტის საწარმოთა მარკეტინგის წარმომადგენლებმა. ცხადია, ეს ტენდენციები არ შეესაბამებოდა არც ფარმაცევტების და არც საზოგადოების ინტერესებს, რადგანაც ფარმაცევტის დანიშნულების შეუფასებლობას უდაოდ მივყავართ მათი პროფესიული ცოდნისა და პოტენციური შესაძლებლობების არასრულ გამოყენებამდე. ასევე დარგის სპეციალისტებს აიძულებს ორიენტირდნენ მხოლოდ ეკონომიკურ ინტერესებზე (გაზარდონ რეალიზაცია, გაიყიდოს უმეტესწილად ძვირადღირებული ფარმაცევტული პროდუქტი და სხვა).

გასული საუკუნის 80-იან წლებში საერთაშორისო დონეზე შეიქმნა ყველა აუცილებელი პირობა ამ პრობლემის განსახილველად, ვინაიდან:

- შემცირდა მოთხოვნა ექტემპორალურ წამლის ფორმებზე, პრაქტიკულად სამკურნალო საშუალებების დამზადება ხორციელდებოდა ძირითადად საწარმოო პირობებში.

- წამლების რეალიზაციის სფერომ განიცადა არსებითი ცვლილება. მაგ. აშშ-სა და იაპონიაში წამლებს გასცემდნენ მხოლოდ ექიმები.

- გაფართოვდა რეალიზაცია საზოგადოებრივ სავაჭრო ობიექტებში (მაგ. სუპერმარკეტებში). უფრო პოპულარული გახდა ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია ფოსტით, უკანასკნელ წლებში - ინტერნეტით.

- ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციას განახორციელებდნენ უმეტესად ბიზნესმენები, რომელთაც არ გააჩნდათ ფარმაცევტული განათლება.

- გართულდა სხვადასხვა სექტორის ფუნქციონირება, როგორცაა: ფარმაცევტული პროდუქტის შექმნა და წარმოება, ხარისხის კონტროლი, მომარაგება, რაციონალური გამოყენება, ფარმაცევტული ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სხვა.

- წარმოიშვა პრობლემა ფალსიფიცირებულ პრეპერატებზე, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში გარკვეული პრობლემები.

- ისეთ სფეროებში, სადაც ტრადიციულად დომინირებდნენ სპეციალისტები სამედიცინო, ქიმიური და ეკონომიკური განათლებით, შეიქმნა მოთხოვნა ფარმაცევტული განათლების სპეციალისტებზეც.

ამრიგად, შეიქმნა სიტუაცია, ერთის მხრივ - ფარმაცევტული ცოდნა აღმოჩნდა მოთხოვნადი, მეორეს მხრივ - არასაკმარისი. [34; 21]

ინიციატორად გამოჩნდა პროფესიული გაერთიანება - საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაცია (FIP — Federation International Pharmaceutique), რომელიც, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობდა ჯანმო-სთან და აქტიურად მხარს უჭერდა მის პროგრამებს სამკურნალო საშუალებებთან მიმართებაში.

1985 წ. ჯანმო-ს ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა სტრატეგია „ჯანმ-

რთელობა ყველას - 2000 წლისთვის", რომლის საფუძველზე საჭირო გახდა ხელახლა განსაზღვრულიყო ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტების ფუნქციური დანიშნულება. რაც გამოიკვეთა დასკვნით მოხსენებებში ჯანმო-ს საერთაშორისო კონფერენციებზე:

- ევროპის რეგიონალური კონფერენცია - „ფარმაცევტის როლი საზოგადოებრივ და საავადმყოფოს აფთიაქებში" (მადრიდი. ესპანეთი 1988 წ.);

- პირველი საერთაშორისო კონფერენცია - „ფარმაციის არსი და ფარმაცევტის ფუნქციები". (ნიუ დელი. ინდოეთი 1988 წ.);

- მეორე საერთაშორისო კონფერენცია - „ფარმაცევტული მომსახურების ხარისხი - სარგებელი სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის". (ტოკიო. იაპონია. 1993წ.);

- მესამე საერთაშორისო კონფერენცია - „ფარმაცევტების მომზადება - სასწავლო პროგრამების შექმნა". (კანადა. 1997 წ.);

- მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია - „ფარმაცევტის როლი თვითმკურნალობაში". (ჰააგა. ნიდერლანდები 1998წ.);

ამ კონფერენციების დასკვნების ანალიზი ცხადყოფს, რომ აქცენტი გაკეთებულია არა მხოლოდ ფარმაცევტული დარგის კვალიფიცირებული სპეციალისტების აუცილებლობაზე, არამედ მათი პიროვნული თვისებების სრულყოფაზე, რომლებიც პროფესიულ უნარებთან ერთად სპეციალისტს საშუალებას მისცემს ღირსეული ადგ-

ილი დაიკავოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში.

კონფერენციის მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ შესაბამისი პროფილის სასწავლო პროგრამების განახლების აუცილებლობას. მათი აზრით, ამ ამოცანის რეალიზებისთვის საჭიროა დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა (სასწავლო დაწესებულება, სახელმწიფო ორგანიზაცია, ფარმაცევტული საწარმო, ლაბორატორია და სხვა), როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

1992 წ. საერთაშორისო ფარმაცევტულმა ფედერაციამ შეიმუშავა ფარმაცევტული მომსახურების სტანდარტები სახელწოდებით - „სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკა საზოგადოებრივ და საავადმყოფოს აფთიაქებში", იგი განსახილველად წარდგინა 1993 წ. ჯანმო-ს ექსპერტებს, რომლებმაც დაადასტურეს სისწორეზე და დაამტკიცეს 1994 წ.

1992 წლიდან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალურ ბიუროში (კოპენჰაგენი.დანია) ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპისთვის ამოქმედდა სპეციალური ფარმაცევტული პროგრამა, რომლის მიზანი იყო დახმარებოდნენ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს.

1993 წ. საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაციის (FIP)-ის მიერ შეიმუშავდა ფარმაცევტული სერვისის ხარისხის სტანდარტი (შტანდარდს ფორ ქუალიტე ოფ ჰჰარმაცე სერვისეს), რომლის საფუძველზეც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შეიმუშავა -

სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკა ოლდ პპარმაცე პრაქტიცე (GPP). იგი თავის მხრივ წარმოადგენს პროფესიული ამოცანების ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც ემსახურება პაციენტების ინტერესებს.

1993 წლის ტოკიოს ყრილობის შედეგები ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის მიერ განხილულ იქნა 1994 წ. ჯანდაცვის სფეროს უმაღლეს საერთაშორისო ფორუმზე. ასამბლეის რეზოლუციის პრეამბულა (ჯანმო 47.12 10 მაისი 1994წ.) შეიცავს უმთავრეს დასკვნებს, რომ „ფარმაცევტი წარმოადგენს მნიშვნელოვან სპეციალისტს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში“.

ჯანმო-ს რეზოლუციაში დასაბუთებულია ფარმაცევტების მონაწილეობის აუცილებლობა დადგენილებებისა და წესების შემუშავებაში, რომლებიც არეგულირებენ ფარმაცევტულ საქმიანობებს.

ჯანმო-ს წევრ ქვეყნებს მოეწოდათ განესაზღვრათ ფარმაცევტის როლი ჯანდაცვის სისტემის ყველა დონეზე, განსაკუთრებით ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებაში.

საერთაშორისო ფარმაცევტული ფედერაცია FIP თვლის, რომ სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის სტანდარტები უნდა მიიღონ და განიხილონ საერთაშორისო ფარმაცევტულმა ორგანიზაციებმა, როგორც საფუძველი GPP ნაციონალური სტანდარტების შესაქმნელად. სახელმძღვანელო პრინციპები გამომდინარეობს ფარმაცევტული საქმიანობის პრაქტიკიდან,

რომელთა მიხედვით ნაციონალური სტანდარტები იქმნება შემდეგი მიზნებისათვის:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
- სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების მიწოდების მექანიზმის რეგულირება;
- პაციენტების თვითმკურნალობაზე მართებული ზემოქმედება და თანამონაწილეობა;

- წამალთა დანიშვნისა და გამოყენების მეთოდოლოგიური სრულყოფა ფარმაცევტების თანამონაწილეობით;

ევროკავშირის ფარმაცევტული ჯგუფი (PGEU), ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაცია (FIP) და ჯანმრთელობისა მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) მოუწოდებენ მთავრობებს და ფარმაცევტულ ასოციაციებს ერთობლივად შეიმუშაონ (ან გადასინჯონ) ფარმაცევტული პრაქტიკის ნაციონალური სტანდარტები სათანადო ფარმაცევტული პრაქტიკის (GP) თანამედროვე რეკომენდაციათა შესაბამისად.

1997 წ. „ფარმაცევტული მომსახურების სტანდარტები საავადმყოფოსა და საზოგადოებრივ აფთიაქებში“ დანართის სახით დაემატა ჯანმოს ექსპერტების დასკვნებს ფარმაცევტული პროდუქტების სპეციფიკაციებზე, რამაც სათანადო სააფთიაქო პრაქტიკის რეკომენდაციებს მისცა გაცილებით ოფიციალური სტატუსი და საფუძველი დაუდო მათ გავრცელებას საზღვრებს გარეთ. ამ გადაწყვეტილების აუცილებლობა ნაკარნახები იყო თანამედროვე ჯანდაცვის სისტემაში ფარ-

მაცვეტის როლისა და პასუხისმგებლობის გააზრებით, რომელიც მოიცავს გაცემული ფარმაცევტული პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფას, ჯანდაცვის სისტემის სხვა მუშაკების პასუხისმგებლობის გაზიარებას მკურნალობის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

სათანადო (კარგი) სააფთიაქო პრაქტიკის რეკომენდაციები 2000 წლიდან არაერთხელ გაჟღერებულა ჯანმოს ექსპერტთა კომიტეტის (Expert Committee on Specifications for Pharmaceutical Preparations) სხდომაზე, რომელიც ჟენევაში ყოველწლიურად იმართება, დღის წესრიგში რეგულარულად განიხილება და მტკიცდება ისეთი სამეცნიერო საკითხები როგორცაა: ტექნიკური რეგლამენტები, საერთაშორისო ფარმაკოპიის ახალი მონოგრაფიები და გაიდლაინები, რომლებიც ეხება ფარმაცევტული დარგის სპეციალისტებს, სადაც ჯანმოს ექსპერტები აღიარებენ, რომ ფარმაცევტის ფუნქციები უნდა უფრო გაფართოვდეს, განსაკუთრებით ფარმაცოხედამხედველობის სფეროში.

ქ. ნიცაში 2002 წ. FIP პრეზიდენტმა პ. კილგასტმა ფედერაციის კონგრესსზე აღნიშნა, რომ ფარმაცევტული დახმარების კონცეფციის დანერგვა მსოფლიოს ქვეყნებში აქტიურად მიმდინარეობს, ამერიკის უმაღლესი ფარმაცევტული სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, ფარმაცევტული პრაქტიკის სტანდარტები ქვეყნის 40 შტატის საკანონმდებლო მოთხოვნებშია შესული. 2006 წ.-დან აშშ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილ იქნა ცვ-

ლილებები ფარმაცევტ კლინიციისტიის მოსამზადებლად.

მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ფარმაცევტული დახმარება გამოდინარეობს სააფთიაქო პრაქტიკის რეკომენდაციებიდან და ზორციელდება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან და მკურნალ ექიმებთან შეთანხმებით. ამ შემთხვევაში საუბარია მედიკამენტური თერაპიის მენეჯმენტზე (Medication Therapy Management — MTM). ფარმაცევტული დახმარება და თ მოიცავს ფარმაცევტთა და ექიმთა პროფესიული საქმიანობისა და პასუხისმგებლობის ფართე სპექტრს. სადაც მოიაზრება კერძოდ:-

- პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება;
- მედიკამენტური თერაპიის მეთოდის შერჩევა და განხორციელება;
- მიმდინარე თერაპიის მონიტორინგი, შეფასება უსაფრთხოებისა და ეფექტურობის მიხედვით; თერაპიის ანალიზი წამლებთან დაკავშირებული პრობლემების გამოსარკვევად, გვერდითი მოვლენების გათვალისწინებით;
- მიღებული ინფორმაციის დოკუმენტირება და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის თანამშრომლებზე გადაცემა;

ფარმაცევტული პრაქტიკა და ფარმაცევტთა მომზადება ზეგავლენას ახდენს ერთმანეთზე, შესაბამისად იცვლება უმაღლესი დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფორმატი, კონცეფციის „ფარმაცევტი 7 ვარსკვლავით“ მომზადების მიზნით.

2011 წ. ჯანმოსა და FIP-ის თან-

ამშრომლობით სათანადო სააფთიაქო პრაქტიკამ (GPP) უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო, სახელწოდებით - „ჯანმოსა და FIP-ის ერთობლივი სახელმძღვანელო სათანადო სააფთიაქო პრაქტიკაში: ფარმაცევტის მომსახურების ხარისხის სტანდარტები" (Joint FIP/WHO guidelines on good pharmacy practice: standards for quality of pharmacy services). მოდიფიცირებულ და განახლებულ იქნა ზოგიერთი პროცედურა, რომელიც უკავშირდება ჯანმოს პროგრამას, კერძოდ წამლების ხარისხის კონტროლის რეგლამენტაციას (WHO guidelines for preparing a laboratory information file). ცვლილება ასევე შეეხო ფარმაცევტული პროდუქტის ტრანპორტირებისა და შენახვის ეტალონურ მოთხოვნებსაც (Model requirements for the storage and transport of time and temperature sensitive pharmaceutical prod-

ucts). ამასთან დაკავშირებით კომიტეტის ექსპერტების მიერ განიხილება ისეთი დოკუმენტები, როგორცაა სუბსტანდარტული მედიკამენტების ახალი განსაზღვრება (New definition for substandard medicines)

მსოფლიო კონტექსტის ფარგლებში - უფრო მეტ შესაძლებლობებს იკრებს ჰარმონიზაციის პროცესები, უფრო გახსნილ სახეს იღებს ფარმაცევტული მარკეტინგული ბაზარი. მსოფლიო სწრაფად პროგრესირებს, რაც უფრო გახსნილია ბაზარი, მით უფრო მკაცრი და მომთხოვნია კონკურენცია. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში არასოდეს არ არის საკმარისად და დამაკმაყოფილებლად დასრულებული პროცესი, ყოველთვის შესაძლებელია გაკეთდეს უკეთესად და ყოველთვის უნდა გაკეთდეს მეტი პაციენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

ჭანტურია ზინაიდა.
თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი

„გაბონდება თუ არა კარალეთის დღეები“

გალაკტიონის ამ ლექსის არსებობა პირველად 1969 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კურსზე ყოფნისას შევიტყვე- არა და ზეპირად ვიცოდი „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას“, „დროშები ჩქარა“ და ა.შ. ე.ი. ის ლექსები, რომლებსაც სკოლაში გვასწავლიდნენ გალაკტიონის შემოქმედებ- ბიდან. პირველი კურსის მეორე სემესტრში გეოგრაფიაში საკურსო შრო- მას უნივერსიტეტის პირველ კორპუს- ში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტე- ტის ბიბლიოთეკაში ვწერდი. იმჟამად ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა უხ- უცესი აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავ- ახიშვილი. ბიბლიოთეკით სარგებლო- ბა კარგა ხანს მომიწია. ასე, რომ ბიბ- ლიოთეკის მომსახურე პერსონალი



კარგად მიცნობდნენ. ერთხელ ერთ- ერთმა ქალბატონმა მკითხა თუ საიდ- ან ვიყავი. მე ვუპასუხე, რომ გორის რაიონის სოფელ კარალეთიდან ვარ მეთქი. ქალბატონმა მითხრა, რომ ბა- ტონ ალექსანდრეს არ უყვარს კარა- ლეთი და თუ შეგეკითხება საიდან ხარო ნუ ეტყვი, რომ კარალეთიდანო. რამ- დენიმე დღის შემდეგ მართლაც მობრ- ძანდა ბატონი ალექსანდრე ბიბ- ლიოთეკაში და რამდენიმე სტუდენტს გაესაუბრა და მათ შორის მეც. ბატო- ნი ალექსანდრე დაინტერესდა თუ რომელ ფაკულტეტზე ვიყავი, რა სა- განში და რა თემაზე მქონდა საკურსო და ბოლოს მკითხა თუ საიდან ვიყავი. მე გამახსენდა ქალბატონის გაფრთხ- ილება და ვუთხარი ნაჭარმაგვევიდან ვარ მეთქი (კარალეთი ეს ისტორიუ- ლი ნაჭარმაგვევია), ბატონმა ალექსან- დრემ ჩაიცინა და მომიგო - აი შე ეშმაკო კარალეთიდან ხარო. მე მეგონა, რომ ბატონი ალექსანდრე აღარ ისურ- ვებდა ჩემთან საუბრის გაგრძელებას, მაგრამ პირიქით, მან მეტად თბილად მომმართა- ყმაწვილო, თუ იცით ვის დაუწერა გალაკტიონმა ლექსი „გაგ- ონდება თუ არა კარალეთის დღეე- ბიო“, არადა ვის დაუწერა კი არა ამ ლექსის არსებობაც არ ვიცოდი. ბა- ტონი ალექსანდრე მიხვდა ყოველივე აღნიშნულს და მომიგო - ყმაწვილო, კარგი იქნება თუ დაინტერესდები ამ საკითხით და გაიგებ ვის დაუწერა გალაკტიონმა ეს ლექსი. სამწუხაროდ ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა ბა- ტონი ალექსანდრე და ჩემთვის გამოცა- ნად დარჩა იცოდა თუ არა მან თუ ვის

ეკუთვნოდა ეს ლექსი. არა და მაშინ რას წარმოვიდგენდი თუ მერგებოდა ბედნიერება პასუხი გამეცა ბატონი ალექსანდრეს მიერ დასმულ შეკითხვაზე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი ალექსანდრე სოფელ ძევერიდან (კარალეთის მეზობელი სოფელია) იყო. ძევერელ ჯავახიშვილებს ახლო ურთიერთობები ჰქონიათ ერისთავებთან და რა თქმა უნდა კარალეთის ბატონებთან მამაშვილ რევაზ და მიშა ერისთავებთან. ბატონმა ალექსანდრემ რა თქმა უნდა კარგად იცოდა თუ რა მუხანათურად დახოცეს კარალეთის ყოფილი ბატონი მიშა და მისი შვილი 18 წლის რევაზ ერისთავები, ხოლო მიშას მეუღლე და მისი სამი ქალიშვილი სოფლიდან გააძევეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არ არის გამორიცხული, რომ მას კარალეთი სწორედ ამიტომ ეჯავრებოდა მითუმეტეს სამეული, რომლებმაც სადისტურად დახოცეს მამა-შვილი სამივე კარალელები იყვნენ.

რაც შეეხება გალაკტიონის ლექსს მისი სათაური კი ვიცოდი, მაგრამ ტექსტს კარგა ხანს არ ვიყავი გაცნობილი. უნივერსიტეტში საღამოს დასწრებულზე ვსწავლობდი, სწავლასთან ერთად ვმუშაობდი ქარხანაში, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ საათობრივი ანაზღაურების წესით ვმუშაობდი ამავე უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტის სტატისტიკის კათედრაზე ლექტორად. ამავე დროს ვმუშაობდი ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, ვიყავი საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი. ასე, რომ დრო ვერ გამოვანახე

ბატონი ალექსანდრეს თხოვნის შესასრულებლად.

და აი ერთ მშვენიერ დღეს უკვე ასაკში შესულმა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ წავიკითხე ორბელიანის საზოგადოების თავმჯდომარის მწერალ როსტომ ჩხეიძის სტატია „კარალეთის ერთი დღე“. ბატონი როსტომი წერდა, რომ საჭირო იყო ერისთავების უპატრონოდ მიტოვებული, დაქცეული სასახლის აღდგენა და მასში მუზეუმის განთავსება. ბატონი როსტომი ამავე სტატიაში ლაპარაკობდა მის მიერ დაწერილ წიგნზე „ელიზბარ ერისთავი“. მე ეს წიგნი მოვიძიე, ყურადღებით წავიკითხე, მაგრამ მასში მიშა ერისთავსა და მის შვილზე ვერაფერი ამოვიკითხე, ბატონ როსტომს შევხვდი და მივაწოდე ინფორმაცია კარალეთელ ერისთავებზე, ბატონმა როსტომმა ყურადღებით მომისმინა და მითხრა ეს ყველაფერი დამეწერა და იგი დამეხმარებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებაში. მე მოვამზადე სტატია და გადავეცი ბატონ როსტომს, მართლაც სულ მალე სტატია გამოქვეყნდა, მაგრამ არა „ლიტერატურულ საქართველოში“, არამედ გაზეთ „ახალ საქართველოში“ (რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი), როგორც შემდეგ გაირკვა ბატონ როსტომს „ლიტერატურულ საქართველოსთან“ პრობლემები შეექმნა და გაწყვიტა თანამშრომლობა გაზეთთან, ასე აღმოჩნდა ჩემი სტატია გაზეთში, რომლის არსებობაც კი არ ვიცოდი იმ ხანად. გაზეთის შემდეგ ნომერში ჩემს სტატიაზე გაჩნდა გამოხმაურებები. კერძოდ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფე-

სორის ელდარ მამისთვალიშვილისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ორბელიანის საზოგადოების წევრის ბატონი უმანგი სახლთხუციშვილისა. ორივე გამოხმაურება ძალზედ კრიტიკული იყო. ბატონი უმანგი და ბატონი ელდარი ძალიან გააღიზიანა სტატიაში გამოთქმულმა მოსაზრებამ, რომ კარალეთი ეს ისტორიული ნაჭარმაგვეი იყო და მე მოვითხოვდი კარალეთისათვის ნაჭარმაგვეის დარქმევას. განსაკუთრებით მწვავე იყო უმანგი სახლთხუციშვილის გამოხმაურება, რაც გამოხმაურების სათაურშივე შეინიშნებოდა. გამოხმაურების სათაური არც მეტი და არც ნაკლები ასეთი იყო „ქუთაისისათვის ცხაკაია უნდა დაერქმიათ“. რა თქმა უნდა ჩემთვის გაუგებარი იყო რა საერთო ჰქონდა ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან. იგი ცინიკურად წერდა, რომ მტერი დადის საქართველოში და ძირძველი სოფლების სახელების გადარქმევას ცდილობსო. მე შეგნებულად ავარიდე თავი გაზეთის საშუალებით მუხასუნა ბატონ უმანგისათვის, პირადად შევხვდი უნივერსიტეტში და დავუსაბუთე, რომ მისი გამოხმაურება არასწორია და ყოველგვარ ლოგიკას იყო მოკლებული. მან ბოდიში მომიხადა, აღიარა, რომ ასე დეტალურად არ იყო საქმეს გაცნობილი და მთხოვა წამეყვანა კარალეთში და ყოველივე ამას მოსახლეობის წინაშე იტყოდა. (ისე ნათქვამია, რომ ზოგი ჭირი მარგებელიაო, მე რომ აღნიშნული სტატია არ გამოძეკვეყნებინა ვერასოდეს გავიგებდი კარალეთის მეცნიერულად დასაბუთებულ ისტორიას). რა თქმა უნდა მე ეს არ გამიკეთებია, მაგრამ ყოვე-

ლივე აღნიშნული მოვახსენე ბატონ როსტომს. ბატონი როსტომი ძალიან შეწუხდა მომხდარის გამო და შემპირდა ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებდა. მართლაც ერთ მშვენიერ დღეს ბატონი როსტომი მირეკავს და მეუბნება - წაკითხე გუშინდელი „ახალი საქართველო“? მე ვუპასუხე, რომ არ მქონდა წაკითხული. მაშინ ბატონმა როსტომმა მირჩია აუცილებლად წამეკითხა, რადგანაც იქ ჩემთვის საინტერესო მასალას ვნახავდი. მე მართლაც მოვძებნე გაზეთი, წავიკითხე ჩემს სტატიაზე გამოხმაურება და, რომ იტყვიან შვებით ამოვისუნთქე. გამოხმაურებაში, რომელსაც ხელს აწერდა რევაზ მაყაშვილი, დიდი მადლიერება იყო ჩემს მიმართ გამოხატული, სტატიაში კარალელ ერისთავებთან დაკავშირებული საკითხების პირველად ასე საჯაროდ განხილვისათვის. მე რა თქმა უნდა მოვძებნე (გამოხმაურებაში არ იყო მითითებული მისი კოორდინატები) ბატონი რევაზი და იგი აღმოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. ბატონმა რევაზმა ძალზედ გულთბილად მიმილო და ჩვენი საუბარი კარგა დიდხანს გაგრძელდა. ბატონმა რევაზმა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ერისთავების სახელით დიდი მადლობა გადამიხადა, რომ ასეთ მტკივნეულ და იმ დროისათვის მეტად რთულ საკითხს, რომ შევეხე. რაც მთავარია მასთან საუბარში გაირკვა, რომ იგი არც მეტი და არც ნაკლები კარალეთის ყოფილი ბატონის მიმა ერისთავის შვილიშვილი იყო. როგორც გაირკვა მას, როგორც მიმა ერისთავის

პირველ შვილიშვილს მისი დაღუპული ბიძის სახელი რევაზი დაარქვეს. და აი დადგა დრო, როცა ბატონ ალექსანდრე ჯავახიშვილის დავალებას ხორცი შეესხა. ბატონ რევაზ მაყაშვილთან საუბრისას მე ვახსენე გალაკტიონის ლექსი „გაგონდება თუ არა კარაღეთის დღეები“. ბატონმა რევაზმა განარებულმა მითხრა, მერე შენ იცი გალაკტიონმა ვის დაუწერა ეს ლექსიო. მე გაკვირვებულმა ვკითხე - ვის მეთქი. მან მომიგო, რომ ეს ლექსი ეკუთვნოდა მის დეიდას ქალბატონ ეკატერინე ერისთავს, რომელიც გაუთხოვარი დარჩა და მთელი ცხოვრება დისშვილების აღზრდაში და საერთოდ ქველმოქმედებაში გაატარა. ქალბატონი ეკატერინეს ნათესავების ვიწრო წრემ იცოდა, რომ ეს ლექსი გალაკტიონმა სწორედ მას დაუწერა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მიშა ერისთავს ოთხი შვილი ჰყავდა, 1 ბიჭი და 3 გოგო. თუ რა ბედი ეწია რევაზის უკვე ცნობილია, რაც შეეხება გოგოებს, მათგან მხოლოდ ერთი რევაზ მაყაშვილის დედა ქალბატონი რუსუდანი (რურუ) ერისთავი გამრავლდა. ეკატერინე და ნინო დარჩნენ გასათხოვრები (იხ. ფოტო 1 და 2, პირველ ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ ეკატერინე, ნინო, რუსუდანი (რურუ) და რევაზი. მეორე ფოტოზე



ფოტო №1



ფოტო №2

მარცხნიდან მარჯვნივ რუსუდანი (რურუ), ეკატერინე და ნინო ერისთავები).

გადმოცემით ცნობილია, რომ ქალბატონი ეკატერინე (გალაკტიონის ლექსის მუზა) სილამაზით ბევრად არ გამოირჩეოდა სხვებისაგან, მაგრამ მას ისეთი სასწაული თვალები ჰქონია, რომ გალაკტიონი გულგრილი არ დარჩენილა მისდამი. ჩემთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ღრმად მოხუცებულსაც კი ისეთივე ეშხიანი და მიმზიდველი თვალები ჰქონია, როგორც ახალგაზრდობისას. ნათქვამია ვინც ეძებს ის პოულობს კიდევო და მართლაც ჩემმა ძიებამ ნაყოფი გამოიღო. სამწუხაროდ ბატონი რევაზ მაყაშვილი, რომელსაც ორი ინფაქტი ჰქონდა გადატანილი, ჩემთან შეხვედრის შემდეგ რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა და დანაპირები, რომ იგი თავის არქივს გამაცნობდა ღიად დარჩა. სამაგიეროდ ეს ვაკუუმი შეავსო მისმა ქალიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელმა ქალბატონმა ეკა მაყაშვილ-

მა. სწორედ მისგან გავიგე ის რამაც ნათელი მოჭვინა იმ ბურუსით მოცულ საკითხს, თუ ვის დაუწერა გალაკტიონმა ეს ლექსი. როგორც გაირკვა მიშა ერისთავის მეუღლე ქალბატონი ელენე საგინაშვილი პოეზიის დიდი მოყვარული ყოფილა და იგი ხშირად აწყობდა კარალეთში ერისთავების სასახლეში (ე.ი. საკუთარ სახლში) პოეზიის საღამოებს. და აი ერთხელაც ერთ-ერთ საღამოზე მან სტუმრად მოიწვია ახალგაზრდა, პოეზიის მეფე გალაკტიონი. ეს საღამო შედგა არა 1928 წელს, როგორც მითითებულია გალაკტიონის ლექსების კრებულში, არამედ უფრო ადრე, სავარაუდოდ 1918 წელს. 1928 წელს გალაკტიონი ვერ მოხვდებოდა კარალეთში კერძოდ ერისთავების სასახლეში იმ მიზეზის გამო, რომ ამ დროისათვის ცოცხლები აღარ იყვნენ სოფლის ყოფილი ბატონი მიშა და მისი ვაჟიშვილი რევაზი. მიშა ერისთავის მეუღლე და სამი ქალიშვილი კი გაძევებულნი იყვნენ სოფლიდან, ხოლო სასახლე ამ დროისათვის უპატრონოდ მიტოვებული და სრულიად გაპარტახებული იყო. როგორც ლექსიდან ჩანს გალაკტიონი არა მარტო იმ საღამოს, არამედ რამდენიმე დღე დარჩენილა სტუმრად კარალეთში, ერისთავებთან (გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები), სწორედ ამ დღეებში გაიცნო მიშა ერისთავის უფროსი ქალიშვილი, მომაჯადოვებული თვალების მქონე 20 წლის ეკატერინე ერისთავი. და სწორედ მასთან უსერიანია საღამოობით კარალეთში, აღნაგობითაც წარმოსადგევი ქალიშვილი ყოფილა (მივდიოდით მხარდამხარ). აღსანიშნავია, რომ გალაკტიონი სოფელ

კარალეთში 1934 წელსაც ყოფილა. ამ პერიოდისათვის კარალეთი საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობა იყო და არ არის გამორიცხული, რომ გალაკტიონი კოლმეურნეობის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მიიწვია სახეიმო სხდომაზე. ცნობილია, რომ გალაკტიონს უყვარდა წარსულ მოვლენებთან დაბრუნება. ამის დამადასტურებელია სწორედ აღნიშნული ლექსის დაწერა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გალაკტიონმა ლექსი დაწერა არა მაშინ როცა იმყოფებოდა კარალეთში, არამედ გაცილებით უფრო მოგვიანებით, რაც ლექსს თავიდან ბოლომდე ლეიტმოტივად გასდევს. მე რა თქმა უნდა ჩემს თავზე არ ვიღებ ლექსის დაწერის ზუსტი თარიღის დასახელებას. მე ვიძახი ჩემს მოსაზრებას, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეობს თვით ლექსის შინაარსიდან. მინდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული ლექსი გალაკტიონმა დაწერა არა 1918 წელს, როგორც ეს მითითებულია გალაკტიონის 2011 წელს გამოცემულ ლექსების კრებულის პირველ ტომში, არამედ უფრო მოგვიანებით, სავარაუდოდ 1928 წელს. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს თვით ლექსის შინაარსი: „გაგონდება თუ არა“, „კიდევ შეგრჩა თუ არა“, „ნეტა ახლა სადა ხარ“ და ა.შ.

მე, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი, ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ერთი კუპლეტი ლექსი შევიტანე 2007 წელს გამოცემულ ჩემს ლექსების კრებულში, „მე ჩემს სათქმელს ლექსად გეტყვით“:

ნაჭარმაგეგში მიშა ერისთავს,

ესტუმრა გალაკტიონი,
ლექსი დაწერა უკვდავი,
მოწმედ ჰყავს კავკასიონი.

ასე, რომ გალაკტიონის ლექსის „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეების“ მუზა ეჭვს აღარ იწვევს, რომ ნამდვილად იყო სოფელ კარალეთის ყოფილი ბატონის მიმა ერისთავის უფროსი ქალიშვილის ეკატერინე მიხეილის ასული ერისთავი. ეკატერინე ერისთავი დაიბადა 1898 წელს და გარდაიცვალა 1961 წელს. ეკატერინე ერისთავი როგორც უკვე ავლნიშნე ზემოთ გაუთხოვარი დარჩა და მთელი თავისი სიცოცხლე ქველმოქმედებას მოახმარა. ეკატერინე ერისთავი იყო ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოში ფიზიოპათოლოგიის ერთ-ერთი დამაარსებელი. სიცოცხლის ბოლომდე იგი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ (იხ. ფოტო 3).

აღსანიშნავია, რომ მისი დის ქმარის ივანე მაყაშვილის 1937 წელს დაპატიმრების შემდეგ მან იკისრა დისშვილების აღზრდა და პატრონობა. მის



ფოტო №3

გარშემო ბევრი იყო რეპრესირებული ოჯახების წარმომადგენლები.

მამა შვილის - მიმა და რევაზ ერისთავების მკვლელობის შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია არსებობს. ჩვენ მოვიძიეთ მასალები, რომლებმაც საბოლოოდ ფარდა ახადა ამ გასაიდუმლოებულ მკვლელობას. ტრაგედია დატრიალდა ტირიფონის ველზე. როგორც ცნობილია 1922-24 წლებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომხდარ წარუმატებელ აჯანყებას მოჰყვა მასობრივი რეპრესიები. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში დატრიალებული ტრაგედია.

1924 წლის სექტემბერში სოფელ ქვემო ჭალაში შეიარაღებულმა რაზმმა ე.წ. „სამეულმა“ დააკავა მესხიშვილები, ერისთავები, ქარუმიძეები, ჭელიძეები, ზალიშვილები, პარკაძეები და სხვა. მათ განუცხადეს, რომ გორში უნდა წაეყვანათ გასასამართლებლად. დაპატიმრების მომენტში მიმა ერისთავი შვილთან რევაზისთან ერთად იმყოფებოდა კასპის რაიონის სოფელ ოძისში დასთან ერთად სტუმრად. (იხ. ანდრე კარბელაშვილის მოთხრობების კრებული).

ეს ამბავი ცნობილი გახდა ქვემო ჭალაში მცხოვრებ 73 წლის ანდრია და მისი უმცროსი ძმის 64 წლის პეტრე კარბელაშვილებისათვის, ისინი მივიდნენ შეიარაღებულ რაზმთან, რომლებსაც ალყაშემორტყმული ჰყავდათ დაპატიმრებულები და სთხოვეს გაეთავისუფლებინათ ისინი. რაზედაც ცივი უარი მიიღეს. შეიარაღებული რაზმელები სოფლიდან დაიდრნენ. პატიმრებს უკან მიჰყვებოდნენ ანდრია და პეტრე, მდინარე ტეხურაზე გადავიდნენ და მიაღწენ

ტირიფონის ველზე გორისაკენ მიმავალ გზას. სწორედ ამ ადგილას არაკაცებმა ყველა, მათ შორის ძმები კარბელაშვილებიც განსაკუთრებული სისასტიკით დახვრიტეს. ამ ადგილზე დღეს დადგმულია მარმარილოს დაფა წარწერით: აქ აღიმართება 1924 წელს საქართველოს თავისუფლებისათვის მსხვერპლად შეწირულთა მემორიალი.

ცნობილია, რომ განსაკუთრებული სისასტიკით დახვრიტეს მამა-შვილი მიშა და რევაზ ერისთავები. თვითმხილველების გადმოცემიდან ირკვევა, რომ მიშა ერისთავმა ბარბაროსებს სთხოვა შვილი არ დაეხვრიტათ. ამ თხოვნაზე სისასტიკი უარისმძილების შემდეგ მიხვილმა მათ სთხოვა მაშინ ჯერ თვითონ დაეხვრიტათ და მერე მისი შვილი. არაკაცებმა კი პირიქით ჯერ 18 წლის რევაზი დახვრიტეს და მერე მამაც ზედ დააკლეს. მიშა ერისთავი მტარვალებმა აიძულეს თავისი თვალით ეყურებინა ამ გაუგონარ ბარბაროსობისათვის. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ პერიოდისათვის რევაზი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი იყო.

იმისათვის, რომ მკითხველთა ფართო წრისათვის გასაგები იყოს რასაც ვიძახი სრულად მომყავს ეს ლექსი:

„გაგონდება თუ არა,
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა
უცხო სამოთხეები.
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?
თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი სადა ხარ,
ან რომელსა მხარესა.“

დღეისათვის ერისთავების სასახლე სადაც რამდენიმე დღე იმყოფებოდა გალაკტიონი გაპარტახებული, დაქცეული, უპატრონოდ დარჩენილი დაჰყურებს ზემოდან სოფელ კარალეთს. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფომ იზრუნოს აღნიშნული სასახლის აღდგენაზე და მის კეთილმოწყობაზე. აღსანიშნავია, რომ კომუნისტების დროს ამ შენობაში განთავსებული იყო იმ ხანად საქართველოში ერთ-ერთი ულამაზესი კულტურის სახლი. აუცილებლად მიგვაჩნია ასევე აღდგენის შემდეგ ამ შენობას გაუკეთდეს წარწერა - აქ 1918 წელს იმყოფებოდა „გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები“-ს ავტორი, პოეზიის მეფე გალაკტიონი.

ჯემალ ბაშარული,

*საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა
შემოქმედებითი კავშირების წევრი.*

ბზები წყვდიადში
ნაწყვეტი რომანიდან

VII თავი

დილიდანვე უსიამოვნო ფიქრები აყვნიენ ლიზი კოშაძეს. ძვირფასი აპო გაისტუმრა თუ არა, მეუღლის ფართო კაბინეტში შევიდა, ტყავის სავარძელში ჩაჯდა, გრძელი ფეხები აკეცა, მუხლებს ხელებითა და ლოყით დაეყრდნო, ასეთ უჩვეულო პოზაში ფიქრს იყო მიჩვეული, თან თუ თვალებსაც ხუჭავდა, უფრო მეტი ძალით მიჰყვებოდა ხან სასიამოვნო, უფრო მეტად კი უსიამოვნო ფიქრების სწრაფ დენას.

ამას რა დიდი ფიქრი და მტკიცება სჭირდება, რომ ეს ვიღაც თავხედი ტიპი ანუ პაპარაცი აშკარა მტერია, კარგად უნდა დავაზუსტო, თუკი ბაკურ ჯაბიძისაგან მოპოვებული ფოტოსურათებიც ამ ფოტოგრაფის ნაბეჭედი, მაშინ მართლა უმკაცრესი წესით უნდა დაისაჯოს, ყველაფერს გააკეთებ ამისათვის, ფულსაც არ დავიშურებ, ბუნებრივია, ფულის გარეშე არაფერი გამოვა, მხოლოდ ფულით თუ დაინტერესებ საქმის გამკეთებელ კაცს. მაგრამ შეიძლება ასეთ საქმეში სხვას ენდო? უამრავი ფაქტი გვიჩვენებს და გვიდასტურებს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ან როგორც ამბობენ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ცხადდება და ყველა მიჩქმალული თუ უმაღლეს დონეზე შეფუთული საქმე იხსნება. აი, ეს ფაქტორია უმკაცრეს დონეზე გასათვალისწინებელი, თუმცა ქართული ანდაზა იმასაც გვასწავლის – ვისაც თევზის დაჭერა უნდა, ფეხები სველი

უნდა ჰქონდესო. რას იზამ, ასეთია ამ უსაშინლესი ცხოვრების მოთხოვნები. როცა ნებით თუ უნებლიედ დაუძინებელი მტერი გყავს, ყოველთვის დიდი სიფრთხილედ უნდა გამოიჩინო, თან რაღაც გზებით მოახერხო იმ მტრის ჩამოცილება, ნეიტრალიზება, თუ არა და ყველაფერს თავი უნდა გაანებო, ანგელოზად გადაიქცე, დაწყნარდე და დამდაბლდე, რომ შენდამი ინტერესი დაეკარგოთ, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია ბერისა თუ მონაზვნის უფერული ცხოვრებით იცხოვროს. მე ასეთ ცხოვრებას ვერ შევძლებ, ვერ ავიტან, ვერ შევეგუები, ამიტომაცაა საჭირო გადამწყვეტი ზომების მიღება, მიჩვენია ერთი ცოდვა მედოს და ის მაფიქრებდეს, ვიდრე გამუდმებით ვფიქრობდე, რომ ვიღაც დამდევს, აჩრდილივით დამყვება, მე, ჩემს ქმარს, თუ ვინმე ახლობელს, ტკიპასავით გვეკრობა და სისხლს გვწოვს, მთელ ცხოვრებას უგულოდ გვიმწარებს, ასეთ მოუთმენელ, აუტანელ ყოფას, გაცილებით ჯობია გადამწყვეტ ნაბიჯზე ანუ რისკზე წასვლა...

მთელი ღამე მტანჯველმა ფიქრებმა არ მოასვენეს ბუნებით უდარდელი და გართობის მოყვარული ლიზი. გვარიანად მთვრალ ქმართან ჩვეულებრივი წასიყვარულების შემდეგ აპოლონს ღრმა ძილი დაეუფლა, თან შემაწუნებლად ხვრინავდა, თუმცა ეს

ლიზის ხელს არ უშლიდა დაუსრულებლად ეფიქრა და მოძალადის მოსაცილებლად ვარიანტებიც შეერჩია, ოღონდ ხანდახან როცა აპო ზედმეტად შეაწუხებდა, ფართო საწოლის თავზე აკაკუნებდა, რაც გამოცდილი ხერხი იყო ქმრის ფშვინვა-ხვრინვის დროებით მაინც შეწყვეტისათვის. დილით ისაუბრეს თუ არა, გაღაჟაჟებული აპო თათბირზე გაეშურა, ლიზი კვლავ შევიდა კაბინეტში, ტყავის სავარძელში ჩაეფლო და ფეხბაკეცილი კვლავ შეუდგა ფიქრს, ეს ფეხების აკეცვა თუ აწვევ-დაწვევა, როგორც ჩანს, მისი ბუნებრივად თანდაყოლილი მოთხოვნილება იყო. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ფეხბაკეცილი და მუხლებს დაყრდნობილი ქალბატონი ლიზი უცებ წამოდგა, თითქოს რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, კაბინეტის კარი გააღო და შინამოსამსახურეს დაუძახა, ისიც სასწრაფოდ მოვიდა წინსაფარზე სველი ხელების წმენდით.

– ლამზირა, დღეს ვინ არის მორიგე თუ იცი.

– როგორ არ ვიცი, ამ დილით უკვე ვინახულე ორივე, საჭმელი მივუტანე.

– ძალიან კარგი, ყველას ყურადღება სჭირდება.

– მორიგეები ხვალ დილაზე არიან ვანო ყუშიტაშვილი და გელა ბაჯელიძე.

– გელას დაუძახე ერთი წუთით, ჟურნალ-გაზეთები უნდა მოვატანინო.

– ჟურნალ-გაზეთები უკვე მოიტანეს.

– ისინი აპოლონმა წაიღო, თათბირზე და სამსახურში გადავხედავო, მე მის მოსვლას ხომ ვერ დაველოდები, რაღაც მასალები მაქვს სანახავი.

– ახლავე ქალბატონო ლიზი, ეგ ადვილი საქმეა.

ორიოდე წუთიც არ იყო გასული, კარზე გელა ბაჯელიძემ დააკაკუნა. კაბინეტში შემოვიდა დაბალი, მოძრავწვრილთვალებიანი ზომაზე მეტად შავგვრემანი, უფრო შავ-შავი, ტყავის ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა ბიჭი.

– გისმენთ, ქალბატონო ლიზი.

– გელა, ჟურნალ-გაზეთები მჭირდება, რაც მოიტანეს აპოლონმა წაიღო სამსახურში გასაცნობად, მეც მჭირდება, საღამომდის ხომ ვერ დაველოდები, გადი აქვე ახლოს უნივერსიტეტთან და ყველაფერი მიყიდე დღეს რაც კი გამოვიდა. ამ სიტყვებთან ერთად ლიზიმ მოწიწებით გაჭიმულ ბიჭს მსხვილი კუბიურა მისცა. თხუთმეტობდე წუთში გელა ბაჯელიძე დაბრუნდა, ერთი დიდი შეკვრა ჟურნალ-გაზეთები მოიტანა, მაგიდაზე დააწყო, თან პიჯაკის ჯიბიდან ამოღებული ქალაღდისა და რკინის ფული დაადო.

– ხურდა შენ გქონდეს, დაგჭირდება, მე არ მინდა.

– დიდი მადლობა ქალბატონო ლიზი, ამხელა პატივისცემისთვის.

– ეგ რა პატივისცემაა, შენ ისეთი წესიერი ბიჭი ხარ, ბევრად მეტს იმსახურებ.

ცოტა გაოცებულმა და ერთი შეხედვითვე კმაყოფილმა ბიჭმა ფული ჯიბეში ჩააბრუნა.

– გელა შენ ჩვენთან დიდი ხანია მუშაობ, თან ერთგულად და უშეცდომოდ.

– დიდი მადლობა ასეთი სიტყვებისათვის, უკვე ათი წელია თავმჯდომარის დაცვაში ვარ.

– ჰოდა, ძალაუნებურად ყველას თვალს გადევნებთ, საბოლოოდ დავრწმუნდი შენ ყველაზე წესიერი და სანდო ბიჭი ხარ.

– ვცდილობ ქალბატონო ლიზი, რაიმე შეცდომის დაშვება არ მეპატიება, ბატონი აპოლონის გულისთვის ნასროლ ტყვიასაც კი მკერდით გადავფარები.

– ჰოდა ზუსტად ამიტომაც ამდენ ბიჭში შენ ამოგარჩიე, გენდობი და დარწმუნებულიც ვარ არაფერი მეშლება.

– სამარეზე უარესი ჩუმი ვარ, თან თქვენი გულისთვის მზად ვარ თავიც დავდო.

ამ ლაპარაკში ლიზი ფანჯარასთან მივიდა, გააღო და ბიჭიც ხელით მიიხმო, იქ ელაპარაკებოდა, საიდანაც ცოტა ხმაურიც შემოდოდა, მაინც ეშინოდა სადმე ჩამწერი არ ყოფილიყო, აქ კი ქუჩის ხმები და ხმააწეული რადიო მის ნათქვამს აჭრიდა და მოსასმენად გაუგებარს გახდიდა.

– გელა, ძალიან მოკლედ გეტყვი რაშიც არის საქმე. როგორც დავაზუსტე, შენი და ჩიქობავას მიერ წაკვისში გამართულ შეხვედრაზე მოწვეული ფოტოგრაფებიდან ერთი საშინელი მოლალატე აღმოჩნდა, იტალიელ პაპარაცებზე უარესი, გამყიდველი და ფულის მონა, ისეთი კაცი, ვინც ფულის გულისთვის საკუთარ ღელასაც კი გაყიდის.

– რას მეუბნებით, თუ ასეა იმ ოთხი მოწვეული ფოტოგრაფიდან ორზე განსაკუთრებით მაგარი ეჭვები მაქვს. იმ დიდ სუფრაზე ორი მათგანი კოლია ყაჯრიშვილი და გარიკ ტოროსიანიც იყვნენ. მეც კარგად ვიცი, იმ ოხერი პაპარაცების ხელობას მისდევენ, ფულზე ჭკუა ეკეტებათ, მაგათ რომ არ იკადრონ ისეთი საქმე, მგონი, არც არსებობს, მე მაინც ყველაზე დიდი ეჭვი გარიკაზე მაქვს, ისიც კი მითხრეს, მაგისი ძმა ამწეკრანიან სატვირთო მანქანაზე მუშაობს და ძმის დახმარებით მესამე სართულიდან დაწყებული მე-8 – მე-9 სართულამდის რაც კი მოუნდება ყველაფერს იღებს, მერე კი ვილაც-ვილაცებს აშანტაჟებს და დიდ ფულს შოულობსო.

– აი სწორედ ეგ გარიკა იქნება, ეგ გათახსირებული, ბოროტების მაშხალა. ახლა კარგად, ყურადღებით მომიხმინე-წყნარად, მშვიდად, აუღელვებლად. ეგ გარიკა უნდა ნახო სასწრაფო წესით. როგორც ამბობენ "დავერიაში" უნდა შეხვიდე, გარეწარი ბაკურ ჯაბიძეც უხსენე, ძალიან გაქო-თქო, მითხრა ეგეთ საქმეს უკეთესად ვერავინ გააკეთებს-თქო, ეცადე სადმე ღუქანში დაპატიჟო, თუ გაარკვევ, რომ ძველი დანაშაული ან ახალი უსინდისობა მაგის გაკეთებულია, მაშინ ასეთი უსაზღვრო საშინელებისათვის უმკაცრესი წესით უნდა დაისაჯოს. აი, როგორც კი სუფრიდან რაიმე მიზეზით ადგება, ან შენ მოიფიქრებ რამეს, რომ აბრძანდეს, ამ პაწაწინა ბოთლ სითხეს ღვინოში ჩაუსხამ, არ შეგეშინდეს, საწამლავი არ არის, მითხრეს გრიპს გამოიწვევს და

სუფთა გრიპოზულ მოვლენებზე უნდა იმკურნალოს, თანაც ავადმყოფობა ერთი კვირის მერე დაიწყება, რაც ყოველგვარ ეჭვს გაფანტავს, შემდეგ კი საკმაოდ დიდი ხანი იქნება ავად და მეც დამასვენებს, თუ ეგაა ეჭვმიტანილი მაგისი არსებობის ყოველი დღე ჩემთვის აუტანლად სანერვიულოა, ეს არის და ეს, საშიში არაფერია, ეცადე ვინმე ნაცნობს არ გადაეყარო. ჰო, უფრო მეტი დაბმისა და ნდობის მოპოვების მიზნით ორიათასი დოლარი ბედ დაუტოვე, თუ ასეთი ფულის გიჟია ეს დამნაშავე, უეჭველად სინარულით აივსება. შენ გამოკითხე დაახლოებით რა დაჯდება ერთი დიდი კაცი და მისი ცოლი რომ გამოიჭირო და მაგარი პიკანტური ანუ "პიკანტნი" სურათები გამიკეთო-თქო. მერე უთხარი ამ ფულს იმიტომ ვიტოვებ, რომ დაგებევო, თორემ შენ ისეთი სპეციალისტი ხარ, შეიძლება სხვამ წაგიყვანოს და მერე ჩემი საქმისთვის ვეღარ მოიცალო-თქო. იმიტომაც ვჩქარობ, რომ მე ხვალ მივლინებაში მაგ ზავნიან მოსკოვში, ალბათ ათი დღე დამჭირდება, ჩამოვალ თუ არა იმ თანხასაც მოგიტან და შენებურად "სროჩნად" უნდა გააკეთო საქმე-თქო. აი ეს არის მთელი ისტორია, ხომ ზუსტად გაიგე ყველაფერი?

— კი ქალბატონო ლიზი, გასაგებია, აბსოლუტურად გასაგებია.

ლიზიმ წინასწარ მომზადებული ხუთიათასი დოლარი ამოიღო ჯიბიდან.

— აქ ხუთია, ნაწილს მისცემ, სხვა რესტორანში დაგჭირდება, ან იქნებ რამე მოულოდნელი მოგიხდეს, უკანდაუხვად დახარჯე, დანარჩენი თანხას, ვთქ-

ვით ორმოცდახუთს, საქმის გაკეთებისთანავე მოგცემ.

გარიკაზე არანაკლებ ფულის მოყვარული ბიჭი დიდი მადლობებით დაემშვიდობა ქალბატონ ლიზის. მეორე დღეს, მორიგეობიდან განთავისუფლების შემდეგ გელა ბაჯელიძე ავლაბრისაკენ გაემართა. კარგად ახსოვდა ის სახლი, ნომერი და შესასვლელი, სადაც ადრეც იმყოფებოდა. მას შემდეგ არც ისე დიდი დრო იყო გასული, რაც მანქანით ჩამოიარა, ეს ადგილები პირველი მოადგილის მითითებით, დიდი საზეიმო წვეულების გადასაღებად და იმ მიზნით, რომ არცერთი საინტერესო მომენტი და ვითარება არ გამორჩენოდათ, სამი-ოთხი გამოცდილი ფოტოგრაფი მიიპატიჟეს. სომხურ თეატრთან ახლოს, ნახევრადბნელ საპარადოში პირველ სართულზე, კიბის ქვეშ გამართული იყო პატარა ფოტოატელიე. გელამ მანქანა იქვე ამაველი ქუჩის დასაწყისში დააყენა, თვითონ კი ფეხით ჩაისეირნა და თავზე დაადგა ერთი ციციქა გასამჟღავნებელი კუთხის სიბნელეში თავშერგულ ფოტოგრაფს.

— გამარჯობა გარიკ, როგორ ხარ?

გარიკამ გამოხედა მოულოდნელ სტუმარს, დაკვირვებით შეათვალიერა და მერე მძიმედ დაუკრა თავი.

— გამარჯობათ, რაშია საქმე? დღეს გადაღებაზე ვერ ვმუშაობ, გამჟღავნებას ვაკეთებ.

— გარიკჯან, ეტყობა ვეღარ მიცანი, ესე ჩქარა როგორ დამივიწყე.

გარიკამ ხელები გაიწმინდა, გამოვიდა და დღის სინათლეზე შეათვალიერა დაუპატიჟებელი სტუმარი.

– ვა, ეს ქუ ცავადტანემ, როგორ გიცნობდი, სინათლისკენ ზურგით იდექი, ბოდიში ძმაო, შენ როგორ არ გიცანი, წავკისი იყო თუ შინდისი იქ რომ წამიყვანე. ოღონდ კიდე ბოდიში ცოტა სახელი ვეღარ გამახსენდა.

– სერგო, ეგრე უნდა ძმაკაცების დავიწყება?

– ჰო, სერგოჯან, რას იზამ წლები მიდის მაგრა, თან ბევრი რამე-რუმეა, ესა-ისა, ხანდახან "სობსტვენნი" სახელიც კი მავიწყდება. აი, სკამი, დაჯექი ცოტა დაისვენე, დაჯექი ჩვენებურად ნესტია.

– მაგდენი სომხური კი ვიცი, ისე ნესტი ამ ოთახს უფრო შეეფერება, ძალიან ნესტიანია, მზის სხივებიც ვერ ატანს.

– მზე "ვააბშიე" არ უდგება, ისე ზაფხულში უფრო "ნარმალნად" ვარ, არა ცხელა, ცოტა კი იხუთება, მაგრამ არაუშავს, "პრიაძოე პაპადანიე" კიდე უფრო უარესია, ჰამაც თბილისში.

– გარიკჯან, სამუშაო ბევრი გაქვს? როგორც ვხედავ ძალიან ხარ დაკავებული.

– ხან ძალიან ბევრი სამუშაოა, მოცლა არა მაქვს, ხან, "ნაბაროტ", ახლა ცოტა დავისვენე ძალიან ბევრი საქმეები მქონდა, სუ ოფლი გამდიოდა ისეთი ტემპებით ვმუშაობდი. ეხლა სერგოჯან შენ რითი გემსახურო?

– გარიკჯან, სერიოზნი საქმე მაქვს, აქ ხომ ვერ ვილაპარაკებთ, შენს "პადიეზდში" ბევრი ხალხი დადის, შიგნით საშიშია, ეხლა ყველაფერს ყურები აქვს, ყველაფერი იწერება, შენ ცნობილი კაცი ხარ, მაგარი ფოტოგრაფი,

რა იცი ვინმემ რამე ხომ არ დაგიდგა, ჯობია სადმე წყნარ ადგილას დავჯდეთ, თან თითო-ორი ჭიქა ღვინო დავლიოთ, უკვე ორი საათი დაიწყო, ოღონდ იცოდე, მე გაპატიჟობ, მე ვიხდი.

გარიკას ქება ესიამოვნა, ფულის დახარჯვის გარეშე რესტორანში სადლის ფაქტიც ძალიან მოეწონა, სიამოვნების ღიმილს ვეღარ იკავებდა.

– რას ამბობ სერგოჯან, ჩემს უბანში, ავლაბარში შენ ფული როგორ გადაგახდევინო, ეხლავე გავვარდები სახლში და ფული ავიღებ, თან ეგეთი კარგი სიტყვებისათვის, ბემურაზი ვიყო, თუ მალარიჩის გაკეთება არ გეკუთვნოდეს.

– პირველად მე ვთქვი გარიკჯან.

– კარგი ძმაოჯან, რახან ეგრეა, რას იზამ, მერე ჩემზე იყოს. აქვე ახლოს კარგი ჯაგარი რესტორანია "პადვალში", კარგი საჭმელები აკეთებენ, ჰამაც გრილა და ცოტა ხალხია, ორი დღეც რო ილაპარაკო "ბეზ პერერივა" მაინც არავინ მოგისმენს.

გარიკამ კარი ჩაკეტა და ფანჯარაზე ჩამოკიდებული წარწერაც "ლიაა" შეაბრუნა.

– ვაჰ, სულ დმავიწყდა, დავიბენი, თუ გინდა სერგოჯან, "ატლიჩნი" სურათს გადაგიღებ, ოღონდ აქედანვე გაფრთხილებ "უფასოა," რამდენიც გინდა დავგიბეჭდავ.

– არა ჯერ არ მინდა, კარგად არ მაცვია, მერე "სპეციალნად" მოვალ და გადავიღებ.

ორი-სამი სახლი გაიარეს და კიბეების ჩავლით ნახევრადგანათებულ სარდაფში ჩავიდნენ, კუთხის პატარა კუპეში დასხდნენ, სადაც კიდევე უფრო

ნაკლები განათება იყო.

– აი, ნაღდი "პოლუმრაკია" ჩემმა მზემ, არც სინათლე შეგაწუხებს, არც ნმაური, რამე-რუმე.

ოფიცინტმა ორიოდე წუთში მოიტანა ფართო სინზე დალაგებული მრავალი სახის ცივი საუზმე, ორ ბოთლ ცივ "ბორჯომთან" ერთად.

– აი, აიღეთ, რაც გინდათ, თან შეუკვეთეთ ცხელი კერძი, უცებ დაგიმზადებთ. ჯიბეში დოლარების დასტით გულგამაგრებულმა გელამ ყველაფერი გადმოალაგა, თან "ოსტრი სალიანკის", ქაბაბის და მწვადის შეკვეთა მისცეს.

ცივი რვა ნომერი ღვინოც სწრაფად მოიტანა ოფიცინტმა

– ოფიცინტ, "პოვარ" არკადის უთხარი, ფოტორეპორტიორი გარიკა მოვიდა "ვაჟნი" სტუმართან ერთად და მაგარი "სოჩნი" მწვადები მოამზადოს.

პირველი ჭიქა შეხვედრის დალიეს, მერე გაცნობის, ძმაკაცობის, თბილისის და გარიკა აჭიკჭიკდა კიდეც, თან ვეღარ ითმენდა რა ასეთი საიდუმლო საქმე ჰქონდა მოულოდნელ სტუმარს.

– სერგოჯან ეხლა მითხარი, ფიქრებით ნუ მომკლავ, ხო იცი მაინც მაინტერესებს, ვერე იყო, გუშინწინ ერთი ბიჭი მოვიდა, ჩემზე დაწერა უნდოდა გაზეთში, დიდხანს მეკითხებოდა, მერე წამიკითხა კიდეც "ატლიჩნი" წერილი იყო – "თბილისელი ფოტოგრაფიის ოსტატის ცხელი დღე", თურმე "სპეციალნად" მაკვირდებოდა, ჩემი მანერებიც სწავლობდა.

– კარგია, ძმაო, როცა შენზე კარგ წერილს წერენ. მე მოკლედ გეტყვი, აი, ის მჭირდება, რაც შენ ჩვენ საერთო მეგობარს ბაკურას გაუკეთე. გარიკას

სახე გაუნათდა.

– ეხლა გასაგებია, ვაჰ, ე. ი. ბაკურას იცნობ, მაგარი ბიჭია, მაგისტრის ბევრი ვიმუშავე, ყველაფერი "ატლიჩნიად" გაუკეთე, მოეწონა, გაგიჟდა და მაგრადაც დამაჯილდოვა.

– ჯილდო აქაც იქნება, მე ხვალ მივლინებით მოსკოვში მივდივარ, ათ დღეში ჩამოვალ, შენთან მოვალ და ყველაფერს დაწვრილები გეტყვი. ეხლა იმიტომ ვინჩარე, რომ ვინმემ საქმე არ დაგავალოს, არ წავიყვანონ, ამიტომ მე უკვე ბეს მოგცემ, აი, აქ ორიათასი დოლარია, საქმის მერე, "ზნაჩიტ" ჩაბარებისას, იმდენს მიიღებ, რამდენსაც იტყვი და რაც საჭიროა, ოღონდ ძილში ან ძალიან მთვრალსაც არაფერი წამოგცდეს

– რას ამბობ, სერგოჯან, "სტოპრაცენტნი მაგილა" ვარ, ვიყი კი არ ვარ, აღფრთოვანებული გარიკა ადგილზე ცმუკავდა და აღარ იცოდა რა ექნა.

– თითო ჭიქაც დავლიოთ ჩვენი საქმის გამარჯვების.

– დავლიოთ სერგოჯან, ოღონდ დაახლოებით მაინც უთხარი როგორი ობიექტია, სად უნდა ვიმუშაო.

– ობიექტი, დაახლოებით ის იქნება, რაც ბაკურას გაუკეთე, ეხლა მეტი გამოცდილება გაქვს, მთელი "დვიჟენიები" იცი, ნაღდად არ გაგიჭირდება.

– მე რა გამიჭირდება, ისე ეგ ცოტა "აპასნი" საქმეა, თანაც ძალიან ბევრი სარბენია, მანდ "სტავკაც" მაღალი იქნება.

– რა თქმა უნდა, გარიკჯან. ეხლა ამ საქმეზე ლაპარაკს მოვრჩეთ და ისევ ჩვენს პატარა სუფრას მივხედოთ.

– რაღაც მწვადი დააგვიანეს, მივალ "სობსტვენნი" თვალით ვნახავ, უცებ მსუქანი ნაჭრები არ შეაპაროს.

გარიკა გავიდა, გელამაც წამსვე ჩაუსხა ღვინის ჭიქაში პატარა ბოთლით სითხე. ბოთლს კვლავ თავი დაახურა, ჯიბეში ჩაიღო, რომ სადმე სხვაგან გადაეგდო.

მალე გარიკა დაბრუნდა ოფიციალტთან და შამფურებით მწვადთან ერთად. შეზარხოშებულებმა კიდევ დალიეს, ერთმანეთს ძმობა შეფიცეს. მერე გახარებული გარიკა ბარბაცით წავიდა სახლისკენ, ერთმანეთს კოცნა-პროშტნით დაემშვიდობნენ. გელა ბაჯელიძემ პროსპექტის ნაწილი გამოიარა, მერე ქუჩაზე აუხვია, მანქანაში ჩაჯდა, წესისამებრ მიიხედ-მოიხედა, მაგრამ არც ახლოს და არც შორს არავინ ჩანდა.

მეორე დღეს მორიგე იყო. ლოყე-ბლაჟდაჟა და სქელტრაკა თავმჯდომარე ათ საათზე წაბრძანდა სამსახურში. გელამ წინასწარ გამზადებული ჟურნალ-გაზეთები ამოალაგა და შინამოსამსახურე ლამზირას დაუძახა.

– ქალბატონ ლიზის უთხარი გელამ გუშინ დავალებული ჟურნალ-გაზეთები სრულად მოიტანა და რა ქნას, როდის მოიტანოს-თქო.

ლამზირა მალე დაბრუნდა.

– ახლავე მოიტანოს, რაღაც სტატია მაინტერესებსო.

გელამ ჟურნალ-გაზეთები აიღო, კარზე დააკაკუნა და მოკრძალებით შევიდა კაბინეტში.

– ქალბატონო ლიზი, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც თქვენ მითხარით, ზედმეტი ერთი ნაბიჯიც კი არ

გადამიდგამს, რა თქმა უნდა, ის აღმოჩნდა, ვისზეც ვფიქრობდით, შედეგებს გავიგებთ. მეტი ლაპარაკი აღარ არის საჭირო.

კმაყოფილმა ლიზიმ წინასწარ მომზადებული კუპიურების მსხვილი შეკვრები გადასცა გელას, მანაც დაუფარავი სინარულით თანხა ჯიბეებსა და უბეში ჩაიტენა. ლიზიმ ერთგული თანამშრომელი კარამდის მიაცილა და ლამზირას გასაგონად ხმამაღლა დაადევნა უკვე მიმავალ ბიჭს – დიდი მადლობა გაზეთებისათვის, ბოდიში, რომ შეგაწუხე. მერე კაბინეტიდან გამოვიდა, საწოლ ოთახში შევიდა და თავი სულაქველიძესთან წასასვლელად მზადებას შეუდგა. შედარებით სწრაფად ჩაიცვა, სახის და თვალ-წარბის მოხატვა არ დავიწყებია, მერე მოზრდილ საკუჭნაოში შევიდა, ლამაზი ბრტყელი ბოთლი შეარჩია, კონიაკი "ჰენესი" ჩანთაში ჩაიღო, დერეფანში გამოვიდა და შინამოსამსახურეს დაუძახა, – ლამზირა, თუ აპოლონმა შემოიაროს, უთხარი მეგობარ თავი სულაქველიძესთან წავიდა-თქო, თუმცა თათბირის დამთავრების შემდეგ მეც დავურეკავ და ვეტყვი.

ამ დროისათვის გიგა მაჩაბელს თბილისური ვნებათაღელვის ამბები სულაც აღარ აინტერესებდა, იგი მოსკოვისაკენ მიდიოდა, მთლიანად განსხვავებულ სამყაროში იყო გადაჭრილი, და მაგრად მთვრალს არაფერი აღარ ახსოვდა. მატარებლის დაძვრისთანავე შევიდა კუპეში, მარტომყოფმა კარები საგულდაგულოდ ჩაკეტა და თავისდაუნებურად მყისვე ძილს მისცა თავი. დილით გვიან გაეღვიძა, მატარებლის

ნმაურისა და ნჯღრევის მიუხედავად ნაბახუსევს ტკბილად ეძინა, ორადგილიან კუბეში მარტო იყო, ეს სიმართლევე მშვიდ გუნებაზე აყენებდა. ფარდებგადახსნილი ფანჯრიდან ბუნების მშვენიერი სურათები წამიწამ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. დახუთული კუბის კარი გააღო და დერეფანში გავიდა. სიცივის მიუხედავად ფანჯარა გაეღო, ზღვის მარილით შეზავებული სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. ფანჯრიდან ისეთი სილამაზე ჩანდა, თვალი ვეღარ მოწყვიტა, თითქოს ადგილს მიეჯაჭვა. მატარებელი ლურჯ ზღვასთან მომხიბლავად შემორკალულ გაგრას გადიოდა. ზამთრის დასაწყისის მოლუშული დღეების მიუხედავად თვალწარმტაც არემარეს მზის შუქი მაინც ანათებდა. ცაზე მოლურჯო ფერის ღრუბლები სრიალით მოძრაობდნენ, ხან გადაეფარებოდნენ მზეს, ხან თითქოს გზას უთმობდნენ უკეთ გამოეშუქებინა, უკვე გადაყვითლებული მიდამო ოქროსფრად აებრჭყვიალებინა. ჰორიზონტზე დიდი გემი ჩანდა, ერთი შეხედვითვე იფიქრებდით, რომ ძალიან დიდი იყო, თორემ ამ სიშორეზე შეიძლებოდა საერთოდ არ გამოჩენილიყო. აქა-იქ, ზღვაში ჩარჩენილ პატარა კლდის ნაწილებივით სხვადასხვა ფერის ნავებიც ჩანდნენ, სიცივის მიუხედავად ადამიანები თევზაობდნენ, ოჯახისათვის სარჩოს მოპოვებას ცდილობდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ მატარებელმა უკვე სადგურ განთიადს ჩაუქროლა, სულ ახლოს იყო საქართველოსა და რუსეთის საზღ-

ვარი, დიდი ხნის გახსნილი და ბოძებიან-ნიშნებიანა მიწასთან გასწორებული, ასე სურდა რუსეთს, ასეც აკეთებდა, ჯერ დიდ და უხეშ ძალასთან საქართველოს არაფერი გასდიოდა, ოღონდ თავისუფლების ქარიშხლის გუგუნნი უკვე ახლოვდებოდა. ამასობაში დიდი ლურჯი ზღვა თვალს მიეფარა, გიგამ ჩვეულებისამებრ მიდამოს დაუწყო თვალიერება, ცასაც ახედა და უცებ უსიამოვნო შეგრძნებისაგან თითქოს გახევდა-რუსეთის მხრიდან აფხაზეთისკენ მოყვითალო-მორუხო ფერის მტაცებელი ძერების დიდი გუნდი მიფრინავდა, ხანდახან მატარებლის გრიალშიც კი გაისმოდა უსიამოვნო ჭყიპინის ხმები. გიგას კვლავ გაუკვირდა, ეს მერამდენედ ხედავდა ამ შედარებით პატარა, მაგრამ საშინელ ფრინველებს, ლემის სიყვარულით რომ გამოირჩეოდნენ, კვლავ და კვლავ შეკვნესა გულმა, მტაცებელი ფრინველების ასეთი მოძრაობა რაღაც ძალიან ცუდს მოასწავებდა, კერძოდ რას თავადაც არ იცოდა, მხოლოდ შინაგანი შფოთით გრძნობდა რაღაც სასტიკი არეულობის მოახლოებას და ეს უბედურება უკვე დაწყებული იყო. "ღმერთო, მშვიდობა და სიკეთე მიეცი საქართველოსო", შესთხოვა უფალს, დილის დამათრობელი გავლენით კარგ გუნებაზე მყოფს, თითქოს ხასიათიც წაუხდა და ცუდი გუნება-განწყობილებაც მოეძალა.

სოჩამდის მაინც თვალი არ მოუცილებია ზღვის საოცრად მიმზიდველი ხედებისათვის. შესვენების დროს შევიდა კარგალებულ კუბეში, ისაუზმა, მატარებელი დაიძრა თუ არა, ისევ ტა-

ლანში გამოვიდა, მცირე ხნის მერე მატარებელი კვლავ ზღვაზე გაიჭრა, გიგაც იდგა, ათვალიერებდა ადრეულ წლებში ბევრჯერ ნანახ მიდამოს, ხედავდა დაცარიელებულ სანატორიუმებს, მწვანედ და ლურჯად შეღებილ სახლებს, ფარდებით დაფარულ ფართო და უფრო მეტად ვიწრო ფანჯრებს, დაცარიელებულ ვერანდებს, გაუკაცრიელებულ ეზოებს, სადაც ზაფხულის თვეებში ასობით ადამიანი ირეოდა, ახლა მღუმალება და უმოძრაობა იყო გამეფებული. მატარებელი კი მიქროდა და მიგუგუნებდა, მოლუშულ მიდამოს სიცოცხლეს მატებდა. ტუაფსეს შემდეგ ფანჯრიდან დანახული სურათები მკვეთრად შეიცვალა, მატარებელი ზღვიდან დაშორებით მარჯვენა მხარეს ჩამომდგარი გორაკებისაკენ გაიჭრა და ვეებერთელა სივრცის შეგრძნებაც გაქრა. გიგამ გაიფიქრა-რალად მინდა აქ დგომა, შევალ, წავისადილებ და ნახახუსევიდან გამოსვლის მიზნით ცოტას გადავკრავ კიდევცო. ამ დროს ვილაცამ მხარზე ხელი დაარტყა ვა, ვის ვხედავო, გაოცებული მოტრიალდა და კაკო შავკაცაშვილი შერჩა ხელთ. კაკოს დანახვა ეწყინა კიდევ, მისი მონატრებული სიმშვიდე ირღვეოდა, გინდა თუ არა ლაპარაკში უნდა ჩართულიყო, სხვანაირად შემთხვევით შემხვედრისაგან თავს ვერაფრით დააღწევდა. ერთგვარი სინანულით ისიც კი გაივლო გონებაში-ეჰ, ახლა ამას რა გაუძლებსო.

კაკო უნივერსიტეტში სწავლობდა გიგას სტუდენტობისას, იმ დროს კომკავშირულ-პარტიული ცხოვრება

უინტერესოდ მიზოზინებდა, მთელი პოლიტიკა ის იყო, რომ პარტიის უხვზე უხვი მოწოდებები და ლოზუნგები გაგეზიარებინა, მიგელო, ხალხშიც გაგეტანა, სიცრუეში საკუთარ თავთან ერთად სხვებიც დაგერწმუნებინა, მაშინ იქნებოდი იმ დროის ნაღდი პოლიტიკოსი, პარტიის იდეების გამტარებელი. სხვანაირად მოაზროვნეები, ანუ დისიდენტებად ცნობილები ცოტანი იყვნენ, თავისუფალ აზრსა და სიტყვას ტოტალიტარული წნეხის დამნერგავი პარტია არავის აპატიებდა, სხვანაირი ფიქრების მქონეს ანუ მოწინააღმდეგეს, პარტიის შეუბრალებელი ხელმძღვანელობა უსასტიკესი მეთოდებით უსწორდებოდა-ციხე-კოლონიებში ათავსებდა, ასახლებდა, გაუსაძლისად ტანჯავდა, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ამწყვდევდა, ქვეყნიდან აძევებდა ანუ საზღვარგარეთ აგდებდა, ცხოვრების ყველა გზას უჭრიდა და ხშირ შემთხვევაში დაუნდობლობას სიკვდილითა და განადგურებით გამოხატავდა.

კაკო შავკაცაშვილი დისიდენტობასთან მიახლოებული აზროვნებით გამოირჩეოდა. ბუნებით ზედმიწევნით თავხედი და უზრდელი ბიჭი ნებისმიერ ლექტორს შეებმებოდა საკამათოდ, კრებებზე უეჭველად კრიტიკით გამოდიოდა, სწრაფი ლაპარაკი ემარჯვებოდა, კაცი ვერაფრით აჩერებდა, თავისას მიერეკებოდა. საშუალო ტანის, სასაცილო სიარულის მანერის, ერთი შეხედვით თითქოს ნორმალური შესახედაობის ბიჭი საერთოს ვერავისთან პოულობდა, საკუთარი არცთუ ისე ბევრი თანამოაზრის გარდა,

მათთან კი ბელადივით გამოიყურებოდა, ისეთი ცხოვრებას ჩამორჩენილი კრეტინები ჰყავდა ირგვლივ შემოკრებილი. კაკომ იმდენი ილაპარაკა და იჩალიჩა, რომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ ვაჭრობის სამინისტროში მოხვდა ეკონომისტად.

საბჭოთა კავშირის სრულიად არაბუნებრივი ძალადობრივი და არასწორი შექმნისა და ასევე იძულებითი დანგრევის შედეგად ქვეყანა სულ აირია, სოციალიზმიდან ბურჟუაზიულ სამყაროში გადაბარგება ძალიან ძნელი აღმოჩნდა, რამაც რუსეთი ყველას ხელს უშლიდა და კვლავაც უღლეური კავშირების შექმნით იყო გართული. ამ პერიოდიდან ერთგვარ ავადმყოფურ მოღაღად იქცა პარტიების შექმნა, დარეგისტრირება და შემქმნელის უღალღიდურად მოვლინება. გატლეკილმა და უაზრო თავხედური ლაპარაკით უკვე საკმაოდ ცნობილმა კაკომ საკუთარი პარტიაც შექმნა, მასების ყურადღების მოსაზიდად "ხალხის დახმარების" პარტია დაარქვა და საქმეს შეუდგა. დაულალავი პიროვნება ყველგან ჩანდა, მიტინგებზეც, შეკრებებზეც, ქუჩაშიც, ყველგან სიტყვით გამოდიოდა, დიდხანს უაზრო ტლაკინიც კარგად ემარჯვებოდა, ნებისმიერ ხელისუფლებას უღმერთოდ ლანძღავდა, მართალსა და ტყუილს ერთმანეთში ურევდა, ჭორსაც კი ხალხს უტყუარი სიმართლესავით აწოდებდა, ზოგს აჯერებდა, ზოგის მოწონებას იმსახურებდა, უმრავლესობა კი დედას აგინებდა და ყოველთვის აგდებულად მოიხსენიებდა, მისთვის ტუტუც კაკოს ან გიჟკაკოს ეპითეტებს

არ იშურებდნენ.

ახლა ეს "ცნობილი" პოლიტიკოსი იდგა გიგა მაჩაბლის წინ "თბილისი-მოსკოვის" საერთაშორისო ვაგონის ვიწრო კორიდორში. უკვე სადილობის დრო იყო, მოშიებულნი ადამიანები დიდის მონღოლებით მიისწრაფოდნენ ვაგონ-რესტორნისაკენ, რომელიც მათი ვაგონის გვერდით იყო ჩამული და გინდოდა თუ არ გინდოდა რვა წინა ვაგონიდან ყველა მოშიებულს, თუ უფრო მეტად ლუდისა და არყის დაღვევის მსურველს, აქ უნდა გამოეველო.

– რას შევები კაცო, როგორა ხარ, სად მიდიხარ, რა საქმეზე მიდიხარ, – კითხვები დააყარა მოუთმენლობითა და უტაქტობით ცნობილმა კაკომ.

– რა ძნელი მისახვდრი ეგ არი, საითაც და სადაც მიდის მატარებელი, იქ მივდივარ.

– ჰო, პირდაპირ პასუხს არ იძლევი, ისე მე რომ ვიცი ამ მოსკოვზე გიჟდები.

– კაკო, რომ ვგიჟდებოდე, მეც შენსავით მანდ ვისწავლიდი, უმაღლეს სასწავლებელსაც დავამთავრებდი და ასპირანტურასაც, შენ კიდე ჩემზე ცდილობ ფუჭი იერიშის მოტანას.

– იერიში კი არ მომაქვს, სიმართლეს გეუბნები, მე მართალია მოსკოვში ვსწავლობდი, მაგრამ იქაც საქართველოს სახელისთვის ვიბრძოდი, თქვენ კი მაღალ ინსტანციებში დაბრძანდებით, თან დროსტარებით იყავით გართულები, სამშობლოზე მხოლოდ პარტიის მავნებლური სულისკვეთებით ფიქრობდით, ან სულ ფეხებზე გეკიდათ.

– კარგი თუ ძმა ხარ, ნუ გააგრძელებ სისულელეების ფრქვევას, ეტყობა არ გეყო რაც ილაპარაკე და ახლა აქაც გინდა თავი გამოიჩინო.

– ო, რა საოცარ ადამიანებს ვხედავ, საიდან ასე ერთად ეს ორი ცნობილი და ძვირფასი კაცი.

ამ სიტყვებით კორიდორში პატარა ჯგუფის წინ მომავალი უკვე საკმაოდ ცნობილი ახალგაზრდა პროზაიკოსი ტატო ბატიაშვილი საკამათოდ გამზადებულ კაკო შავკაცაშვილსა და გიგა მაჩაბელს გადაეხვია.

– გაიცანით ქართული მწერლობის დღევანდელი დღე და მომავალი, საიმედო და უნიჭიერესი ახალგაზრდობა – პოეტი ბესიკ წოწკოლაური, პოეტი დუტუ ლავგილავა, პროზაიკოსი ილია გაიპარაშვილი, – სათითაოდ წარუდგინა ვაგონ-რესტორნისკენ მიმავალი მეგობრები ახალშეხვედრილებს ტატო ბატიაშვილმა.

– ისე პოეტებისა და პროზაიკოსების სახელები კი გქვიათ ყველას, მეტი რაღა გინდათ, გვარებით კი ხართ შორს, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია თქვენი ნიჭის გამოვლენა, – თქვა გიგამ.

– იქნებ იმ დიდ შემოქმედებს აჯობონ კიდევ, – წაიჭრაბახა ტატომ.

– ეტყობა ეს თქვენი საერთო ოცნებაა, ძალიან მაგარი სიმაღლეების დაპყრობაზე ფიქრობთ, ოღონდ ძალიან ჩქარობთ, ჯერ ცოცხალი კლასიკოსი არავინ არის თქვენს შორის, – კითხა გიგამ ტატოს.

– არა, ჯერ მხოლოდ მე ვარ, ეგენი რიგში დგანან, – იხუმრა ტატომ.

– კარგია, ერთი მაინც რომ გყოლიათ, მალე იმედია გამრავლდებით.

– ბიჭებო, თქვენ წადით, დასხედით, შეუკვეთეთ, მე ცოტა ხანს ვილაპარაკებ და მოვალ, – მიმართა ბიჭებს ტატომ.

ისინიც თავაზიანად დაემშვიდობნენ უფროსებს და წავიდნენ.

– ჩვენ რაღა ვქნათ, აქ ხომ არ ვიდგებით და ფეხზე ვილაპარაკებთ, უკვე ოთხი საათია, ძალიან მომშივდა, წამოდით, მე დაგპატიჟებთ, – თავი გამოიღო კაკო შავკაცაშვილმა.

გიგა მაჩაბელს უცებ მოერიდა ამჯერად მისი კუპის წინ მდგარი კარგი ნაცნობების ასე მშრალად გაშვება.

– რა გვინდა ახლა ხალხით გადაჭვდილ ვაგონ-რესტორანში, ან რა უნდა ვჭამოთ, ან რა უნდა დავლიოთ, კაკოსაც კი გაუჭირდება იქ ლაპარაკი, შევიდეთ ჩემთან კუპეში და ერთი-ორი საათი კარგად, ქართულად წავუქვიფოთ.

– მაგას რა ჯობია, თუ გაქვს რამე წამოღებული, თუ მოასწარი, მე ისე გამოვიქეცი, ვერაფრის წამოღება ვერ მოვახერხებ.

– შენ სულ ჩქარობ და დარბიხარ, ამიტომაც გამოიქეცი ამ საეჭვო ვაგონ-რესტორნის იმედით.

– მეც ვერე მომივიდა, ვეღარ მოვახერხებ რამე წამომეღო და ამ ბორბლებიანი რესტორნის იმედით წამოვედი, ან ბევრიც რომ წამომეღო, ამ ოთხ ბიჭს რა ეყოფოდა, ისევ ბედს მივენდეთ, რასაც ვიშოვით იმით გამოვიკვებავთ თავს, სამაგიეროდ წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ამონაწერები, რეცენზიები არ

დაგვენიშნებია, საქართველოსათვის ვმრომობთ და ვიბრძვი, – თავმოწონებით განაცხადა ტატო ბატიაშვილმა.

ტატოს შედარებით უფროსებთან ლაპარაკი სულაც არ ერიდებოდა, ერიდებოდა კი არა, ხშირად სიტყვის წართმევასაც ცდილობდა.

ახალგაზრდა მწერლის ასაკს უკვე გადაცილებული ტატო ბატიაშვილი საკუთარ თავში ავადმყოფურად დარწმუნებული ბიჭი, არანაკლებ თავხედი და უზრდელი იყო, ვიდრე ამ თვისებებით კარგად ცნობილი პოლიტიკოსი კაკო შაკვატაშვილი, ოღონდ მასავით ლანძღვა-გინებას და შეურაცხყოფელ ლაპარაკს ერიდებოდა, მაინც მეტ სიფრთხილეს იჩენდა. როგორც ამბობდნენ, ჯერჯერობით ახალგაზრდა მწერლად შერაცხული ბიჭი არ იყო უნიჭო, თუმცა თავის ნახევარნიჭსაც ისე ლამაზად შეფუთულად წარმოაჩენდა, თითქოს რაღაც მნიშვნელოვან სიახლე მიაგნო და მწერლობას დიდი განდიც შესძინა.

ერთხელ ახალგაზრდა მწერლების სამდლიან მსოფლიო შეხვედრაზე მოხვდა ავსტრალიაში. ეს სამი დღე ისე ოსტატურად გამოიყენა, თითქოს სულ ცოტა სამი წელიწადი მაინც ცხოვრობდა ამ მართლაც შორეულ ქვეყანაში. რამდენიმე თვის შემდეგ ოთხასგვერდიანი წიგნიც გამოაქვეყნა. თავიდანვე ყურადღების მისაქცევი მყვირალა სათაურით "მივედი, ვნახე, აღმოვაჩინე და შევითვისე ჩემთვის უცნობი ავსტრალია". წიგნის გამოცემას სასწრაფოდ ორგანიზებული ფართო გამოხმაურება მოჰყვა, ტატოს თანამებრძოლი მომწ-

ერლო-მოკრიტიკოსო მაქსიმალისტები ერთხმად აცხადებდნენ, რომ შეიქმნა ახალი ბრწყინვალე ნაწარმოები, აქამდის მიუღწეველი სიახლე ეწვია ქართულ ლიტერატურას და ისეთი წიგნი შეიქმნა, რომელიც თამამად შეიძლება გვერდით დაუდგეს ილია ჭავჭავაძის "მგზავრის წერილებს". მთავარი იყო დიდი მწერლისათვის შეედარებინათ ნიკოლოზ ბარათაშვილის პატარა და შეუფერებელი სეხნია, იმას კი აღარ დაგიდევდნენ, რომ სულ სხვა და სხვა ჟანრის, წონის თუ ოსტატობის ნიმუშები იყო შედარებული. ტატო ბატიაშვილი თანამოკალმებთან ერთად ხშირად გამოდიოდა ტელემაუწყებლობის სხვა და სხვა არხით, სადაც იმართებოდა გაზვიადებული საუბრები ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი სფეროდან. საერთოდ ტატოს თავისი ყოყლოჩინური მსჯელობა შეეძლო გაეშალა ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ტექნიკისა თუ კიბერნეტიკის ნებისმიერი ჟანრის ირგვლივ, შეეძლო დილეტანტური მსჯელობა მარქსიდან დაწყებული რომელიმე ქართველ უსახელო ფილოსოფოსამდე. ამ ზერეულ დილეტანტურ მსჯელობას ისეთი პათოსით წარმართავდა, საშუალო და დაბალი დონის მსმენელს უაღრესად განათლებულ პიროვნებად მიაჩნდა. მერე, წამყვანმა მწერალმა, როგორც საკუთარ თავს უწოდებდა ხოლმე, სქელტანიანი რომანიც გამოაქვეყნა გრძელი სათაურით – "ჩემი ამერიკელი ბიცოლა, ბიძა და მეგობრები სექსუალური რევოლუციის ფონზე". რომანში იმდე-

ნი სექსი, გინება, სკაბრეზული და უხერხული გამოთქმები იყო, იმდენი სიბინძურე იფრქვეოდა, ახალგაზრდა მწერლების გარდა ყველა დაუფარავად დედას ავინებდა. კლასიკოსი ტატო ლანძღვას არაფრად აგებდა და ცხოვრებას ჩამორჩენილი ხალხის მიუხვედრებლობით ხსნიდა მისადმი ძალზე უარყოფით დამოკიდებულებას. საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენა თავდაჯერებული ტიპს სულ უძლიერდებოდა და უნმტკიცდებოდა, სჯეროდა, რომ ის არამართო თანამედროვე ქართული ლიტერატურის, არამედ ყველა დროის მწერლობის ნამდვილი ვარსკვლავი იყო, ზოგჯერ აგდებულად მოიხსენიებდა კლასიკოსებსაც კი – "ილია, აკაკი, ყაზბეგი სუსტი, დროს ჩამორჩენილი მწერლები არიანო", ამის გამო მას ბევრი აკრიტიკებდა და მწერლობაში უზრდელობის, უტაქტობის, უწმაწურობის ეტალონად თვლიდა, რასაც თავისი საქციელით ახალგაზრდა კლასიკოსი ყოველდღიურად ადასტურებდა.

პატარა და რთულ სუფრაზე თამალობა გიგა მაჩაბელმა დაიწყო, უარყოფითად ცნობილ სტუმრებს ღვინით რომ გამასპინძლებოდა, ძალიან დიდხანს წასვლას არ მოიფიქრებდნენ, უსაგნო ლაპარაკით თავს აატკივებდნენ, ამიტომ კონიაკით მათი მალე დათრობა და თავიდან მოცილება გადაწყვიტა. სამი ჭიქა ხუთვარსკვლავიანი კონიაკის ყოველგვარი დაძალების გარეშე გადაკერის შემდეგ პოლიტიკოსსაც და მწერალ-კლასიკოსსაც საღერღელი აეშალათ, მათი დროები-

თი შედარებით წესიერი მოქცევა იყო საოცარი გიგასთვის, თორემ მათგან წივილ-კივილის ატეხვა სულ არ იყო მოულოდნელი.

სწორედ მესამე ჭიქა ქართული კონიაკის სიამოვნებით გადაკერის შემდეგ კაკო შავკაცაშვილმა ბრიყვული ხუმრობით განაცხადა: აი, როგორ ცხოვრობენ ბურჟუები, ჩვენ ცარიელ-ტარიელები ვართ წამოსულები, გიგა მაჩაბელს კი არც გოჭი აკლია, არც შემწვარი წიწილა, არც ხაჭაპურები.

ბრიყვულად წამოსროლილი ვითომ ხუმრობით ნათქვამი არანაკლებ ბრიყვ კლასიკოს ტატოსაც კი არ მოეწონა, მან კაკოსკენ თავის მიუბრუნებლად განაცხადა: ასე რუსებმა იცოდნენ თქმა, დაპატიჟებდი, ტყავი გაგძვრებოდა, მერე როცა მაგრად გასკდებოდნენ და გატყვრებოდნენ, კითხულობდნენ – საიდან აქვს ამ კაცს ასეთი შესაძლებლობაო.

კაკო უცებ წამოენთო – როგორ, რუსებს მადარებ? მე უბრალოდ ვიხუმრე, სხვა რამ მიზანი კი არ მქონდა.

– მეც ვიხუმრე, შედარება მოვიტანე რუსების საზიანოდ, უბრალოდ თქვენი მისამართით კი არ მითქვამს.

– მაინც დიდი დაკვირვება გჭირდებათ ამ მწერლებს, რასაც გინდათ რომ წამოაყრანტალებთ.

– არც პოლიტიკოსები გამოირჩევიან დიდი თავდაჭერილობით.

– პოლიტიკოსი ლაპარაკობს მაინც, ჰაერში ისვრის სიტყვებს, თქვენ კი წერთ, ბეჭდავთ და ხალხს წამლავთ, უფრო მეტად ახალგაზრდობას.

– კარვით, გეყოფათ, სუფრაზე მაინც

ნუ იჩნუბებთ, პატარაა თუ დიდია მაინც ქართული სუფრაა, პატივი ვცეთ ერთმანეთს, შევირგოთ ოჯახში გაკეთებული და კეთილი გულით გამოტანებული. საერთოდ პოლიტიკას რომ შევეშვებოდეთ აქ მაინც, არ იქნებოდა ურიგო.

– პოლიტიკას როგორ უნდა შევეშვათ, პოლიტიკა ხომ ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი ყოველდღიურობაა, ისე ჯობია ერთმანეთს კი არ ვეჩხუბოთ, საჩხუბარი და გასაკრიტიკებელი ვინც არის ისევე იმას მივხედოთ, ანუ ჩვენს მთავრობას, ჩვენს ხელმძღვანელობას.

– ამ დახურულ კუპში თუ პურმარილი ჩავიშხამეთ და ისევე მთავრობის გინება – კრიტიკით დავაკვდით, ამით ვერავის ვერაფერს დავაკლებთ.

– აქ დაკლება-მომატებაზე არ არის ლაპარაკი, ლაპარაკია სიმართლის თქმაზე, ეს სიმართლე კი ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, ყველაგან უნდა ვილაპარაკოთ და ვიმოქმედოთ. აქ ორი მწერალი ხართ წარმოდგენილი, ერთი ახალგაზრდა, მეორე კი შუა ხნისა, ისე ბუნებრივია, გაცილებით ნაკლები გესმით, მე კი ამ საქმეში, როგორც იტყვიან, ჭიპი მაქვს მოჭრილი. აი, ჩვენი ხელმძღვანელობა ვახსენეთ, ცნობილი გამოთქმაა, რომ არცერთ ქვეყანაში მთავრობა არ უყვართ, ყველასთვის საყვარელი მთავრობა არსად არ არსებობს, თუკი არსად არ არსებობს მისაღები მთავრობა, ჩვენ როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენი უდღეური მთავრობა, რომელმაც წლების მანძილზე ხალხისთვის ვერაფერი საჭირო ვერც გააკეთა და არც გააკე-

თა, ისეთი დაბალი დონის ხალხია ხელმძღვანელობაში, რომ არავითარ საზოგადოებრივ წინსვლაზე არ ფიქრობენ, ამითაც არის გამოწვეული პირადული ინტერესების ყოველგვარ პატრიოტულსა და საზოგადო ინტერესებთან შედარებით მკვეთრად გადაჭარბება, ძირითადად მხოლოდ საკუთარ ოჯახის სრულ უზრუნველყოფაზე, ფულის აუცილებელ დაგროვებასა და პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა. ამ ოჯახური კლანური სიკეთის ერთ-ერთი ძლიერი მიმართულებაა მშობლების, დების, ძმების, ბიძების, ბიცოლებისა თუ მამიდების კარგ შემოსავლიან სამსახურებში მოწყობა, რომ ისინიც იყვნენ უზრუნველყოფილები და მერე პატივცემული გვამი აღარ შეაწუხონ, მით უმეტეს ფულის სასესხებლად ან სათხოვრად აღარ მიადგნენ, დიდი კაცი ყოველთვის დასვენებული უნდა იყოს, მას ეზარება ფინანსურად დაეხმაროს ახლო ნათესავებს და არც სცალია ამ მდაბიური პრობლემებისათვის. თავად კი ეს უსუსური, უგერგილო და მხოლოდ თანამდებობის ძალით გაყოფილი პიროვნებები ყველა შესაძლებლობით ცდილობენ საკუთარ თავს არაფერი დააკლონ, იმის გარდა, რომ ხელფასის სახით, თან სრულიად დაუმსახურებლად, ძალიან დიდ, უბრალო ადამიანისთვის წარმოუდგენელ თანხებს იღებენ, საკუთარი თავისა და ახლობელი ადამიანების წრისათვის უზარმაზარ პრემიებს იწერენ, თანაც ეს ხდება აუცილებლობად ქცეული ქურდობისა და საეჭვო გვერდითი საქმიანობიდან მილიონობით მიღებუ-

ლი თანხების ფონზე, არაფერს არ კარგავენ, ყველას მილიონერობა აქვს მტკიცედ გადაწვეტილი, ხალხი კი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, კაპიკს კაპიკზე აწებებს, წამლებს ვერ ყიდულობს, სასკოლო წიგნების შეძენის ფულიც კი არ აქვს, ცოლ-შვილი ელუპება, საქართველოს მოსახლეობის ზუსტად ნახევარი გადახვეწილია რუსეთსა და საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში, ერთეულების გარდა ყველა მათთაგანი მონურ, კატორღულ შრომას ეწევა, რათა შვილები შიმშილით დახოცვას აარიდონ, ქუჩაში მათხოვრობის უძძიმეს ხვედრს გადაარჩინონ, ამ დროს ჩვენი მთავრობა გალალბულად ცხოვრობს, გაუბედურებული ხალხსაც კი არ ერიდება, ფეხებზე ჰკიდიათ მოძმეთა გასაჭირი, ყველა წყალსაც წაუღია, ოღონდ თვითონ იყვნენ რაც შეიძლება კარგად. რა უნდა ვუყოთ ასეთ მთავრობას, საშინელს კი არა უსაშინლესს, რა თქმა უნდა, ყველა შესაძლებლობით, საკუთარი სიცოცხლის განწირვითაც კი უნდა ვიბძოლოთ მათ გასაყრელად, პოლიტიკური კუთხით გასანადგურებლად, ახალი, ღირსეული გამოცდილი, პატიოსანი ადამიანების მოსაძებნად, მოსაყვანად. თქვენ კი ჩვენი მინისტრებივით ჭამა-სმით გართულები ასეთ მძიმე დროსაც მეუბნებით არაფერი თქვა, არ შეგვაწუხნო, ქეიფი დაგვაცადეო, ვიტყვი კი არა, ვიყვირებ, ყველგან ვილაპარაკებ, ყველას ხმას მივაწვდენ, ხალხს დავრაზმავ და მავნებელ მთავრობას დავამხობ.

– ვთქვით შენსას მიაღწიე, მთავრობა დაამხე, მერე რაში ხელავ გამოსავალს,

ვინ უნდა მოვიდეს მათ ადგილას, ქვეყანას ხომ აუცილებლად ჭირდება ხელმძღვანელობა, სწორი ეროვნული გზების ძიება.

– ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე მოგახსენებთ, ხალხს თუკი ჭკუა აქვს, თუ სწორი ალღო და განჭვრეტის უნარი გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პარტია-"ხალხის დახმარების" პარტია უნდა მოიყვანონ ხელმძღვანელობაში, რადგან ჩვენი მსგავსი ეროვნული სულისკვეთების პარტიის თუნდაც შორიდან მსგავსის უბრალოდ მოძებნაც კი შეუძლებელია მთელ საქართველოში, ჩვენ ვართ ერთადერთი საიმედო ძალა.

– ბუნებრივია, ამით საკუთარ თავს უწევთ რეკომენდაციას.

– ეს თავისთავად იგულისხმება, აბა დებილ სულიკაშვილს ან ბოზ ბერელავას ხომ არ გაუწევ რეკომენდაციას, მე რატომ უნდა ვიზრუნო სხვებისთვის, თანაც არასრულფასოვანი პიროვნებებისათვის.

– თქვენ ისე ლაპარაკობთ თითქოს ხალხის მხარდაჭერა გარანტირებული გაქვთ.

– მაქვს, რა თქმა უნდა, მაქვს, ოღონდაც არა თქვენი მსგავსი ირონიის მქონე და ქედმაღლური ქალაქური გაგების ადამიანების და მით უფრო მწერლების, რადგან ყველა პოეტი თუ პროზაიკოსი, როგორც ცნობილია, თავისებური პიროვნებაა, ანუ ცოტა გიჟია, ან სერიოზულად გიჟი, ვიცი თქვენ სოფლელად მთვლით და ისევ უჭკუო ქალაქელი ტიპის მოყვანაზე ოცნებობთ.

– აი, ეგ სისულელე თუ გიჟობა

ნამდვილად აღარ უნდა გეკადრებინათ, გიჟები პოლიტიკაში ათჯერ უფრო მეტია, აი, აქ ორი მწერალი ვართ, რომელი მიგაჩნიათ გიჟად, თუ ორივეს ასე გვიყურებთ.

– აი, შენ უფრო შესაფერის კანდიდატურად მიმაჩნისხარ, – ტატო ბატიაშვილს მიმართა კაკომ.

– თფუ, თქვენც შეგარცხვინეთ და თქვენთან პურის მჭამელიც, მართლა გიჟო და ტვინგაცხლებული, – ფეხზე წამოხტა ახალგაზრდა კლასიკოსი ტატო, გარეთ გავარდა და კარიც გაიჯახუნა.

– წადი შენი პრეტენზიული ნაგიჟარი დედაც, გიჟი ყველგან გიჟია, გინდ სუფრაზე და გინდ ტრიბუნაზე, – განაცხადა მაგრად მთვრალმა კაკომ, – აღარც ლაპარაკი მინდა, აღარც დაღვევა, ჯობია წავალ და კარგად გამოვიძინებ.

გიგა მაჩაბელმა შვებით ამოისუნთქა, გიჟობის ორივე კანდიდატი წავიდა, მის შეწუხებას ველარ შესძლებდნენ, სუფრა მიაღაგა და გვარიანად მთვრალი ფანჯარასთან დადგა, ძალიან უყვარდა მატარებლიდან კინოკადრებივით მიმქროლავი პეიზაჟების ცქერა, არ სიამოვნებდა კუპრივით ბლანტმა სიბნელემ რომ დაფარა მიდამო, თუმცა ეს სიბნელე ხშირ-ხშირად ფერმკრთალდებოდა, მატარებელი ან განათებულ სადგურებთან ჩერდებოდა, ან შეუჩერებლად ჩაუვლიდა ბაქნებს და ღამეულ პეიზაჟებს მაინც სიამოვნებით აკვირდებოდა.

დილით ადრე ადგა, მომზადებას შეუდგა, განრიგის მიხედვით რამდენიმე საათში მოსკოვში უნდა შე-

სულიყვნენ, გამცილებელ ახალგაზრდა ქალს ჰკითხა რომელ საათზე ვიქნებით ადგილზეო, პასუხად უსიამოვნო ცნობა მოისმინა – ვიგვიანებთო, – ხომ არ იცით მაინც რამდენი ხნით ვიგვიანებთ, – კვლავ შეეკითხა გიგა, – რამდენიმე საათით, – უპასუხა ქალმა და ცხელი წყლის დასხმა გააგრძელა, რომ ჩაის საეჭვო ნაყენით გაფერადებული სითხე ჩაის მოყვარულებთან მიეტანა.

დილის ათი საათის ნაცვლად მატარებელი სადგურში დღის ოთხ საათზე შევიდა, გაფაციცებით იცქირებოდა ფანჯრიდან, თუ ვინმე არ დახვდებოდა, ბარგის მზიდავისთვის დროულად უნდა დაემანა. კაკო შავკაცაშვილმა და ტატო ბატიაშვილმა გუშინ კონიაკის სმის დროს თავი გამოიდეხს – ჩვენ ბარგი თითქმის არა გვაქვს, აუცილებლად მოვალთ და მოგვხმარებიო, მაგრამ არავენ ჩანდა, სმის დროს დიდებული პირობა უკვალოდ აორთქლებულიყო, ყველა საკუთარ თავსა და საკუთარ სიკეთეზე ფიქრობდა, სხვა სულ ფეხებზე ეკიდა.

მადლობა ღმერთს დახვდნენ, თან ბარგის მზიდავიც დაეხვევებინათ, რომ აქაც თავის შეწუხებას არიდებოდნენ. დამხვედრების დანახვა მაინც ესიამოვნა, მათ ვაგონისა და ადგილის ნომერი აუცილებლად ეცოდინებოდათ, ამიტომ ძახილი და ფანჯრიდან ხელების ქნევა აღარ დაუწყია. საერთოდ სამეურნეო სამმართველოს მუშაკებისათვის დახვედრა და გაცილება ერთი აუცილებელი მოვალეობა იყო, თანაც პროცესი აშკარად სიამოვნებდათ, რამე სასარგებლოს გამორჩებოდ-

ნენ, ეს განსაკუთრებით არყის ან კონიაკის ბოთლის ჩუქებით გამოიხატებოდა, რაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ ჩვეულების გამო ერთხელ კინალამ სამშობლოსკენ მიმავალ მატარებელს ჩამორჩა. წინასწარ მომზადებული სამსახურეობრივი მანქანის მძღოლს ლიტრიანი ბოთლით სპირტივით მაგარი ჭაჭა აჩუქა, სამუშაოს რომ მორჩები მერე სახლში დალიეო, ეგონა ასე მძლოლი უფრო ერთგულად მოემსახურებოდა. მწარედ შეცდა, რუს მძღოლს მეგობრისათვის ეთქვა ხელში ჩაგდებული, მათი აზრით ნამდვილი სიმდიდრის შესახებ. ამ ამბის გაგებით აღელვებულ კოლეგას დაუყოვნებლივ შეეთავაზებინა, მოდი თითო ჭიქა დავლიოთ, მაინც მანქანებით გაიჭედება ქუჩები და ვინ გაგვაჩერებსო. პირველი ჭიქის მერე პური და ძეხვიც უყიდათ და სამსახურის მანქანაში მსხდარებს ამ ერთი ლიტრა მაგარი არყიდან ერთი წვეთიც არ დაუტოვებიათ. მოლაპარაკებულ დროს მანქანა რომ არ გამოჩნდა, მორიგეს დაურეკა აღელვებულმა გიგამ, გაიგო, რომ უენოდ მთვრალებს მანქანაში ეძინათ, სასტიკად გაბრაზდა საკუთარ თავზე, მაგრამ რა უნდა ექნა. ამასობაში როგორც ექნა მანქანა შეცვალეს, გაჭედილი ქუჩებით ძლივს მიაღწიეს კურსკის სადგურამდე, მებარგული შეპირებების ეშხით თითქმის სირბილით ატარა და ახლადდაძრულ მატარებელზე ძლივს მოასწრო შეხტომა, ბარგიც პანტა-პუნტით შეუყარეს ჯერ კიდევ ნელა მიმავალი ვაგონის ტამბურში.

ახლაც ასეთი ტიპები ელოდებოდ-

ნენ ბაქანზე, თუმცა უცებ გამეფებული წარმოუდგენელი ქაოსისათვის ოლონდროგორმე თავი დაეღწია, მაგარ სასმელზე დაპატიჟებას ან მიცემას ვილა ჩიოდა. არცთუ ისე ფართო ბაქანზე უამრავი ხალხი მიდი-მოდიოდა, ზუსტად ამ დროს საგარეუბნო ელექტრომატარებელიც ჩამოდგა და უცებ იმდენი ხალხი გადმოშვავდა, ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარ დარჩა. ისეთი შეგრძნება ქონდა, თითქოს ფრონტისპირა ქალაქში იყო მოხვედრილი, ხალხი თავშესაფრისაკენ გარბოდა და სადაცაა ყუმბარა აფეთქდებოდა. მოსკოვში უკიდურესი არეულ-დარეულობა იგრძნობოდა, საშინელი ხმაური იდგა, ქალაქში გასასვლელი გვირაბები პიკის საათებში ტროლეიბუსივით იყო გადავსებული, თითქოს დინებას მიჰყავდა. სადგურის წინა მოედანიც საოცრად იყო გადაჭედილი, იმდენი ხალხი იდგა ტაქსების რიგში, რომ გაიფიქრა – აქ ჩადგომის შემთხვევაში დილაამდე თავს ვერ გააღწევდა. დამხვედურებს მანქანა სადგურის გრძელი შენობის იქით მანქანებით გაძედილ ჩიხში შეეფარებინათ. გაჭირვებით მოთავსდნენ მანქანაში და სასტუმროში მისვლამდე მთელი საათნახევარი იბობლეს მანქანების უკიდევანო ზღვაში. ბარგი შეიტანეს საკმაოდ კარგ ოროთახიან ნომერში, მასპინძლებს მოუბოდიშა ძალიან გადავიღალე, მგონი გავცივდი კიდევ, თავს ცუდად ვგრძნობ და ჩვენი შეხვედრა სხვა დროისთვის გადავლოთო. მერე შეცბუნებულ პატივისმცემლებს არაყიც მიართვა, კონიაკიც და ღვინოც, რასაც ისინი დაუფარავი სიხარულით

შეხვედნენ, თითქოს მძიმე ტვირთისგან განთავისუფლდნენ, ისეთი შვებით ამოისუნთქეს. ახლა წავალთ და თქვენ სადღეგრძელოს აუცილებლად დავლევთო, რაშიც გიგას ოდნავი ეჭვიც არ ეპარებოდა, მოსკოვში არაფი საერთოდ გამქრალიყო, მხოლოდ სადღაც-სადღაც იყიდებოდა სპეკულაციურ ფასებში და ასეთ საოცნებო მომენტს, რაც ექვსი ბოთლი ნაირ-ნაირი სასმელის ხელში ჩაგდებით გამოიხატებოდა, დაცემამდის სმას ვერაფრით ვერ უღალატებდნენ.

დასვენების შემდეგ გულმა არ გაუძლო, თბილად ჩაიცვა და ახმაურებულ ქალაქში გავიდა, იფიქრა ცოტა მაინც გავივლი, ორი დღის მანძილზე მატარებელში ვჯდომით დაღლილ მუხლებს გავმართავო. მოსკოვში უამრავჯერ იყო ნამყოფი, კარგად იცნობდა ამ ყოველთვის ხალხმრავალ, უთავბოლო და საგიჟეთივით არეულ ვეება ქალაქს. უკიდურესად ცუდი გზით წასული ვითარება თითქოს ყოველ ნაბიჯზე მეორადი ტანსაცმელივით იყო გამოფენილი. ბევრ ადგილას არსებული სასურსათო მაღაზიები ანუ გასტრონომები ომის დროს მოგაგონებდათ, თითქმის ყველაფერი გამქრალიყო, ხალხი კითხულობდა ძეხვს, სოსისს, ლორს, მაგრამ საიმედო პასუხს სამომავლოდაც ვერ იღებდნენ, ღამის საათებში პურიც კი აღარ იშოვებოდა, თაროებზე საეჭვო წარმოშობის ქილები ეწყო, მხოლოდ გაუგებარი ქვეყნის ჩაი, მჟავე კიტრი და მღოგვი შეიძლებოდა გეყიდათ, ოღონდ ეს მღოგვი უძეხვოდ როგორ უნდა გამოეყენებინათ არ იცოდნენ, ისევ დიდი წვალებით შეძენილ

უნარისხო პურს წაუსვამდნენ და ომის-დროინდელი მეთოდების გამოყენებით მიირთმევდნენ. არცერთ გასტრონომში მოხმარების უპირველეს საგნად აღიარებული რუსული არაფიც აღარსად იშოვებოდა, მიუხედავად ამისა მობარბაცე მთვრალების ნაკლებობა არ იგრძნობოდა, ისინი ყველგან იდგნენ რესტორნების, სასადილოების თუ გასტრონომების წინ, ალბათ, ყველას იმედი ჰქონდა კიდევ რაიმეს დაუმატებდა. გაუკვირდა ამგვარი მწვავე დეფიციტის დროს რას სვამდა ეს უბედური ხალხი. მეორე დღეს ერთ კარგ ნაცნობს კითხა ამ ვითარების შესახებ, რაშია საქმე, რას სვამენო. ეგ ადვილი ასახსნელია, სოფლებსა და რაიონებს რომ თავი დავანებოთ, სადაც ყოველგვარი საშინელება ხდება, ახლო მოსკოველთა უდიდეს ნაწილს სახლებში აქვთ არყის სახდელი კუსტარული იარაღ-მოწყობილობა. ხდიან ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებათ და რის შოვნასაც შეძლებენ, ხდიან შაქარს, პურს, ჭარხალს, კარტოფილს, ნიორს, ხახვს და მიღებულ მაგარ საწამლავს დიდი სიამოვნებით სვამენ, ისედაც სმის მოყვარული ხალხი კიდევ უფრო გალოთდა, უფსკრულის ფსკერზე დაეშვა და ახლა მთელ დღეებს იმის ფიქრში ატარებენ სად რა იშოვნონ, სად დალიონ, ამ მიზნით გამოიყენება ნებისმიერი საპარადო, პარკები, სკვერები, ქუჩაში დადგმული ძელსკამები თუ მიწისქვეშა გადასასვლელები. მთავარ შესაკრებ ადგილებად მაინც საზოგადოებრივი კვების ობიექტების მისადგომებია, იქ დგანან დიდიდან შუალამემდე, ეძებენ

და აჯერებენ ვარიანტებს, სვამენ ყოველგვარი მოსატანებლის გარეშე, მერე მთვრალები დაეხეტებიან აქეთ-იქით, ამიტომაც მოგხვდათ თვალში ლოთების დიდი რაოდენობა, რაც არასოდეს არ აკლდა მოსკოვს, ამ უმძიმეს წლებში კი გეომეტრიული სისწრაფით იზრდება.

უსიამოვნო გრძნობით შეპყრობილი დაბრუნდა სასტუმროში, მერე დიდი ხნის წინ ნანახ ძველ მხატვრულ ფილმს უცქირა და ფიქრებით დაღლილს გვიან ჩაეძინა, ძილშიც კი გრძნობდა, რომ ქვეყანა უკვე დაღუპვის პირას იდგა და მძიმე, დამთრგუნავი ფიქრები ძილშიაც არ ასვენებდა, გამოელვძებოდა, გასცქეროდა ბნელ, განუჭვრეტელ სივრცეს და კვლავ ფიქრი წაიღებდა, საკუთარი ოჯახის გარდა სასიამოვნო და საიმედო ვერაფერი წარმოედგინა.

დილით დროულად ადგა, მოემზადა, მსუბუქად წაივარჯიშა კიდეც, რომ გამოყოლილი დაღლილობა მოემორებინა. ზემდგომ სამსახურში უნდა მისულიყო, აელო სამგზავრო ბილეთი, სამივლინებო ხარჯები, გაერკვია სად უნდა შეხვედროდა დელეგაციის წევრებს, რომელ საათზე მიფრინავდა თვითმფრინავი ვარშავისკენ. ამ დროს ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა, გაიფიქრა, ალბათ, სამსახურიდან მირეკავენ, მკითხავენ როდის მივალ ან რაიმეს შემატყობინებენო. ყურმილი აიღო და რუსულად წარმოთქვა – ვისმენტ, ქალის წკრიალა, მომაჯადოებელი ხმა გაისმა:

– გამარჯობათ ბატონო გიგა, როგორ ბრძანდებით, როგორ მოეწვევთ, ალბათ ისვენებდით, ძალიან ხომ არ შეგაწუხეთ?

თითქოს იუმორშეპარული ხმით ესაუბრებოდა ახალგაზრდა ქალი. მოულოდნელი ეჭვებით კი აივსო, მაგრამ უცებ მაინც ვერ იცნო ამ ამაფორიაქებული ხმის პატრონი.

– ბოდიშს გიხდით, უცებ ვერ გიცანით, ვერ მივხვდი რომელი ბრძანდებით.

– ასე უცებ როგორ დაგავიწყდით, ალბათ წუხელ საყვარელ რუს კოლეგებთან გაატარეთ დრო და სხვების ხმა საერთოდ გადაგავიწყდათ.

ამ ლაპარაკში უცებ ლიკა მხეიძე იცნო და მოულოდნელობისაგან გული აუფანცქალდა.

– ლიკა ხარ, საიდან, როგორ, აქ როგორ მოხვდი და რაც მთავარია როგორ მომაგენი, დაჯერებაც კი მიჭირს, ნუთუ მოსკოვში ხარ, რაღაც ზღაპრულად მეჩვენება ეს ყველაფერი.

– დიახ, მე ვარ, რა არის აქ დაუჯერებელი და მით უმეტეს ზღაპრული. ვიცოდით როდის წამოხვედით, როდის იქნებოდით ადგილზე, მე და ნატა ჩაჩხიანმა გადავწყვიტეთ ორი ან სამი დღით მოსკოვში ე. წ. შოპინგი ჩავვეტარებინა, სრულიად გაუწვალეზლად შევიძინეთ ბილეთები და სანამ თქვენი მატარებელი რუსეთის თუ უკრაინის გზებზე მორახრახებდა, ჩვენ უკვე ჩამოვფრინდით, სულ რაღაც ორი საათი მოუნდა ამ სიამოვნებას. როგორ მომაგენითო, თქვენგან მიკვირს ასეთი შეკითხვის დასმა, დავრეკეთ სამსახურში, საქმეთამმართველობაში, გვითხრეს რომელი სასტუმროც გქონდათ შეკვეთილი, ცნობათა ბიუროში გავიგეთ თქვენი ნომერი, ასე დამთავრდა ყველაფერი, ახლა კი დაგირეკეთ, მოგიკითხეთ.

– ბუნებრივია, ძალიან გამიხარდა ამგვარი სასიამოვნო მოულოდნელობა, რაღა თქმა უნდა, შევხვდებით, ჩვენთვის გინდა არ გინდა, მაინც უცხო ქალაქია, ყინვა-სიცივით ავსილი ქალაქი, აქ ქართველების შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებულად სასიამოვნოა, შენნაირი და თქვენნაირი ულამაზესი ქალების ნახვა ორჯერ კი არა ათასჯერ სასიამოვნოა.

– პაემანი ზომ არ ჩაგემლებათ ჩვენი ასეთი მოულოდნელი თავდასხმით, თქვენ მოსკოვში ისე არ გაჩერდებით, კარგად ვიცით, რომ არა ერთი და ორი მომხიბლავი რუსი მეგობარი გყავთ აქ, იქნებ წინასწარაც კი ხართ შეთანხმებულები.

– გეყოფა, ნუ მაშაყირებ, არავითარი პაემანი არ მაქვს და არავითარი რუსი ქალების რაზმები არ მხვდებიან, ნამდვილად თავს არ იკლავენ ჩემთვის და ქვის ხიდიდან მოსკოვ-მდინარეში არ ცვივიან, თქვენი ნახვა და თქვენთან საღამოს გატარება ყველაფერს მირჩევნია ამ ქვეყანაზე, მაგრამ ჩემს ზემდგომ უწყებაში უკვე შეთანხმებული ვარ, რომ თერთმეტ საათზე მივალ, ბილეთი და მივლინების თანხა უნდა ავიღო, უკვე მაცნობეს, რომ ზევ შუადღისას მივფრინავთ ვარშავაში, ზუსტად თქვენსავით ორი-სამი დღით, სულ შეხვედრები და გამოსვლებია დაგეგმილი. მოდი დღეს შევხვდეთ ხუთ საათზე, სასტუმროში მშვენიერი მყუდრო ნომერი მაქვს, აქ დავსხდეთ და ჩვენთვის თავისუფლად ვილაპარაკოთ, ახლა ქალაქშიც და რესტორნებშიც ისეთი არეულობაა, ქუდი რომ შეგივლონ მაინც არ უნდა შეხვიდე. ხუთ საათზე ჩვენი სასტუმროს მთავარი შესასვლელის წინ

დაგელოდებით, ნატა ჩაჩხიანი მომიკითხე, ნამდვილად კარგი გოგოა, გელოდებით.

გიგა მაჩაბელს ზემდგომ ორგანიზაციაში იგივე არეულ-დარეული ცხოვრების სულისკვეთების უტყუარი მაგალითები დახვდა, რაც მთელ უზარმაზარ ქალაქში იგრძნობოდა. შესასვლელი კარის მკაცრი დაცვა მოეხსნათ, რაც წლების მანძილზე მუშაობდა, მარმარილოს კიბეებიდან ფართო წითელი ხალიჩა აეღოთ და ჩვეულებრივი თავის მოწონების საშუალება შეეზღუდათ, თანამშრომლები თვალსაჩინოდ შეემცივებინათ, შენობის ერთი სართულის ოთახები სულ უცხოელებსა და რაღაც მყვირალა სახელწოდებების ფირმებზე გაექარვებინათ, ნახატებით მორთულ ფართო ჰოლში სავაჭრო კიოსკები დაედგათ, ჟურნალ-გაზეთების გარდა მანუფაქტურა და პირადი ჰიგიენის ნივთებიც უხვად იყიდებოდა, თუმც მყიდველი არ ჩანდა, ვრცელი სასადილო დარბაზი დაეკეტათ და "ადიდასის" მწარმოებელი სპორტული ფირმისთვის მიექირავებინათ, კუთვნილ ხუთას კაციან დარბაზში ახლადდარსებული სატირული თეატრი შეემავათ, ერთ დროს დიდი უწყების თანამშრომლები ერთ სართულზე შეემჯიდროვებინათ, მიუხედავად ამისა ამკარა უსაქმურობა და სამსახურებრივი ქაოსი დასადგურებულიყო. თორმეტი საათის შემდეგ საღაც კი არ შეიხვდა, ყველგან სვამდნენ და დასალევად ეპატიჟებოდნენ, საერთო ფაციფუცი და ზედმეტი მოძრაობები შეინიშნებოდა. კარგ ურთიერთობაში მყოფი ერთ-ერთი განყოფილების გამგისგან გაიგო, რომ დღეს მათი თავმჯდომარის ანუ "შეფის" დაბადების დღის აღსანიშნავი

დიდი სუფრა იმართებოდა და გიგაც მიიპატიჟა დასალევად. დაწესებულების უფროსთან მაინც უნდა შესულიყო, ხელცარიელს რომ მიელოცა აქაური კანონებით უხერხული იყო, ამიტომ ნაცნობი თანამშრომლებისათვის დასარიგებელი არაყ-კონიაკის ბოთლებიდან სამი ბოთლი კონიაკი ჭრელი ცელოფნის პარკში ჩადო, მერე ჰოლში ჩავიდა, რაღაც საეჭვო წარმომავლობის სუნამოც შეიძინა და უფროსს ეახლა მისალოცად. სერაფიმ გლეხოვიჩს ძალიან ესიამოვნა, რომ საქართველოდან ჩასულმა კოლეგა ხელქვეითმა საყვარელი კონიაკები მიართვა და გიგა უკვე პირველი საათისათვის დიდ საკონფერენციო დარბაზში გაშლილ სუფრაზე მიიპატიჟა. გრძელ მაგიდებზე ხორავი უხვად დაეხვავებინათ, თანამშრომელ ქალებს შინ დაემზადებინათ ყველაფერი, თუმცა ეს არ იყო მათთვის მთავარი, მთავარი იყო ის, რომ რუსული არყებისა და ლუდის, დაღესტნური პორტვინების, მოლდავური კონიაკებისა და შამპანურების მთელი ტყე იშლებოდა თვალწინ, სუფრის თითო წევრზე ოთხი-ხუთი ბოთლი მაგარი სასმელი იყო გათვალისწინებული, რომ მერე მაგარ მთვრალეებს ჯიბეებითა და უბეებით სახლებშიც წაეღოთ. გიგას გაახსენდა ქართული ნაწარმოები "ლხინი ჟამიანობის დროს", აგრეთვე წინა წლებში ნანახი ძალზე საინტერესო ფილმი სამყაროს დასასრულის შესახებ, სათაურით "უკანასკნელ ნაპირზე" და ღრმად დარწმუნდა ეს ცნობილი ჟამიანობა თუ მეორედ მოსვლის პროცესი უკვე მთელი გაქანებით მიმდინარეობდა. სამი ჭიქის მერე ყველამ ყვირილით

ლაპარაკი დაიწყო, ყველა მოითხოვდა სადღეგრძელოს თქმის უფლებას, ოღონდ ნებისმიერი სადღეგრძელო იყო სულელურად გულისამრევი და ყველა მხოლოდ თავმჯდომარის მისამართით იყო ნათქვამი, ისიც სულელურად ილიმებოდა, მადლობას იხდიდა და არყით სავსე ჭიქებს ხარბად ცლიდა, სანამ სახლში არ წაასვენებდნენ, რაც თურმე არაერთხელ დამართნია, ეი. სანამ არ ჩაიფსამდა, დაღევას არ ეშვებოდა. სამი საათისთვის გიგა დაუმშვიდობებლად წამოვიდა, ის უკვე ყველას ფეხებზე ეკიდა, არეულ-დარეული სიმღერები ისმოდა, ზოგიერთი ცეკვასაც აპირებდა, უკლებლივ ყველა კაცი კი ქალების კოცნითა და ხელების სმით იყო გართული.

გიგა მაჩაბელმა სასტუმრომდე ფეხით გავლა გადაწყვიტა, ძალიან ციოდა, თუმცა სუფრაზე ამტყდარი ხორიალ-ბორიალისა და არყის დაღევის შემდეგ სწორედ ცივ გაყინულ ჰაერზე სიარული ერჩივნა. ერთ დროს საკმაოდ კარგი ქალაქი, დედაქალაქთა დედაქალაქის მაღალი ტიტულისათვის გამზადებული მოსკოვი ომისდროინდელ აშლილ ქალაქს ჰგავდა, სადაც კი შეინებდა ყველგან გრძელზე-გრძელი რიგები ჩანდა, მძიმე ცხოვრებით გამოღუნებული ხალხი მოთმინებით ელოდა რაიმეს ყიდვას. გრძელი რიგები იდგა პურის მაღაზიებთანაც, ხალხის ძირითად იმედად უხარისხო პური დარჩენილიყო, ადრე ყველგან დაყრილი ბუბლიკიც კი იშვიათობად ქცეულიყო. მერე ერთ-ერთ ახლად გახსნილ კომერციულ მაღაზიაში გრძელ რიგში ჩადგომის საშუალებით როგორც იქნა ნამცხვრები იყიდა და პატარა ოთხკუთხედი ტორ-

ტიც შეხვდა, ესეც დიდი ამბავი იყო ყოველი ფეხის ნაბიჯზე გამეფებული სიცარიელისა და უბადრუკობის დროს.

სასტუმროში ნახევარი საათით ადრე მივიდა, მაგიდა გაათავისუფლა, ნამცხვრები დაალაგა თეფშებზე, ღვინისა და სამარკო კონიაკის ბოთლები დადო, თან რესტორანში დარეკა და სამი პერსონისათვის სადილი შეუკვეთა. ხუთ საათზე გაცილებით ადრე შექეიფიანებულმა და შინაგანად აფორიაქებულმა მოლაპარაკებულ ადგილს მიაშურა, ჯეროდა დაიგვიანებდნენ, ცოტა ლოდინი მაინც მოუწევდა, მაგრამ ოთახში გაჩერება მაინც არ შეეძლო, იდგა და ორივე მხარეს გაშლილ ქუჩას ჩუმი მღელვარებით გასცქეროდა. ოცი წუთის დაგვიანების შემდეგ გამოჩნდნენ, შორიდანვე ისეთი ლამაზები და მომხიბვლელები იყვნენ, ისეთი მაღლები, ბრწყინვალედ ჩაცმულები და ჰაეროვნები, რომ პირველ ხანებში თითქოს ვერც კი დაიჯერა, რომ ეს ულამაზესი ახალგაზრდა ქალები მასთან მოდიოდნენ, მალე ჩაეხუტა ლიკას და ისე კოცნიდა, თითქოს ერთი წელი მაინც იქნებოდა ერთმანეთი არ ენახათ. გოგონები მიიპატიჟა, გიგას დროებითი სამყოფელი მოეწონათ, დაათვალიერეს, დიდი ქალაქის ახმაურებულ ქუჩებსაც გადახედეს და რბილ სავარძლებში მოკალათდნენ. მალე ოფიცინტმა ურიკა შემოაგორა და შეკვეთილი საკვები მაგიდაზე ლამაზად დაალაგა. შინაგანად აღელვებული სადღევრძელოებს ამბობდა, გოგონებს გულიანად ადღევრძელებდა, თან ყოველგვარი დაძალების გარეშე სვამდა და სვამდა. ნატა ჩაჩხიანი ბევრს ეწეოდა, იმ მიზნით ოთახები რომ არ გაებოლა, ხშირ-ხშირად

გადიოდა ოთახის წინა ჰოლში და იქ ეწეოდა. ამ მომენტით სარგებლობდნენ გიგა და ლიკა, ერთმანეთს კოცნიდნენ, მერე ნატა სამი სართულით დაბლა ჩავიდა, რომ დამთავრებული სიგარეტის ნაცვლად ახალი კოლოფი "კენტი" ეყიდა. ამ დროის მანძილზე წყვილი ისე იყო ჩახუტებული, კინაღამ მოსახდენი მოხდა. თერთმეტ საათზე, როცა სასტუმროები მაშინდელი უძიმესი წესების თანახმად სტუმრებისაგან უნდა განთავისუფლებულიყო, გიგამ გოგონები ჩააცილა, ქუჩაში მანქანა დაიჭირა, ფული წინასწარ გადაუხადა და უთხრა ახალგაზრდა ქალები სასტუმროში მიეყვანა, თან მოლაპარაკეს ერთმანეთისთვის დაერეკათ და კვლავაც შეხვედროდნენ.

საკმაოზე გაცილებით მეტად დაღუეულმა ღვინომ და არაყმა, დაღლამ, ვნებიანი ურთიერთობით გამოწვეულმა მღელვარებამ ღამით იჩინა თავი, გული ცუდად ჰქონდა, მეტისმეტად უჩქაროდა და წამალს-წამალზე სვამდა. დილისკენ ჩაეძინა, ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა, საათს დახედა, თერთმეტი საათი შესრულებულიყო, ყურმილი აიღო.

– გამარჯობა, ბატონო გიგა, როგორ ხარ, როგორ გეძინა, თავს როგორ გრძნობდი, – შეკითხვები დააყარა ლიკამ.

– ჩემო ლიკა, სიმართლე რომ გითხრა, ცუდად ვიყავი, გულმა ძალიან შემაწუნა, კიდევ კარგი, წამლები მქონდა, ვსვი და ვსვი.

– რას მეუბნები, ამიტომ გაფრთხილებდი არ დაგელია, მაგრამ არ დამიჯერე, არ მოისვენე. ახლავე მოვალ, გნახავ, თან დამატებით წამლებსაც წამოვიღებ.

ნახევარ საათში ლიკა მოვიდა, ისე გამოიყურებოდა, ულამაზეს გოგოს თვალს ვერ მოსწყვეტდით. გიგა უკვე გამოსული იყო მდგომარეობიდან, ლიკამაც დააღვიძა წამალი და კიდევ უფრო უკეთესად გახდა. მოტანილი აპარატით წნევის გაზომვის შემდეგ უმშვენიერეს ლიკას ხელი მოჰკიდა, კალთაში ჩაისვა და მის ტუჩებს დაეწაფა. აფორიაქებული გოგონა ხმადაბლა ჩურჩულებდა: არ გინდა, არ გინდა, ისე ვიყოთ, თუმცა თავის შეკავებაც ძალიან ძნელი იყო, გიგას ისიც კი ზღაპრად ეჩვენებოდა, რომ ამ ბრწყინვალე ახალგაზრდა ქალთან იწვა. თითქოს გაბრუებულ და სხვა გასაოცარ განზომილებაში გადასული ბოლომდის ვერც კი იჯერებდა როგორ გამოუგზავნა ღმერთმა ულამაზესი ახალგაზრდა ქალი, რომლის სურნელსაც მოუცილებლად გრძნობდა და სასიამოვნოდ განუჭვრეტელი ოცნებით ავსებდა. მალე ნატა ჩაჩხინამაც დარეკა, საქმეზე იყვნენ წასასვლელები და ლიკა აფუსფუსდა, ხვალ დილის საათებში გოგონები თბილისს მიფრინავდნენ, გიგა კი სამ თანამშრომელთან ერთად პოლონეთისაკენ მიემართებოდა.

მთელი ის დღე, ღამეც და თვითმფრინავში ვარშავამდე სულ ულამაზეს ლიკაზე ფიქრობდა, მასთან ურთიერთობა ძალიან სიამოვნებდა, ამ დღეებსა და თვეებში ნამდვილად უყვარდა, თუმცა მაგრამების მთელი კასკადი იყო მის ზურგსუკან აღმართული, რისი გადალახვაც სრულიად შეუძლებლად მიაჩნდა. ლიკას ქმარი ჰყავს, ცნობილი კაცი, მისი კარგი ნაცნობიც, თუმცა არავითარ შემთხვევაში ამხანაგი და მეგობარი, ასევე ჰყავს შვილები, ამგ-

ვარი ოჯახის არევა და დაშლა ყოველად შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა. გიგას საკუთარ ოჯახსა და ოჯახისადმი სიყვარულზე ოდნავი აუვის თქმა შორეული წარმოდგენებითაც კი არ შეეძლო. ეს იყო ის უდიდესი სიწმინდე, რომლის ოდნავადაც კი დასვრა ან მცირე ჩრდილის მიყენება სრულიად შეუძლებელ საქმეს უდრიდა. ეს არც მოხდება და ვერც მოხდება, ეს ისეთი ზღვარია, რომლის გადაბიჯება ყველა შესაძლებლობას აღემატება, უნდა დასძლიოს საკუთარი თავი, დაიოკოს დროებითი აფეთქება. კარგად იცოდა, რომ ვნებით გაჟღენთილი სიყვარული თავისით მოდის, შეუმჩნევლად იპყრობს და იმონებს ქალს თუ კაცს, არტახებში მოაქცევს, ბოჭავს, სწორი გზიდან ახევიანებს, მაგრამ ნამდვილად მაღალი დონის შეგნებული ადამიანის სიძლიერე იმაშია, რომ სწორი გზა არ გაიმრუდოს და არტახების გაწყვეტაც შეეძლოს.

ვარშავაში შუადღისას ჩაფრინდნენ, სანამ სასტუმროში მოეწყვნენ და ისადილეს მოსალამოვდა კიდევ, ქალაქში გამოვიდნენ სასეირნოდ, ვარშავაში და პოლონეთის სხვა მნიშვნელოვან ქალაქებში ადრე უკვე ორჯერ იყო ნამყოფი, ბევრი ადგილი ჰქონდა მოვლილი და ახლა დათვალიერებისადმი დიდ ინტერესს აღარ იჩენდა, რაც პირველი შეხვედრის დროს მეტი ძალით ხდება. მასპინძლებმა ვარშავის ძველი უბნების, ე.წ. "სტარე მიასტოს" დასათვარიელებლად მიიწვიეს დელეგაციის წევრები, გზა და გზა მაღაზიებშიც იხედებოდნენ, აქ მოსკოვის მსგავსად გაცილებით უფრო მეტი გაჭირვება იყო ჩამომდგარი, ცარიელი ვიტრინები, დახ-

ლები და თაროები საცოდავი სახით გამოიყურებოდნენ, თითქოს ომის შემდგომი პერიოდი დაბრუნებულიყო, ხალხი ნალვლიან განწყობილებას მოეცვა, რიგები აქაც დაგრძელებულიყო, მათხოვრები და გაჭირვებულები კი მოძრავლებულიყვნენ.

უკანა გზაზე, მათთვის გამოყოფილ სასტუმროსთან ახლოს, "იერუსალიმ-სკას" ქუჩაზე შეუხვია. აქ საქართველოს დიდ ჯგუფთან ერთად ტურისტად წამოსული ერთ-ერთ ძველ სასტუმროში სამი-ოთხი დღის მანძილზე ცხოვრობდა. ეს იყო საქორწილო მოგზაურობისას. როგორც ყველაფერი პირველის დროს ხდება, კარგად ახსოვდა მესამე სართულიც და კუთხის ის ნომერიც, სადაც ახლადდაქორწინებული ცხოვრობდა ახალგაზრდა მომხიბლავ მეუღლესთან ერთად. ახლა იდგა, შესქეცროდა ძველებურ დიდ ფანჯრებს და ფიქრობდა მეუღლეზე, შვილებზე, იმ დიდ ბედნიერებაზე, რაც თითქმის ამ ადგილიდან დაიწყო და ამდენი წლის მანძილზე სიკეთითა და სიყვარულის ძალით მიემართებოდა.

მომდევნო ორი დღე მხოლოდ შეხვედრებსა და შეკრება-შეთანხმებებს დაეთმო. წინასწარ გამოგზავნილი ქართველი მწერლების წიგნები, ქართველი კომპოზიტორების ნოტები, რაღათქმა უნდა, ყველა სფეროში უფროსობის მოყვარულ რუს კოლეგებთან ერთად, ფართო დარბაზში იყო გამოფენილი, დილიდან საღამომდე ხვდებოდნენ სტუმრებს, ლიტერატურათმცოდნეებს, მწერლებს, კრიტიკოსებსა თუ მუსიკათმცოდნეებს, პასუხობდნენ უამრავ შეკითხვას, იწერდნენ შეკვეთებს, მერე მეგობრულ სუფრასთანაც

საუბრობდნენ, მომავალ გამოცემებს, ანთოლოგიებსა თუ მუსიკალურ დადგმებს განიხილავდნენ.

სამმა უაღრესად დატვირთულმა დღემაც გაირბინა და თოვლიან-ყინულიან მოსკოვს დაუბრუნდნენ. აქ კვლავ მთელი სიმწვავეთ იგრძნო, რომ ისედაც მძიმე ცხოვრება არამცთუ დღეების, არამედ საათების მანძილზე უარესდებოდა, ფუჭდებოდა, კატასტროფულად უკან-უკან მიექანებოდა, მატარებლები უკვე აღარ მიდიოდნენ თბილისისაკენ, გზები ჩაკეტილიყო, დაპირისპირება და ომი ყველაზე მეტად გზებზე ვრცელდებოდა. თვითმფრინავით სამშობლოში წასვლის საქმეც ძალიან ცუდად იყო, ხანდახან ორისამი დღე აეროპორტის პირთამდე გადაჭედვით დარბაზში უნდა მჯდარიყავი, ისიც თუ ადგილს იშოვნიდი. გადაწყვიტა ისევ მატარებლით წასულიყო. ახლა თბილისის მატარებელი არმავირის, მინერალური წყლების, ჩეჩნეთის, დაღესტნისა და ბაქოს გავლით მიემართებოდა საქართველოსკენ, მგზავრობის დროსაც ერთი დღე და ღამე დამატებოდა. სხვა გზა არ ჩანდა, თითქოს ოთხი დღის მანძილზე აუტანელი მგზავრობის შემდეგ როგორც იქნა ცრემლებამდე ახლობელ თბილისში დაბრუნდა, სადგურში დახვდნენ შვილები, მძლოლი, სამი მეგობარი და მყისვე იგრძნო საკუთარი ქვეყნის, სახლის, ახლობლების განუმეორებელი სითბო. ყველას ამბავი გამოიკითხა თორმეტი დღეში ისეთი მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო, ოღონდ აფხაზეთში იყო საქმე ძალიან ცუდად, რუსების დიდი მონღოლებისა და ხე-

ლისშეწყობის შედეგად ძმათამკვლელი ომი მიმდინარეობდა, თანაც დასასრული არ უჩანდა, იმის გარდა, რომ ახალგაზრდა რჩეული ბიჭები ილუპებოდნენ და ქვეყნის მომავალს დიდი ტკივილით აკლდებოდნენ, ხალხის ცხოვრების დონე სულ უკან-უკან მიდიოდა, ყველაფერი ქრებოდა, ქვეყანა დატაკდებოდა, ჩანაგდებოდა, მძიმე წყვდიადში იძირებოდა და რაიმე საიმედოც კი არსად ჩანდა, ეს წყვდიადი ყველგან მკვეთრად იყო გამოფეხებული, გზა და გამოსავალი არსად ჩანდა, ძალიან ძნელი იყო განუჭვრეტელ წყვდიადში გზების გაგნება.

ოჯახის, ახლობლების, მეგობრების მოსიყვარულების შემდეგ, რასაც ორ დღეზე მეტი მოანდომა, თორმეტი დღის შეგროვებულ ყურნალ-გაზეთებს ჩაუჯდა. წესად ჰქონდა, როცა სადმე მიდიოდა სახლშიც და სამსახურშიც იბარებდა გაზეთები შემინახეთ, რომ ჩამოვალ გადავთვალიერებ, გავეცნობი, თუ რამე საინტერესო მასალა შემხვდა წავიკითხავო. ახლაც სამუშაო ოთახში საწერ მაგიდასთან მიმჯდარს წინ ელო არცთუ დიდი შეკვრა და ყურადღებით არჩევდა. გაუბედურებული დრო აქაც მწვავედ იგრძნობოდა, ზოგიერთი გაზეთი მუყაოსავით სქელ ქალღმრთელზე იყო დაბეჭდილი, თეთრი, უფერული გვერდებიც ხშირად ხვდებოდა, წაკითხვა ძალიან ჭირდა, ალბათ, სტამბებში საღებავიც კი აღარ ყოფნიდათ და უფერულგვერდებიანი გაზეთები ვრცელდებოდა. ბევრი მასალა წაკითხა, ნახა ვინ ვის უჩიოდა, აკრიტიკებდა, ვინ რას ფიქრობდა შექმნილ ურთულეს

მდგომარეობაზე. ყველაფერი ცუდი ეწერა, ყველაფერი ცუდი იყო გამოფენილი, საიმედო კი არაფერი ჩანდა, მძიმე წყვდიადში ჩაძირულ ქვეყანაში შეუძლებელი იყო გზის გაგნება, ხალხი ბორძიკითა და ხელების ცეცებით დადიოდა, სახეებიდან კი ღიმილი ქრებოდა, ქართული არტიზტიზმისა და უზრუნველობის მითი სამარდებოდა. გაზეთებში შესაძინევად უკეთესად გვერდებზე გამოქვეყნებული ქრონიკის სვეტებიც წაკითხა, ბუნებრივია აინტერესებდა ვინ სად დაინიშნა, ვინ მოხსნეს, ვინ სად გაგზავნეს ან ვინ მოიყვანეს. თითქოს აქ იპოვნა რაც კვირების წინაც აინტერესებდა. შედარებით მსხვილი შრიფტით აწყობილი შაბლონური ტექსტი იუწყებოდა: "ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ აღმინისტრაციული ორგანოების, ვაჭრობისა და საქალაქო მეურნეობის ხაზით დაინიშნა იურიდიული განყოფილების უფროსი კახი ოთარის ძე ანთაძე". ეს იყო მაგისი ცხოვრების უპირველესი მიზანი და როგორც იქნა მიულწევია, აწი რაღა უჭირს, დაიწყებს ჩვეულ ჩალიჩს, საქმეების ჩაწყობას, პატიოსნებისათვის თამაშის ფონზე და სანამ მისი მამა-მარჩენალივით მილიონებს არ მოიპარავს, არ გაჩერდება, — თავისთვის ფიქრობდა გიგა მაჩაბელი.

სალამოხანს მინერალური წყლისა და ოჯახებში დამზადებული რაიმე სახის ნამცხვრის საყიდლად ქუჩაში გავიდა, როდესაც მაღალი სახლებით შემოფარგლული გრძელი ეზოს გასასვლელში გადიოდა, დაბარებულივით

შეხვდა უბნის მაყურებელი, ყოვლისმცოდნე ვახო ძინძიბაძე. ვახომ გადაკოცნა გიგა, მერე შეკითხვები დააყარა, ბუნებრივად ცნობისმოყვარეს აინტერესებდა ხალხი მოსკოვსა და ვარშავაში როგორ ცხოვრობდა, რაც მთავარია, რა იშოვებოდა, რისი ყიდვა შეიძლებოდა. ვახოს ავადმყოფური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების შემდეგ თავადაც მოახერხა კითხვის დასმა – თუ წაიკითხე გუშინდელ გაზეთში ახალი თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნის შესახებო.

– როგორ არ წავიკითხე კაცო, მე შენ მართლა ვაჭრობის მუშაკი ხომ არ გგონივარ, ყველაფერს კვითხულობ და ყველაფერი ვიცი, გაბერილი აპალონას და მისი მრავალჯერადად ნახმარი ცოლის ამბები მე როგორ გამომეპარება. ჩემი ძმა ხარ და გეტყვი, მაგ ოჯახის შინამოსამსახურე, ანუ როგორც საკუთარ თავს უწოდებს "ეკონომკა" ლამზირა ბანცაძე ჩემი ახლო ნათესავია და საერთოდ არაფერს არ მიმაღავს. გრძელფეხება "შაკალს" პირდაპირ შეუჭამია აპალონა, მაგრად და ეშმაკურად უმუშავია, დილით, შუადღისას, საღამოს იმ ბიჭზე ლაპარაკით უბურღავდა ტვინს, თან ჩუმად პირველი მოადგილე და სხვა მოადგილეებიც შეუკრია, ისინიც თურმე სულ დადებითად ახსენებდნენ მაგ ტიპს, რა ქვია, კახი თუ კვახი, ან გურულად ხაპი თუ ხაპერა, ბოლოს ეს მურტალი აპო ისე დაუქოქავს, პირდაპირ პირველთან შესულა და დასანიშნად გამზადებული კანდიდატურის ნაცვლად ლიზიკოს შეგორებული კვახის დანიშვნის ნებარ-

თვა გამოუთხოვია. ასე აკეთებენ ძმაო ბოზები საქმეს და ასე წინაურდება ბევრი მოხერხებული, უპატრონო, წესიერი ხალხი კი თავშესაფარებელ ადგილებს ეძებს და შიმშილით ძვრება სული, ესენი თუ კაპიკს კაპიკზე აწებებენ, ისინი ძლიერნი ამა სოფლისანი, მილიონებს მილიონებზე ადებენ და გაუმაძღრობის ჟინით შეპყრობილები მილიარდის კი არა მილიარდების დაგროვებაზე ფიქრობენ. აი, ძმაო გიგა, თუ ასეთი ჟინი და ავადმყოფური მოთხოვნილება არ არსებობს, მაშინ რატომ არის რომ მილიონების მფლობელი აპალონა კიდეც და კიდეც იპარავს, მილიარდიც აღარ ყოფნის და რაც შეიძლება მეტი უნდა, ამისთვის რისკებზეც მიდის და აშკარად დასაჭერი საქმეების ჩუმად კეთებასაც სრულიად არ ერიდება. ამ ლაპარაკში გიგა ნელ-ნელა მისეირნობდა სახლისაკენ და სალაპარაკოდ საღერღელაშლილი ვახო ძინძიბაძეც გვერდით მიჰყვებოდა.

– ერთ რამესაც გეტყვი, ჩემი ძმა ხარ და იმისიც მჯერა ჭორაობა რომ არ გიყვარს, აი, წელან რომ გიყვებოდი ბოზანდარა ლიზის მიერ ანთაძის დაწინაურების წვრილმანებს, ისეთი სახე გქონდა, მგონი შენთვის ფიქრობდი საიდან იცის ამ ჩემმა გამოსირებულმა ძმაკაცმა ამდენიო და აშკარად ჭორაობა გეგონა. ხომ გაგიშიფრე, რა წყარობიდანაც მაქვს მიღებული უტყუარი ცნობები. ასეა ძმაო, ხალხის ჩანერგვითა და ჭორების თუ ნებისმიერი ლაპარაკის მოსმენით არის, რომ უშიშროებას ყურებით ყავს დაჭერილი უამრავი ადამიანი.

ამ გაგრძელებული საუბრის დროს ფარებანთებული ორი მანქანა შემოგრიალდა ეზოში და ზუსტად მათ წინ გაჩერდა. დაცვა გადმოხტა და უფროსს მანქანის კარი გაუღო. ნელნელა გადმობრძანდა დიდმოხელე აპოლონი, გვერდზე მოიხედა, დაინახა მოლაპარაკე ბიჭები, მათკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მოულოდნელად სითბოგარეული ხმით ჰკითხა:

– როგორ ხართ მეზობლებო, კარგო აღამიანებო, ისე ვარ დაკავებული, ახლო მეზობლებსაც კი ვერ ვეკონტაქტები, რას იზამ ასეთი მძიმეა ჩემი საშუალო.

– ვიცით ბატონო აპოლონ რამხელა საშუალო გაქვთ, მილიონიან ქალაქს მოვლა ხომ უნდა, თქვენ კი არა აგერ ჩვენი ვახო ძინძიბაძე ეზოსაც ვერ უვლის ისე, როგორც საჭიროა, თქვენ კი რამდენი უნდა იშრომოთ, რომ ამა თუ იმ სახის წარმატება მოიპოვოთ.

– ძინძიბაძე ვერა კი არა ძალიან კარგად უვლის ამ ეზოს. აი, ახლა ახალი შტატები შემოგვაქვს, რომ ყველა უბანს თუ დიდ სახლებსა და დიდ ეზოებს საკუთარი პატარა ხელმძღვანელი ჰყავდეთ. შტატები დამტკიცდე-

ბა თუ არა, გადაუდებლად უნდა მივიწვიო ვახტანგ ძინძიბაძე და ჩვენი ეზო სახლებიანა ჩავაბარო, ხელფასიც ნორმალური ექნება, დარწმუნებული ვარ ყველა დავალებას თავს გაართმევს.

– დიდი მადლობა ბატონო აპოლონ, ამხელა ნდობისთვის, ყველაფერს ფრიადზე გავაკეთებ.

– ეჰ, თქვენთან ლაპარაკს რა სჯობია, თუმცა ალბათ გაგიკვირდათ ასე ადრე მოსული რომ დამინახეთ, დიდი ხანია ვერ გამოვჩნდი, ახლაც იმიტომ შემოვირბინე, რომ ლიზისთან ერთად კონცერტზე ვარ მიწვეული. მთელი მთავრობა ესწრება პრემიერ-მინისტრის თამალობით, რომ არ მივიდე შეუძლებელია, ამიტომაც ვჩქარობ, აბა, მეზობლებო, კარგად იყავით, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

– რა მოხდა, რა დაეტაკა ასეთი, რომ ჩემთვის მოიცალა და რაღაც ადგილიც გამოიმეტა მაგ ახვარმა, კარგის ნაცვლად გული რაღაც უსიამოვნოს მეუბნება, მაგას როცა ცუდად აქვს საქმე, მაშინ იწყებს დატკობას და მეზობლების შემჩნევას, ვნახოთ, ვცდები თუ სწორი ვიქნები ამას მომავალი გვიჩვენებს.

ნუგზარ წერეთელი

ბულით ნათქვამი



გოგი ჩიჩუა ჩვენი ჟურნალის აქტიური მკითხველია. იგი ტექნიკური ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენელია, ძალიან უყვარს ქართული მწერლობა, განსაკუთრებით პოეზია. ზოგჯერ თავადაც ცდის კალამს, როცა სათქმელი დაუგროვდება, მისგან განთავისუფლებას ცდილობს. აქ წარმოდგენილი ლექსიც გულის ძახილითაა დაწერილი. ნაწარმოების აქტიურმა ცხოვრებისეულმა პათოსმა და ნიჭიერებამ მოგვცა საშუალება ლექსი მკითხველთა ფართო წრისთვისაც გაგვეცნო.

რედკოლეგია

ბავრთხილება

მინდა ყველას მივმართო ძველებსაც და ახლებსაც,
მხოლოდ იმათ,
ვინც მამულს ხელს ცუდად არ ახლებდა.
იშრომებდა სამშობლოს სიკეთისთვის, წინსვლისთვის,
გათონხნდა, მოძიდა და ივლიდა წისქვილშიც.
ის ვინც მიაქანებდა უფსკრულისკენ ქვეყანას,
ჩვენთვის შავ ჭირს უდრიდა, ჟამმა რასაც შეგვეყარა.
თანაც ვფიქრობ ლანძღვისთვის ცოდვას ხომ არ ჩავდივარ,
ბევრი თავს არ იწუხებს, მე კი ქვეყნის დარდი ვარ.
როგორ უნდა ფიქრობდე ვინმეს ავნო, ატკინო,
სხვებს სულ მწარეს ურჩევდე, შენ ეძებდე სატკბილოს.
ამიტომაც ნაფიქრის გაცხადება მომინდა,
როგორ უნდა დატანჯო ხალხი მკვლელი ომითა.
ხომ ვინილეთ რუსებმა კვლავ ბოროტი ფიცითა,
რომ აგვეარეს ღვთსმშობლის
წილ-ხვედრ ქართულ მიწიდან.
შიშველ-ტიტველ ლტოლვილთა ბუდედ იქცა თბილისი,
ერთურთს ვერ მივეშველეთ, ვერ ვიბრძოლეთ დილისთვის.
თვალს ვხუჭავთ და შვილებსაც ვუათკეცებთ იმედებს,
თუმცა ჩვენთვის სიკეთე ვეღარ გამოიმეტეს,

სისულელე ამგავრი ეპათიოს რომელ ერს,
როს ჩვენს მიწებს ვურიგებთ გამდიდრების მდომელებს.
მიწა მთლად გაუღენთილი წინაპრების სისხლითა.
სხვებს მივეცით, რაც ჩვენაც გასაჭირში გვიხსნიდა.
ვინაც ეს გააკეთა ნეტავი ვინ გაზარდა,
რომ უცხო ტომს მიწების არც მიყიდვას დაზარდა.
ვისი მოღმის არიან ქართველის თუ დამცემის,
ყველაფერს რომ ყიდიან სულმდაბალი კაცები.
ოღონდ ჭამონ მეტი და ამოივსონ კუჭები,
სხვის ფულს ნუ დახარბდებით, ფულს ნუ ებლაუჭებით.
ნუ ვიქნებით მსურველნი დიდი დაუდევრობის,
იქნებ ჩვენაც გაგვეხსნას მძიმე კარი ევროპის.
მერე ჩვენგან დაკარგულ მიწებს ველარ ვიპოვით,
მიტომ ზღაპრულ წკნელებად ვტყდებით თითო-თითონი.
გავუფრთხილდეთ მიწაზე ჩვენს საკუთარ ბილიკებს,
თორემ ხალხს სასიკეთოდ ველარ შემოვირიგებთ.

გოგი ჩიჩუა

ბუჩამ რჩეულიშვილს

ანდამატივით აბგერდა გული
შენს სადიდებელ სიტყვებს რომ ვისმენ,
ათინათივით ბრდღვიალით სრულით
სიტყვები ელვად მიქრიან ცისკენ.

უმცირეს დროში განვლე ეპოქა,
არ დააკელი კაცური წვლილი,
და საამაყოდ ერსაც ეყოფა
საქმე დიდი და რჩეული შვილის.

სულ რაღაც წლები იფეთქა გულმა,
მაგრამ გზა იყო უკიდვანო
და დაიმკვიდრა ნათელი უმაღ,
გზები ბოლომდის თუმცა ვერ განვლო.

ლურჯი ლივლივით ზღვა აღელდება,
შენი აჩრდილი გადუფრენს ტალღებს
და სიყვარულით გულიც ძგერდება,
ცრემლის ყინული რომ ვეღარ გალღვეს...

სიყრმის მეგობრებს გაახსენდებათ
მოგონებები... უხმო და ტკბილი,
კვლავ ირწმუნებენ, მუდამ ენთება,
ქვეყნად სახელი – რჩეულიშვილი!



ლალი ზარდიაშვილი



მერაბ თხელიძე დაიბადა 1939 წელს ქ. თბილისში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის №1 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წითელ დიპლომზე 1962 წელს. 1963-1966 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში, ხოლო მოგვიანებით თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. არის ფიზ-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, მათემატიკისა და ჭადრაკის პროფესორი, ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, მსოფლიოს მოყვარულ მოჭადრაკეთა ვერცხლის პრიზიორი 1996-1997 წლებში, ამავე დროს პოეზიის დიდი მოყვარულია და ცდილობს ლექსებითაც გადმოსცეს საკუთარი სათქმელი.

და ვერ ვიზიფყებ რომ ვარ ქართველი

კუბღვნი საქართველოს გარეთ მყოფ ქართველებს

მე უცხოეთში გადავიხვეწე
მცირე ხნით, მხოლოდ ფულის საშოვნად,
მინდოდა ოჯახს დავხმარებოდი,
თუმცა მშობლების სიტბოც დამშორდა.

აქ არ ვთაკილობ მძიმე შრომას მე,
არ მინდა მქონდეს ჩემი ცხოვრება
და ჩემიანებს დაღლილი ხელით
კუგ ზავნი სარჩოს, ქონდეთ ცხონება.

მე უცხოეთში გადავიხვეწე
მცირე ხნით მხოლოდ ფულის საშოვნად,
ამოვისუნთქე, დავადგი თვალი
ქალს, ფულს, ქონებას, ადვილ გართობას.

და გადამედო იქაური მე აზროვნება,
მცირე ხნის ნაცვლად წლებით გამოთელი,
უკან არ ვჩქარობ, იქნებ აქ დავრჩე
და დავივიწყო რომ ვარ ქართველი.

და დავივიწყო ჩემი გენი, რომ ვარ ქართველი,
უკან მეძახის მამა-პაპის ძვლები გმირული
მიწა, რომელიც მორწყულია სისხლის მდინარით
ჩემი თვისტომის, გახლეჩილი და განწირული.

და აღარ ვიცი როგორ მოვიქცე,
სად ავირჩიო ჩემი საფლავი,
შემერგება კი? მექნება ძილი?
რომ დავივიწყო სამშობლოს ვალი.

და დავივიწყო რომ ვარ ქართველი,
ტანჯული ერის შვილი ეული,
ყველა წავიდეს თავის სარჩენად,
ვინღა დარჩება შინ? ერთეული.

ის ვისაც არ აქვს გაქცევის ფული,
ან ვინც ქცეულა მდიდარ ბობოლად,
ან ვისაც უჯობს შიმშილით მოკვდეს
თავის მამულში, ბრძოლით ოღონდაც.

მცირე ხნის ნაცვლად გავიდა წლები,
მთვარეულივით დავიარები,
აქ ვერ დავრჩები, არც უკან ვჩქარობ
და ვერ ვივიწყებ რომ ვარ ქართველი.

ღეღას

დაკოჟრილ ხელებს თავზე მისვამდი,
შენი ხატება გულში ვინახე,
რა კქნა, მითხარი, როგორ შევძლო და
გამოვისყიდო ძველი სიგლახე?

რა ვქნა მითხარი, კვლავ მოვისმინო
„ჩემი ბიჭიკო, ჩემი მერაბი,
მე არ ვიქნები, მაგრამ ღრმადა მწამს,
შენა ხარ ჩემი თეთრი მერანი.

მჯერა გახდები დიდი სწავლული,
ვერას დაგაკლებს ბედი ვერაგი,
გახსოვდეს მუდამ, გიცავს ფარული
დედის დალოცვა და სიყვარული“.

რა ვქნა, მითხარი, რა გავაკეთო,
ფიქრებმა გზები გადამირაზეს,
როგორ მეგონა სულ იქნებოდი
დედიკო, შენ და შენი სინაზე.

როგორ მეგონა ძილში ჩასმენილ
ყველა შენს ნატვრას აგისრულებდი,
სკოლის მედალთან ერთად ამ ქვეყნის
მთელ ოქროს ფერხით დაგიცურებდი.

საბედისწერო დილას თუ ღამეს,
როცა ორგულად დაგარტყა წნევამ,
თურმე მეფერე უკანასკნელად,
და ჩემი აკვნის გინდოდა რწევა.

წავიბუტბუტე ძილში „მაცალე“,
ხვალაც ხომ მქონდა ნახვის იმედი,
მერე გეტყოდი, როგორ მიყვარდი,
ცხოვრების გზებზე რომ მაცილებდი.

ვერ მოვასწარი, ვეღარ გითხარი,
როგორ მიყვარდი და მენატრები,
რა ვქნა, მითხარი, რა გავაკეთო?
რომ ბოლოს თავთან დავრჩეთ მართლები.

არ შემოიპლია არ მტანჯავდეს

გული მაწუხებს, მღევს ტკივილი ბოლო ხანია
და ექიმებმა ამიკრძალეს ნერვიულობა,
ცუდი მტანჯავდა, მიხაროდა კარგი საქმენი,
თითქმის ყოველთვის გული გულობდა

ასე ვცხოვრობდით ირგვლივ ყველა და პირფერობას
არ ვკადრულობდით საკუთარი ერის წინაშე,
გვტანჯავდა ჩვენსკენ სამათხოვროდ გამოწვდილი ყოველი ხელი,
ჩამქრალი მხერა საცოდავი ქვრივ-მარტოხელის.

შენ განა შეძლებ არ აგტკივდეს გული და თავი,
არ დაიტანჯო თუ არა გაქვს იმედი ამის,
არათუ მისცე, ნუგეში სცე გამოწვდილ ხელებს,
თვითონაც დაჯდე სამათხოვროდ ქუჩაში ლამის.

მე ექიმების რჩევით გავხდი ყრუ და უგულო,
არ მალეღვებდა, არ მტანჯავდა ცუდი და კარგი,
არათუ სხვის ჭირს არ ვუშვებდი გულის კარამდე,
თვით საკუთარიც კი მიმაჩნდა ზედმეტი ბარგი.

უძლურებისგან ბოროტებით გავხდი გულგრილი,
თქვენ კი მდიდრებო, საქმოსნებო, ბიზნესმენებო,
ამ სიმდიდრეში რა იპოვეთ? გახდით უნდილნი.

რად დაივიწყეთ მოწყალება, ხატი და ღმერთი,
ამ სიცოცხლეში თავი რატომ დაისამარეთ,
თქვენ ხალხს თვითონვე ანადგურებთ ფულის გულისთვის
და ღირდა ამათ ჯოჯოხეთი? ღროა, იკმარეთ.

ჩქარა, იჩქარეთ მოეგეთ გონს, გიჯობთ გაეცით
თქვენი ხალხისგან წაგლეჯილი მათი დოვლათი,
მაგრამ არ მჯერა, გულგრილი ვარ ყველაფრისადმი,
თქვენი აღარ მწამს, ვერ ვიქნები კვლავ ბედოვლათი.

არც ჩვენ გვალეღვებს სამათხოვროდ გამოწვდილი ყოველი ხელი,
თვალცრემლიანი გამოხედვა ყოველი ბავშვის,
აღბათ ღირსნი ვართ სიკვდილისა, მკვდრები ვართ უკვე,
უნდა მოვიდეს გამოზრდილი ახალი ხალხი.

გული მაწუხებს, თავი მტკივა ერთი ხანია
და ექიმებმა ამიკრძალეს სუნთქვაც კი თითქმის,
მაგრამ გულგრილი ვერ დავრჩები სანამ ძგერს გული,
ბოროტი მტრების სიავენი ბოლომდე ითქმის.

კვლავაც ვიბრძოლებ და არაფერს შევეგუები,
არ შემიდლია არ მტანჯავდეს ბავშვთა ცრემლები,
მკლავს სამათხოვროდ გამოწვდილი მათი ხელები,
ღვთის ანაბარად არ დავტოვოთ მარტოხელები.

სხვაგვარი სიცოცხლე

მე სულ სხვაგვარი სიცოცხლე მინდა,
ფერად-ფერადი ვარდებით სავსე,
ანლაც რომ ვიყო სიცოცხლის ხიდთან
და საიქიოს მივადგე კარზე,
მაინც მოვითხოვ დღეებს ათფერას,
წუთებს ღიმილის სხივით ალესილს,
რაც სინამდვილემ ჩემში გათელა,
რაც ჟამმა მოსპო მკაცრი თარეშით.



მე ყოვლისშემძლე სიცოცხლე მინდა,
რომ მქონდეს ბევრი სიკეთის ხელი,
სხვათათვის სითბოდ ვდიოდე ციდან,
ღმერთისთვის ვხარჯო სიცოცხლე მთელი.
როცა მოგკვდები გარდავისახო
ქვად, რომ ჩამოვდეს დაღლილი – ვინმე,
ანდა ხე ვიყო – რომ დავინახო
ჩრდილით დაუუტკბე კაცს შრომა მძიმე.
მე სულ სხვაგვარი სიცოცხლე მინდა,
სხვაგვარ დღეებზე მიოცნებია,
მაგრამ სიცოცხლე ისე გაფრინდა,
მარტო დაღლილი წლები რჩებიან.

მარია ყაზიშვილი
„საზოგადოება ცოდნის“ ფარმაცუის
ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

გალი, სამურზაყანო

ენგურს იქით საქართველო,
ჩვენი სამურზაყანო,
როგორ უნდა გადაგვთელონ,
სისხლსა და ხორცს გაგვეყარონ.
მიიტაცეს ჩვენი მიწა,
დიდ წარსულს რომ იტევედა,
შენ იფიცავ, მე ვიფიცავ
საქართველოს დიდებას.
მაგრამ წინ ვერ აღვუდექით
მოდალადეს საშინელს,
თუმც განვდევენეთ სხვა კუთხემდის,
ძალით დაგვცა მაშინვე.
მტერი ცუდით არ იღლება,
ხედავ ცაო მაღალო,
მწარე ცრემლად კვლავ იღვრება
გალი, სამურზაყანო.
ვერვის ველარ ვეშველებით,
ეს ვის უნდა ეგუა,
შორით დარჩა შეშეღეთი,
ღუმს ილია ვეკუა.
ჩვენი კუთხის დიდი შვილი,
ფუძე მათემატიკის,
თუ იარაღს მიგვიშვერენ,
ეს ხვედრია სასტიკი.
გალი ზუგდიდს გადასცქერის,
საიმედო მეგობარს,
მზერა ცივად ალმაცერი,
არ შორდება ეპოქას.
სევდას ვაფენ ხშირად უთქმელს,
თქმამ ვერასდროს დამღალოს,
უნდა აღსდგეს ჩვენი კუთხე,
ჩვენი სამურზაყანო.
და ენგურმა კი არ გაგვეყოს,
შეგვაერთოს ხიდებით,
დაიბრუნე ჩემო ხალხო
ძველი წლები დიდების.



თამარ თოდუა

*„საზოგადოება ცოდნის“ ფარმაციის
ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი*

ბამოუჭმეყნეხელი ლექსების რეპეტიციას

მთავარი

ველარ გაფრინდა ჟღალი მიმინო,
 ჩამოუყრია ფრთები რტოებად,
 ცა როგორ უნდა გაიღიმილო,
 როცა ტკივილით გავსებს დროება.
 მიმინო მოჰგავს შეშინებულსაც,
 თითქოსდა ტყვიამ ჩაუზუნუნა,
 ადრე კი მისიც შემურებათ,
 როცა ცხოვრება ჰგავდა უზრუნველს.
 უზრუნველობა იქცა სიბრაზედ,
 ანდა სიშმაგემ ჩამოიარა,
 გულში შხამივით განცდა ვიზარდეთ
 შერჩენილებმა სისხლის იარას.
 ვერ მოვერიეთ ბევრსა და მრავალს,
 ცნობილს ყოველთვის მცირის დაჩაგვრით,
 ალბათ ოდესმე ეს ჟამიც გავა,
 განიდევნება სტეპთა ყაჩაღი.
 ჯერ ფრთებდახრილი ჟღალი მიმინო
 შესახედავად მოჰგავს საცოდავს,
 ჰოი, გამქრალი ძველო ღიმილო,
 თან წაყოლილო ბევრის კაცობავ.
 მამულისათვის ვერ ვირაზმებით,
 ვერ მივალწიეთ,
 რაზეც ვეწამეთ,
 ცივსისხლიანი არამზადები
 ძველი ბალიშის მსგავსად გვწეწავენ.
 და მაინც გვჯერა გამოაშუქებს
 ძალა დავითის,
 სული თამარის,
 და შევთხოვთ უფალს – ღმერთო გვაჩუქე
 ერთიანობის განცდა მთავარი.

შორეულის ბახსენება

ღვარივით გარბის წელი,
როგორც წამი და წუთი,
საქართველოს მზე ცხელი
ხერთვისს არაყი თუთის.
ძველი ფიქრების წილი
ითვლის შორეულ ძახილს,
გომბორზე ჯანლი დილის
და „სერვოდანში“ რახი.
ფეტვივით ბევრი წელი,
შუაცეცხლივით ჩაქრა,
უკვე არაფერს ელი
და აღარც იცი რა ქნა.
წლებს ზედდართული წელი
გადაიკარგა დღიდან,
რაც გულმა მართლა წრფელი
ის სიყვარული ზიდა.
ის სიყვარული ბიჭის,
სავსე სიწმინდის ძალით,
როცა ჯერ კიდევ გიჭირს
გოგონას ცვლიდეს ქალი.
როცა ჯერ კიდევ ეტრფი,
გავსებს უძირო განცდა,
ღამის თენებას ვერ თვლი,
ცრემლიც უმანკო წაგცდა.
ეს უაღრესად რთული
წელი შეეკვრაა წელთა,
ვინ მოიცილებს სურვილს
მოგონებებთან ერთად.
წელი და კიდევ წელი
გასულა როგორც წამი,
არ დაშვებულა ხელი,
არ მორჩენილა ჟამი.
აჩენს დაწყვეტილ მძივებს
წლების წასული წყება,
და ვგრძნობ ცხოვრებას მძიმეს
განუშორებელ წლებად.

აღღობის ღამით

უკვე აღარსად მიმიხარია,
 აღარც სურვილი მრჩება დაზღვევის,
 გუბდება ზიზლი დიდიხანია
 და გადალეკოს ლამის საზღვრები.
 ბოლოს უფალი ყველაფერს გვიზღავს
 ვისაც რა ცოდვა ჩაუდენია,
 გადაუარა ქვეყანას ზიზლმა
 და სულში რჩება გაუდინებლად.
 ერთმანეთს ღრენით ჭამენ და კვნეტენ,
 ველარ მივედით კაცურ ბედამდე,
 აღარაფერი არ მინდა მეტი,
 ოღონდ ქართველებს ერთად ვხედავდე.
 ცაზე ეული მიფრინავს წერო,
 ალბათ უარყო თავისი გუნდი,
 მე მარტო ვარ და როგორღა ვწერო
 როცა გზა მანჯღრევს მძიმე და ბრუნდი.
 ანდა ვიტანჯო მაინც ვილასთვის,
 რის ინტერესსაც დაეწყო კვლომა,
 მახსოვს ფანჯრიდან ნაზად მიძახდი,
 როგორაც ცხადად ხილული ნლომა.
 იმ სიჭაბუკეს ავსებდა ვნება,
 ირგვლივ ხედავდი სიახლეს ულევს,
 წინ გადაშლილი სამყარო გზებად,
 სუნამოსავით გაფრქვევდა სურნელს.
 დრო კი გამქრალა ტალღის სიჩქარით,
 გრილი ნიავიც აღარ უბერავს,
 ახლა ის გრძნობა
 ძალით მიმქრალი,
 აღარც კი იძვრის,
 თითქოს გუბეა.
 მე კი არასდროს მსურდა დადგომა,
 სულ მოძრაობა მწამდა და მსურდა,
 აჰა, მოვიდა კიდეც აღდგომა
 შეკავშირებად გათიშულ სულთა
 და კვლავ რწმენა მაქვს ყოველის შემძლის,
 რომ მრავალ სულთან შეიძლებს მისვლას,
 და სურვილებად განზრახვას შეცვლილს
 იმედებივით მივმართავ ისრად.

306 ღაბგჳყმგლა

აღარ შემეძლო მორჩილივით მეტი ღუმილი,
 რძისფერ ლოლუებს ვით ჩურჩხელებს ფენდა ზამთარი,
 აღარც სიცვივის გარიდების მქონდა სურვილი,
 კარჩაკეტილმა ტუსადივით ვერ ვთქვი მართალი.
 არეულობა ისე მჭრიდა, როგორც იარა,
 ყინვებს მოსდევდათ იმედივით ისევ გადაკვრა,
 რა წამლეკავმა ქარიშხალმა გადაიარა,
 დაჯახებული გრიგალივით მიწას დაგვაკრა.
 სიცვიე თითქოს მოძიგძიგე სულელებს ანმოზდა,
 სულმოკლეობა ამდაბლებდათ ისეც პატარებს,
 ზოგ-ზოგს სჯეროდა აღზევებულს ძალუძს ლაყობა,
 ენაზე მომდგარს როს ყველაფერს დააყრანტალებს.
 იტყვის მასავით დაბოღმილის ვერდაფიქრებით,
 ორად და სამად როს დაშალეს ხალხი ლაყობით,
 დავდივართ დარდით, როგორც თოვლით შენაფიფქები,
 ზოგს კი სჯეროდა უწარსულოდ ახლის დამყნობის.
 ალბათ დაგვწყევლეს, რომ ქვეყანა ველარ დალაგდეს,
 სდევს ჩასაფრებას
 შური, შუღლი, ლანძღვა-გინება,
 სისხლი ედება დახვრეტილთა წმინდა ალაგებს,
 როგორც წარსულის მომავალში აღორძინება.
 საგარძღებისთვის ისევ მიდის ძველი ჭიდილი,
 რომ კიდევ უფრო მოახლოვდეს ქვეყნის დაცემა,
 ასაფეთქებელ ტყვიასავით ბოლავს ფითილი,
 ზოგი კი მაინც არ ეშვება გადიდკაცებას.
 სდევთ უფროსობის სიყვარული პატარა კაცებს,
 განგების ძალა ლიმონს ყვითლად მატებს ხილიანს,
 ახლა ქვეყანა ნასვამივით კი არ ბარბაცებს,
 წიფლის ხესავით დახრილი და დატეხილია.
 გადამუქდება ზეცა ისევ კუშტი ფერებით,
 დღეს გიშერივით დათალხული ფერი ერევა,
 გადაღლილები მიუწვდომელ ბედნიერებით,
 ნატურისთვალვით ვერ ვპოულობთ ბედნიერებას.
 თან გვენატრება ვით სიმშვიდე ძალა ერთობის,
 იმედებივით ჩამოშლილა უკვე მალალი,
 სასიკეთოსკენ უკვე ველარც გადაერთვები,

ჩვენც ძველებივით ჩაგვეღვარა სულში ბაღდაში.
 მეწყერს გადარჩა სასიკეთო და სალოცავი,
 არწივი მთებში ჭიუხებზე მაინც შეფრინდა,
 გვიხმობს მამული
 და ნამდვილად ახლა დროც არი,
 რომ საქართველო ფენიქსივით აღდგეს ფერფლიდან.
 რომ იმედებად გუგუნებდნენ ტაძრის ზარები,
 და სიყვარული აბიჯებდეს გულდადინჯებით,
 არვინ იფიქროს სულ სხვა მხარეს მივემგზავრებით,
 კვლავაც იფრენენ არწივების გუნდად ბიჭები.

ბროწეულის ყვავილები

ბროწეულების ცეცხლი გედება,
 ალი ამორბის ოქროს ბალიდან,
 წყალს მიჰყვებია თეთრი გედები,
 ხარ სილამაზით განამეტები,
 ისე ძოწისფერს არვინ დაღვრიდა.

გახედავ ჰყვავის,
 ალისფრად ყვავის,
 და ბროწეული მეწამულ ყვავილს
 მკერდზე დაგიბნევს ძვირფას ბროშივით,
 ჩუმი კითხვებით გევესება თავი,
 ფიქრობ მოიგებს აწი დროში ვინ.

ბროწეულები ეზოს სისხლავენ,
 წვიმას მძივებად ყელზე ისხამენ,
 სივრცეს ედება ფერთა მშვენება,
 სალამოა თუ დილა სისხამი,
 ყოველთვის მათი ცქერა გენება.

თითქოს ეცხება სისხლი დაფიონს,
 ათინათი რომ ხეებს დაფინოს,
 გადააშუქოს მთაცა და ველიც,
 ბროწეულები კაშკაშა ფერით
 ალაპლაპებენ ზეცის საფირონს.

მოგავლისაკენ გზით და ფიქრებით

შენ არ გინდოდა, არც გიფიქრია არაკაცური გზისკენ გახედვა, ვით ციებიანს უსამართლობის გრძნობა ყოველთვის გაცახცახებდა. შენზე ვერასდროს ვერავინ იტვის, რომ ჩაგიარა ახლოს ლალატმა, ბუნებამ მხოლოდ სიკეთისათვის გამოგჩარხა და მოგახარატა. რა მძიმე გზები გამოიარე, გზები უფსკრულში გადამჩხელი, შენ კი ცხოვრების უწმინდურობას დანადმულივით არც კი ეხები. არ გიცხოვრია სხვისი ლალატით, მეგობრისათვის ფეხის დადებით, დაგრჩა ბევრი დღე, განათებული გასაოცარი განთიადებით. შენი მიდიოდი თავდაჯერებით, ქარიშხალი კი მძიმედ გარბევდა, ზოგჯერ ტყვიასაც გაუწვივლია სიკვდილის შიშით მოხრილ წარბებთან. მაინც არასდროს დანებებინარ არაკაცობას მძაფრსა და შემტევს, როცა ერთმანეთს თავგამეტებით ეჯახებიან და მერე ჟღერენ. გაჟღერა უდრის ადამიანთა არშეცოდებას და გამეტებას, როცა ბოროტი კაცს დაიმონებს უაზროდ დაღვრილ სისხლის წვეთებად. როდესაც ქვეყნად წვალებით მოსულ, კაცებს დასაკლავ ცხვარივით სპობენ, და ისევ გივლებს ძალა უხეში ზედ მამა-პაპის საფლავზე ღობეს. მრავალ სიბილწეს და ძალადობას თითქმის მეღუზის ზიზლით ვეხებით, აღარც კი ვიცით რა გველოდება, საით მივდივართ და ვიჩხებით. ეს ყველაფერი თუ სიმართლეა, ვერ მოვიცილებთ აწი დარდივით, ქვეყანა დღესაც მოჰგავს უმწეოს, როგორაც კაცი ტყვედ ჩავარდნილი. გზა გვენატრება ქრისტესმიერი, რომ ხალხი კლდოვან ბილიკებს გასცდეს, აღარ შეებას გაჭირვებისგან გზას გამრუდებულს, საშიშად საცდელს. რომ საქართველოს მუდმივად ერქვას დედულ-მამული, მიწა მშობელთა. კვლავაც ვირწმუნოთ ჩვენი ქვეყანა ისევ ფეხზე დგას, კი არ მობერდა. რომ ჩვენს ქედებზე და მწვერვალებზე დღე ოქროსავით გადმონათებს. და ასრულდება ძალით ფიქრების, რაც კი ვიტანჯეთ, ვძებნეთ, ვინატრეთ.

მეტეხთან, ღამით

მეტეხთან მტკვარში ჩავარდა მთვარე
 და აფართხალდა ოქროს თევზივით,
 ღამე სუნთქავდა ჩვილივით წყნარი,
 ქალაქს შემორტყმულ გორებს შეზრდილი.
 მეტეხს დაჰკრავდა ფერი მოყვითლო,
 ჟამი დგებოდა ბჭეთა გაღების,
 და ვგრძნობდით
 დღესაც როგორ მოგვითხრობს
 ამბებს გარდასულს მისი თაღები.
 რამდენს მაღავდა ბერი მეტეხი,
 კარგის და ცუდის მომსწრე კაცივით,
 მტკვარს კი კისერი თუნდაც ეტეხა,
 მაინც რჩებოდა სისხლით დაცლილი.
 მთვარე ოქროსფრად მტკვარში ბრწყინავდა
 და თან ფერავდა თბილისს ოქროთი,
 ციხე კი იდგა კლდეზე პირნათლად,
 მოსული გზებით ოკრო-ბოკროთი.
 უცხო ნათელი ეკრა პიტალოს,
 აცოცებული თავგამეტებით,
 ველოდით თევზებს ამოეტანათ
 თავმოკვეთილთა სისხლის წვეთები.
 ამგვარ სიწმინდეს დღემდე ვინ დაღვეს,
 როცა თავს ჭრიდნენ ასიათასებს,
 და იმედივით ვღვედით წმინდანებს,
 ვინც ადამიანს რწმენით აფასებს.

კახეთის ღალოცვა

თითქოს ღამაში ყველაზე
 კახეთს ანათებს ატამი,
 ცეცხლი ანთია კერაზე
 ნიშნად ცხოვრების გატანის.
 ღუმს შემოდგომა მთის წვერთან,
 ვით გამოცდილი მზვერავი,

ის მკლავზე ღრუბელს იწვენდა
და ვერ ხედავდა ვერავინ.
მაღლე გადმოვა სამზერით,
გადმოაყვითლებს ფერდობებს,
რომ ქარვადქცეულ ხაზებით
ხვალის სიმაღლეს ერთვოდეს.
რომ შეეხაროდეთ ჭირნახულს,
მომსკდარს აპრილის ღვარივით,
ყველა სუფრაზე ინახოს
პურიც, ღვინოც და მარილიც.
სულ ფეხზე იდგეს კახეთი,
ქართული მიწის დიდება,
აღარსად ჩანდეს თავხედი,
კეთილთან შესაჭიდებლად.
ხარობდეს კაცი მშრომელი,
მხენელიც, მთესველიც, მომყვანიც,
გაქრეს—რა, რისთვის, რომელი,
მორჩეს კითხვებით ყოყმანი.
იყოს ქვეყანა ნათელი,
განფაქიზებად სულების,
არსად არ იყოს სათრევი
შექმნა-შენების მსურველი.
ემველოს მხარეს ვერდამლილს,
მტერს რომ უნდოდა საჯიჯგნად,
ბარაქა იდგეს ვენახში,
არა მიწების აჩიქვნა.
ისეთი ხნული გაეგლოს,
ათკეცებდეს მოსავალს,
ცაო საჭუხოვ, საელვოვ,
ცუდისგან კვლავაც შორსა ვარ.
მხოლოდ სიკეთეს ვისურვებ,
კაცური მიზნის გამხელით,
რომ აღსასრულთან მისულებს
უკან გვრჩებოდეს სახელი.

ელეგიური ჟღერს

წინ უცხო არე გამოჩნდა ვრცელი,
 იმედის დარად ძეგლის განგრძობის,
 ისე მოვარდა ამდენი წელი
 თითქოს დაგეცა ზვავად ღვარცოფი.
 ველარ მოსცილდი მიდამოს ტყიანს,
 ტყისპირ მოგორავს ნარჩენი ზვავის,
 და ტკივილები ფიქრებით გლლიან,
 რათა ოთხმოცჯერ მოიკლა თავი.
 იყო უთვლელი ცუდიც და კარგიც,
 არ დარჩენილხარ ჩუმად უქები,
 არასდროს გერქვა ზედმეტი ბარგი,
 ხშირად სხვას ბედსაც უმსუბუქებდი.
 დასამშვიდებლად აშურებ მღვიმეს,
 ჰაერიც აღარ იძვრის საკმარი,
 კაცს ხელში შერჩა ცხოვრება მძიმე,
 ოთხმოცჯერ მაინც თავმოსაკლავი.
 კვლავ ეშმაკების ისმის ხორხოცი,
 ველარაფერი ვერ წყდება დავით,
 წინ ყაჩაღივით დაგხვდა ოთხმოცი,
 რათა ოთხმოცჯერ მოიკლა თავი.
 წლები ტყვიებად ტკივილს მიგაყრის,
 რომ სიველურით ჰგავდეს მოლოცვას,
 და შეიძინა სულ სხვა სიმაღლე
 ოთხმოცჯერ მკვლელმა წელმა ოთხმოცმა.
 სული უფსკრულებს გადახიზნია,
 სადაც მარადი ღუმელი ჰყვავის,
 და ეს ცხოვრება მართლა ღირსია
 ოთხმოცჯერ მაინც მოიკლა თავი.

ბოლო იმედად მოჩანს ტაძარი

თამაზ აფციაურს, ნოდარ ალთუნაშვილს

მიწას ფოთლების ჩქერი აცვივა,
 ფიჭვები
 დარჩნენ ოაზისებად,
 მანგლისში უკვე მაგრად აცივდა,
 ქედების მწკრივი ჯანლით ივსება.
 ტკივილმა ნაღვლის ფერი თუ მაცხო,
 დარდი მტერივით დამიმართოვებს,
 ვით მთის მშვენება
 შენი ღუმაცხო,
 ჩემი მანგლისიც ისე დავტოვე.
 არც მე დამინდო ძალამ უხეშმა,
 და ვერც არწივის ვუხმე მართვეებს,
 ისევ უმცირეს დამრჩა ნუგეშად,
 რაც შემორჩა და ველარ მართმევენ.
 გვართმევედა ყველა,
 ძველიც, ახალიც,
 თოკის ხლართივით
 ჭრიდნენ იმედებს,
 ბევრი რამ იყო დასაძრახავი,
 ძალიან შევცდით,
 ვისაც მივენდეთ.
 ისევ იწყება არყის სეზონი,
 სხვა გზების ძებნა ახლა არა ღირს,
 მიზეზით,
 ზოგჯერ უმიზეზობით,
 ისევ ცეცხლივით გათბობს არაყი.
 ბოლო იმედად მოჩანს ტაძარი,
 უღმერთოთათვის მკაცრი ზმანება,
 სანამ ტყვესავით სიტყვას დავძრავდი,
 გასამხნევებლად დაჰკრეს ზარებმა.
 ამ იმედებით დავყვები მანგლისს,
 საუკუნოვან წლების მარაგით,
 აქ სიჭაბუკის სურნელი დაქრის,
 ვით ხეობაში თეთრი არაგვი.

ამ ქროლვას ძალზე დიდი ხნით ვნატრობ,
 არ მწამს სხვა გზა და
 სხვა დანაკლისი,
 ვიცი არასდროს ვიქნები მარტო,
 მხარში შედგებით თქვენ და მანგლისი.

ოცდაჩვიდმეტი

საშინელება ვინც იწვინია ოცდაჩვიდმეტის,
 ვისაც ზარავდა სიკვდილივით ღამის ბრახუნი,
 როცა ყოველგვარ გაჭირვებას ჩუმად ვითმენდით
 და ბედისწერა მკერდზე გვქონდა გამოსახული.
 იდგა მრავალი გატანჯული ციხის კარებთან,
 სიცხით დამწვარი,
 სიცივეში ყინვით დამზრალი,
 ხელისუფლება მათ იმედსაც არ აკარებდა,
 თითქოსდა ეგლო ფეხსაცმელი ლანჩებამძვრალი.
 ყველა ელოდა ხვედრს უმძიმესს, ჯალათებიც კი,
 რადგან ჯერ კლავდნენ,
 და ლანდივით მკვლელსაც აქრობდნენ,
 გზაც კი არ ჩანდა კანონიერ გამართლებისკენ,
 გაანდგურების ბევრი ხრიკი ჰქონდა დამპყრობელს.
 ტანჯვის, წამების, მწუხარების წლები წავიდნენ,
 დრომ მოიტანა უმცირესი შეღავათები,
 თუმცა კი დარჩა დანერგილი ცუდი თავითვე,
 ხელისუფლებას მიტომ მუდამ ვეკამათებით.
 ისევ გაივსო ტუსალებით ციხის საკნები,
 ახალ-ახალი მეთოდები გაჩნდა წამების,
 გზას წყვდიადივით სიბნელეში ვეღარ ვაგნებდით,
 მეორდებოდა განსაცდელი ტანჯულ მამების.
 ვერ დავიბლაგვლეთ ერთიანად,
 მთელი ძალებით,
 ოცდაჩვიდმეტი აღარ გვინდა დღესაც აღზევდეს,
 თუ ვერ გავძელით,
 არასოდეს შეგვიწყალებენ,
 დაგვიმატებენ ტანჯვასავით სახდელს სახდელზე.
 ვერაფრით გაძლებს ასე ჟამი ისეც ხანმოკლე,

თითქოს დახეულ აფიშებად კედელს გვაკრავენ,
ზარი ჩამოკრეს,
მწუხარების ზარი ჩამოკრეს,
თუმცა უამრავს წინაც ველით ჩამოსაკრავებს.
გადავიწყება გვინდა შევძლოთ იმ სატანჯველის,
თუ სატანჯველი გზები ისევ არ დაგვიმატეს,
მოსაკვეთია ბოროტება ჩვენივ მარჯვენით,
ამირანივით აღარ ებას კლდეზე სიმართლე.
ხმა გაფრთხილების სულ ესმოდეს ხელისუფლებას,
მოსულს დროებით,
უეჭველად კიდევ წარმატალს,
განწირვის სული ადამიანს ცხვირწინ უფრენდა
თითქოს ვხედავდით გადასისხლულ დღეთა კარნავალს.
დამშვიდებული რომ ცხოვრობდეს ადამიანი,
ამ ცხოვრებაში ისეც საწყალ სტუმრად შევლილი,
ოცდაჩვიდმეტმა აწ რომ აღარ გადაგვიაროს
და არ გაგვსრისოს ხორბლის სალექს მძიმე კვერავით.
ზიზღი, უარი, უარყოფა ოცდაჩვიდმეტებს,
აღარ დაგვკარგოთ დრო ტკივილის ძალით გამხელის,
ისე ვით ვარსკვლავს,
შემორჩენილს ვღევდეთ იმედებს
და კვლავ ვეცადოთ ქვეყნად დაგვრჩეს კაცის სახელი.

ნუგ ზარ წერეთელი

დაშვიფარი სამი დღე

1969 წლის თებერვლის თვეში მოსკოვს ვიყავი მივლინებული ერთ-თვიან კურსებზე. ეს ის დრო იყო, როცა მოსკოვს ყველა დედაქალაქთა დედაქალაქად აცხადებდნენ და ხალხს უნდოდა თუ არა, ამ დიდი როლისთვის ძალდატანებით ამზადებდნენ. იმ პერიოდში, თუმცა ასე ხდებოდა მანამდეც და შემდეგაც, ყველა სახის კურსები — ლიტერატურული, თეატრალური, კინო-ცოდნეობის, პოლიტიკური თუ ეკონომიკური, როგორც წესი, მოსკოვში ტარდებოდა, რომ უფრო მეტად ეკონტროლებინათ ხალხი და მოსკოვის უდიდესი პრიორიტეტი ყველას ეღიარებინა.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი ჩვენი კურსები მოსკოვს — გარეთა დაბა ვეშნიაკებში ტარდებოდა. მაშინ იმ უბანში მეტრო არ არსებობდა, არც არავინ ფიქრობდა ხალხის პირობების გაუმჯობესებაზე.

ამ დროს ორწლიანი უმაღლესი სასცენარო კურსების მსმენელის სტატუსით მოსკოვში იმყოფებოდა ჩემი უახლოესი მეგობარი, შემდეგში დიდი ქართველი მწერალი გურამ გეგეშიძე. პირველ ხანს მას ტელეფონით ვუკავშირდებოდი ხოლმე. ესეც კი იმ დროისათვის ძალიან რთული საქმე იყო, რადგან ჩვენს საერთო საცხოვრებელში მგონი სამასი მსმენელი მხოლოდ ერთი ან ორი საერთო საქალაქო ტელეფონით სარგებლობდა. ამიტომ უფრო ხშირად ავტობუსით ჩავდიოდი ხოლმე შესახვედრად.

გამოყოფილ ოთახში ჩემთან ერთად ცხოვრობდა აფხაზი მეგობარი სოხუმიდან, რომელსაც ხუმრობით ანტიპიჩს ვეძახდი. ეს იყო მხრებში ფართოდ გაშლილი, ლამაზი სახითა და წაბლისფერი თმით დამშვენებული მაღალი ბიჭი, არაჩვეულებრივი პიროვნება ვოვა ფილია, შემდგომში ოჩამჩირის რაიონის თავკაცი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ვოვას შეყვარებული ჰყავდა მოსკოვსგარეთა დაბა მონინოში, კოსმონავტების დასასვენებელ თუ საცხოვრებელ ქალაქში, ის ახალგაზრდა ქალბატონი ექიმად მუშაობდა სანატორიუმში. ჩვენ მონდომებულ სწავლასა და დისციპლინაზე თუნდ ისიც მეტყველებს, რომ ვოვას მიპატიჟებით მთელი ერთი კვირა გავატარეთ იმ საუკეთესო სანატორიუმის უმშვენიერესი რუსი ახალგაზრდა ექიმების წრეში.

ზემოთ აღნიშნული წელიწადის 23 თებერვალს, მაშინდელი ძალით შექმნილი ქვეყნის დამპყრობლური არმიის საზეიმო დღეს, დღევანდელი გაგებით მამაკაცების დღეს, ჩემი პირმშოს, ჩემი ბიჭის დაბადების დღე იყო. ბუნებრივია, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი ასეთ მნიშვნელოვან თარიღს აღუნიშნავდ ვერ დავტოვებდი, რესტორანში რომ დამეპატიჟა თუნდაც ორი მეგობარი, არავითარი სახსარი არ გამაჩნდა, ამიტომ გამოსავალი ვიპოვე. მოსკოვში ასევე კურსებზე თუ რაღაც ხანგრძლივ თათ-

ბირზე ჩამოსული იყო ჩემი მეუღლის ბიძა, მაშინდელი პროკურატურის ზედამხედველობის განყოფილების ანუ დეპარტამენტის უფროსი, იუსტიციის გენერალი ვალერიან (კუკური) ასიშვილი, სრულიად არაჩვეულებრივი პიროვნება, ყველას დამხმარე და მხარში მდგომი, ნათესავების (განსაკუთრებით უფროსი დის, ჩემი სიდედრის) უსაზღვროდ მოყვარული და უანგარო მზრუნველი, ამასთან ერთად ქართული სუფრის, პურ-მარილის არამცთუ მცოდნე, არამედ ნამდვილი შემოქმედი, არსენა მარაბდელის არ იყოს „გზებზე სუფრის გადამფენი“. ის სასტუმრო „მოსკოვში“ ცხოვრობდა, ჩვენ ჯერ მხოლოდ გარედან რიდით რომ ვუყურებდით, შემდეგ კი სწორედ იმ ფართო ნომერში რამდენიმეჯერ მომიწია ცხოვრება. კარგად მახსოვს მაშინდელი ტერმინოლოგიით ლუქსის ნომერი 601, რაც ცნობილი იყო საქართველოს რიგითი ცეკას მდივნების მივლინებისას დროებით საცხოვრებელ ადგილად. კუკურის ჩემი იდეა კი არ მოეწონა, გაუხარდა კიდეც, რომ მის ნომერში აღგვენიშნა ჩემი ხუთი წლის ვაჟკაცის დაბადების დღე. მითხრა მაგარ პურ-მარილს შევუკვეთავ, ღვინოები სულ დავლიე და დავარიგე, სამაგიეროდ ბლომად მაქვს საუკეთესო ქართული სამარკო კონიაკებიო. მე ამ საზეიმო დღისთვის ჩემი მარაგებიდან გადანახული მქონდა ოცი ბოთლი რვა ნომერი ღვინო, ან მშობლიური რვა ნომერი, ესეც ვუთხარი ჩემი ცოლის ბიძასა და ჩემს მეგობარს.

გურამ გეგეშიძე და მე ამ სასიამ-

ოვნო შეთანხმებას დღეს, 22 თებერვალს, კუკურისთან კონიაკადაკრულები სასტუმრო მოსკოვის წინ ვიდექით და ვლაპარაკობდით. ამ დროს შეგვხვდა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის წლებიდან ჩვენი ძმაკაცი, უკვე უნიჭიერეს პოეტად აღიარებული დაუვიწყარი ოთარ ჭილაძე, ძალიან გაგვეხარდა, ერთმანეთი გადავკოცნეთ, მერე კვითხეთ როდის და რა საქმეზე იყო ჩამოსული. თურმე გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიაში“ უკვე გამოდიოდა მისი ლექსების რუსულად თარგმნილი წიგნი და ხელშეკრულების გასაფორმებლად მოეწვიათ. ოთარსაც ვუთხარით ჩვენი ზვალინდელი შეხვედრის ამბავი, ის სიამოვნებით დავკოცნებდით მოსულიყო, ასეთი საპატიო თარიღის აღნიშვნაზე ვინ იტყვის უარსო.

დღეს უკვე დიდი ქართველი კლასიკოსი ოთარ ჭილაძე იმ შორეულ წლებში არაჩვეულებრივი ბიჭი და მეტად პოპულარული პიროვნება იყო. უნიჭიერესი ახალგაზრდა პოეტი, ერთგული მეგობარი, ქართული სუფრისა და კაცური ურთიერთობების დიდი პატივისმცემელი, კარგი ღვინის მსმელი. ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ყველგან, მათ შორის გოგონებშიც, უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა არც მას დაუკლია ხელი საუკეთესო გოგონებისათვის, ფარვანებივით გარს რომ ეხვეოდნენ.

ამ მეგობრული შეხვედრის დროს კიდევ ერთმა ქართველმა გამოიარა. ეს იყო პოეტი ნოდარ ჯალაღონია, ბევრი

კარგი ლექსის ავტორი, პატრიოტი კაცი. ნოდარიც მივიპატიჟეთ ჩვენს საზეიმო სუფრაზე, ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა, იმ საოცრად გაფრენილ წლებში სუფრაზე მიპატიჟებისაგან თავს არცერთი ნორმალური ახალგაზრდა კაცი უარს არ იტყოდა. ნოდარ ჯალაღონიაც მოსკოვში სწავლობდა ლიტერატურის ინსტიტუტის ორწლიან კურსებზე.

მეორე დღეს ჩემმა მეგობარმა ვოვა ფილიამ შეფუთული ბოთლები ჩამომატანინა სასტუმრო მოსკოვში, თავად კი დიდი ბოდიში მოიხადა, შეყვარებულს თუ საცოლეს დაერეკა აუცილებლად ჩამოდო და უკვე კარგად ცნობილ მონინოში გარბოდა. სხვათაშორის ვოვა ჩემგან ქართულ სიტყვებს სწავლობდა, თავადაც ცდილობდა ჩემთვის საკმაოდ რთული აფხაზური ენიდან სიტყვები და ფრაზები ესწავლებინა. დღემდის არ დამვიწყებია როგორ მიხსნიდა, რომ აფხაზურად ამვერკა ფანჯრის ან კარის გაღებას ნიშნავდა, ამვერტა კი დაკეტვას. ბევრი სხვა სიტყვაც მქონდა ნასწავლი.

დღის სამ საათზე შევიკრიბეთ, ავედით 601 ნომერში. აქ იყო ძალიან დიდი სასტუმრო ოთახი როიალით, ტელევიზორით, მაცივრითა და ყოველგვარი მოხმარების საგნებით, რაც მაშინ იშვიათობად ითვლებოდა, ასევე დიდი საწოლი ოთახი და დამხმარე ოთახები. კუკურის გავაცანი მეგობრები და უკვე გაწყობილ დიდებულ სუფრას შემოვუსხედით. მართლა გულიანად ვიქეიფეთ, უამრავი სადღეგრძელო ვთქვით, ჩემი საყვარელი ბიჭი, მისი

და, მშობლები, ბებია-ბაბუა და ყველა ახლობელი ვადღეგრძელებთ, მერე ისე დავთვერით ბიჭებმა წაიმღერეს კიდეც და ლექსებიც ვთქვით. ოთარ ჭილაძეს სუფრაზე ლექსების თქმა არ უყვარდა, თუმცა იმდენი ვთხოვეთ ორი თუ სამი ორსტროფიანი ლექსი მაინც წაიკითხა, ასევე მეც, ნოდარმაც, გურამ გეგეშიძე კი, როგორც პროზაიკოსი, გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის ლექსებს კითხულობდა.

როგორც ყოველთვის, ჩემს წიგნებში ვცდილობ სრული სიმართლე ვთქვა, მადლობა ღმერთს იმ დღემდის დაუვიწყარი სუფრის მონაწილეებისაგან სამი კაცი მაინც არის ცოცხალი და რაიმე ტყუილის თქმას არც დამანებებენ.

ერთი გაუთვალისწინებელი ან მოულოდნელი შემთხვევა მაინც მოგვივიდა. უკვე მაგარი მთვრალეები ვიყავით, როცა მოსკოვში მცხოვრების ანუ მასპინძლის უფლებით, ნოდარ ჯალაღონიამ გვითხრა – მოდი, დავრეკავ, კარგ ნაცნობ გოგონებს მოვიყვან, რომ არ მოვიწყინოთო. ასეთ წინადადებაზე იმ წლებში არცერთი ჭკუათმყოფელი უარს არ იტყოდა, ჩვენც მყისვე დავეთანხმეთ. ის გავიდა საწოლ ოთახში, ჩვენ ყველაფერს ვხედავდით ღია კარებიდან, აიღო ტელეფონი, თქვა "ალა" და უცებ ჰაერში აყირავდა კედლიდან მოგლეჯილ ტელეფონის აპარატთან ერთად. თურმე ნოდარს გადაწოლა და გოგოსთან ნებიერი ლაპარაკი უნდოდა, ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში სულ დაავიწყდა, რომ უზურგო სკამზე ანუ „პუფზე“ იჯდა და პატარა შემთხვე-

ვაც ამის გამო მოხდა. გოგონებთან ჩვენი ურთიერთობა ჩაიშალა, მიუხედავად ამისა, გვარიანად გამხიარულებულები წამოვედით. ნოდარმა გვითხრა - ტვერის ბულვარზე მშვენიერი ქართული სამწვადე გაიხსნა და ნაბახუსევზე გეპატიჟებით ლუდის დასალევადო. მერე ყველანი წავიდნენ, გურამ გეგეშიძე და მე ტროლეიბუსით გავემართეთ საერთო საცხოვრებლისაკენ, სადაც ცენტრთან ახლოს, სადაც გურამი ცალკე ოთახში ცხოვრობდა. კარგ ნათელ ოთახში მხოლოდ ერთი საწოლი იდგა, რომ არ გავწვალებულიყავით, სასტიკი უარის მიუხედავად გურამმა მარტო დამტოვა და ერთი სართულით მაღლა ავიდა თავის კურსელთან და მეგობართან, სცენარისტსა და რეჟისორ არიკ აგაბაბოვთან, რომელიც თურმე ორსაწოლიან ოთახში მარტო ცხოვრობდა.

პირველ საათზე შეთანხმებისამებრ პუშკინის მოედანზე, პუშკინის ძეგლთან ვიდექით, მალე მოვიდა ოთარ ჭილაძეც, ორიოდე წუთში ნოდარ ჯალაღონიაც გამოჩნდა რაღაც ძალიან საეჭვოდ გამობერილი ქურთუკის გულის ჯიბით. თურმე წინა დღეებში სამეგრელოდან ამანათი მიეღო და ლიტრიანი ბოთლით ცნობილი მსხლის არაყი, ანუ „სხურიშ ონტკა“ წამოეღო.

პუშკინის ძეგლთან გადავედით მოპირდაპირე მხარეს, ჩავუარეთ ძველ ცნობილ ლუდხანას, სადაც თავის დროზე თურმე დადიოდნენ სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ნიკოლოზ ასევევი, ვალენტინ კატაევი, სანკტ-პე-

ტერბურგიდან საქმეებზე ჩამოსული ალექსანდრ ბლოკი და სხვები. ჩავაიარეთ უხვად დათოვლილი ტვერის ბულვარი, იქვე ახლოს ახლადგახსნილ სამწვადეში შევედით, ფართო ფანჯარასთან დავსხედით და სიამოვნებით გავცქეროდით თოვლით დაბურულ საკმაოდ ხალხმრავალ ტვერის ბულვარს, ვსვამდით სპირტივით მაგარ მსხლის არაყს, თან ახალგაზრდული გატაცებით ემხიარულობდით. ოთარ ჭილაძე აქ მოყვა: ერთხელ ავედით ფუნიკულიორზე საქეიფოდ, იქ ერთი მყუდრო დუქანი იდგა ხევის პირას, ძალიან კარგი მზარეული ჰყავდათ, კარგი კახური ჰქონდათ და ხალხს უხვად იზიდავდნენ. მე ჩემს თანაკურსელ მეგობრებთან ერთად ვიყავი. აქ იყვნენ ჯანსუღ ჩარკვიანი, ზაურ ბოლქვაძე, გივი სამსონაძე, გურამ (კოია) გომართელი, გურამ (ლორთქია) ლორთქიფანიძე, ღორკა ღოლიძე... შევესწარიტ ჩხუბს, ვხედავთ ჩხუბობენ გურამ რჩეულიშვილი, გურამ გეგეშიძე, ნუგზარი და სამიოდე მეგობარი, კამათი მოსვლიათ ტაბახმელელ მოქეიფებთან. ჩხუბში ჩარევა დასახმარებლად შეუძლებელი იყო, ჩვენი ბიჭები აშკარად ჯაბნიდნენ უსიამოვნების დამწყებებს. გურამ რჩეულიშვილმა და მაღალმა მხარბეჭიანმა ბიჭმა, დიას, ბორია ინასარიძემ, სულ რტყმევა-რტყმევით ჩაიყვანეს ისინი იქვე ჩამომავალ პატარა ხევში. როცა ხევიდან ამოდიოდნენ ნუგზარ წერეთელმა მაგიდას დაავლო ხელი, ამობობლებულ ბიჭებს დაუშვა და ისევ უკანვე ჩააბრუნა. ჩარევა კი არა სიცილს ველარ ვიკავებდით, ისეთი სუ-

რათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ. მერე თქვენ წახვედით, ჩვენ კი დავიწყეთ ქეიფი.

ვისხედით, უამრავ შემთხვევას ვისხენებდით წარსულიდან და ვმხიარულობდით.

ორი-სამი საათის შემდეგ დავიშალეთ და უზარმაზარი მოსკოვის თოვლიან-ნისლიან გზებს გავუყევით, ყველა საკუთარ საქმეზე წავიდა, გურამ გეგეშიძე თავისი საერთო საცხოვრებლისკენ გაემართა, მე კი ავტობუსით

წამოვედი ვეშნიაკებში. აქ კიდევ ერთი კვირით ყოფნა და აბსოლუტურად უინტერესო გარემო მელოდა, ერთი კვირის შემდეგ უკვე ვამთავრებდი არაფრის მომტან სწავლას და სიხარულით გავემუშვებოდი მონატრებული თბილისისაკენ, სადაც მელოდა ჩემი ძვირფასი ოჯახი, მეუღლე, პატარა შვილები, ძმები, შშობლები, ახლობლები, მეგობრები და სადაც ჩემი ცხოვრება ახალი ძალით უნდა წარმართულიყო.

*ნუგ ზარ წერეთელი
2015 წლის 23 თებერვალი.*